ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 1 ამერიკული ზღაპრები 6 ლარი




ორშაბათი, 18 თებერვალი, 2013 №40 (6041) ფასი: 30 თეთრი

# „ნაციონალები ნოდარ ხადურს პროვოკაციას უწყობენ“

გვ.2



## კობა დავითაშვილმა შესაძლოა „ქართული ოცნება“ დატოვოს

გვ.3

დეპუტატი პარლამენტის სპიკერს ორმაგ სტანდარტებში ადანაშაულებს



## ბიძინა ივანიშვილი: „ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამყარდეს!“

გვ.5





## ელისო კილაძე: „ერეკლე კოდუასთვის იარაღის ჩადებას აპირებენ“

გვ.3



## ნანა კაკაბაძე: „უგულავას მოთხოვნით არავინ დამკითხავს“

გვ.6

## გია ხუხაშვილი: „გახმაურებულ საქმეებზე გამოძიება ვერ დაჩქარდება“

გვ.6

## საქართველოში, სავარაუდოდ, ღორის გრიპით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა

სავარაუდოდ, ღორის გრიპის ვირუსით საქართველოში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

ახალგაზრდა მამაკაცი 3 დღის წინ თბილისში ზუგდიდის ერთ-ერთი კლინიკიდან გადმოიყვანეს და ის ინგოროყვას სახელობის კლინიკაში გარდაიცვალა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრში პაციენტის გარდაცვალების მიზეზის ლაბორატორიული დასკვნა რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურებულია H1N1 ვირუსით დაავადების 123 შემთხვევა, აქედან ოთხი ლეტალური შედეგით დასრულდა.

„თბილისში ბოლო ორი კვირის მანძილზე დაახლოებით მომართვიანობა იყო 6 ათასამდე, წინა თვეში კი – 10 ათასამდე, რაც ნიშნავს იმას, რომ ათეულათასობით მოქალაქემ გადაიტანა ღორის გრიპის ვირუსი. სამწუხაროდ, რამდენიმეს გაურთულდა და ფატალურად დამთავრდა. მეხუთე შემთხვევაც, სავარაუდოა, რომ H1N1 ვირუსი იყო“, – აღნიშნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პაატა იმნაძემ.

სპეციალისტები საზოგადოებას მოუწოდებენ, რომ ხალხმრავალ ადგილებში ყოფნას მოერიდონ და რაიმე სახის გართულებისას აუცილებლად მიმართონ ექიმს.

მედიანიუსი

6 თებერვლიდან! „ახალი თაობა“ + ჩე გევარა 8 ლარი




9 771987 938006

2 პატრიარქმა საკუთარი თავის შეცნობაზე იქადაგა

4 ვინ უპატრონებს ქუჩის ბავშვებს

6 გვჭირდება თუ არა საპრეზიდენტო ინსტიტუცია

4 მოჯადოებული წრის საფრთხე

# შალვა ხაჭაპურიძე: „ნაციონალები ნოდარ ხადურს პროვოკაციას უწყობენ“



ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

***– ბატონო შალვა, შაბათს ქართული ოცნების ყრილობა გაიმართა, სადაც საკმაოდ ბევრ საკითხზე გაამახვილა ყურადღება პრემიერმა, მოდით, ამ თემით დავიწყოთ ჩვენი ინტერვიუ...***

– დიახ, ჩატარდა გუშინ ყრილობა, დელეგატი გახლდით, შევცვალეთ გარკვეული სტრუქტურები. ფაქტიურად სტრუქტურა აეწყო ისე, რომ იყოს უფრო მოქნილი. ყრილობის შემდეგ თვითონ პარტიაში შეიქმნება სამსახურები, რომელიც უფლებამოსილია, შექმნას საპატიო თავმჯდომარე და იმ სტრუქტურებმა, რომლებიც გუშინ აირჩა და გადახალისდა. რამდენიმე ისეთი პირი დაემატა, რომელიც მანამდე არ იყო პოლიტიკურ საბჭოში. ახლა მთავარია დაიწყოს გამართული მუშაობა და პარტია მზად იყოს ნებისმიერი გამოწვევისთვის, რაც მიმართულია ქვეყნის აღმშენებლობისკენ. გაძლიერდება რეგიონული სტრუქტურები, ზედაპლანზე წამოიწევს კადრები, გაიზრდება ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ჯგუფი და მთავარი მიზანი მაინც არის ორი რამ, რომ პარტია მზად იყოს საპრეზიდენტო, ადგილობრივი და მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის. ხოლო არჩევნებამდე შეასრულოს ის დანაპირები, რაც არჩევნებამდე გასცა. ეს არის სტაბილურობა ქვეყანაში, საგარეო პოლიტიკური კურსის დარეგულირება და თვითონ სახელმწიფოში უმნიშვნელოვანესი საკითხის, როგორიც არის ბიზნესის განვითარება, ეკონომიკის ფეხზე წამოყენება და ადამიანების კეთილდღეობა. აი, ეს არის გუშინდელი დღის მოკლე შეფასება.

***– ყრილობას წინ უძღვოდა გამოკითხვის შედეგები, მინდა, რომ რეიტინგებზეც ვისაუბროთ, რომლის მიხედვითაც ცოტა დაკლებულია ოცნების რეიტინგი. ნაციონალებს რაც შეეხებათ, მათ 5%-იანი რეიტინგი აქვთ...***

– ნაციონალებს რაც შეეხებათ, ამ პარტიამ ვერც თავის დროზე ნახა, სამწუხაროდ, თავისი ადგილი ქართულ პოლიტიკაში, თუმცა, ჰქონდა ამისი შანსი და არც ახლა ცდილობს თავისი ადგილის მოძებნას. ნაცვლად იმისა, როდესაც ხელისუფლებაში იყვნენ, ემართათ სახელმწიფო, ნაცვლად ამ პოლიტიკისა, იარეს მცდარი გზით და ხალხის მეგობრობის მაგივრად და ხალხის სამსახურის მაგივრად, გადაწყვიტეს, რომ ხალხი ჩაეყენებინათ თავიანთ სამსახურში, ანუ ფაქტიურად კომუნისტური პარტიის პოლიტიკას დაადგნენ. ახლა ოპოზიციაში როდესაც არიან და აქვთ მათ ძალიან დიდი შანსი, რომ მართლაც ეწოდოთ მათ ოპოზიციური პარტია და თუ გადაახარისხებენ თავიანთ ძალებს და პოლიტიკურ კურსსაც გადახედავენ და მოერგებიან თანამედროვე წესებს, მაშინ, რა თქმა უნდა, შეუძლიათ დარჩნენ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში და ითამაშონ ქართული პოლიტიკისთვის მისაღები წესებით. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ისინი მაინც სხვა გზას ადგებიან, თავიანთი სტილი არა აქვთ შეცვლილი, ანუ კონფრონტაცია, დაპირისპირება, ქვეყნის საპირისპირო ქმედებანი და ასე შემდეგ. აღარ ჩამოვთვლი მათ ქმედებებს. შესაბამისად რეიტინგებიც აისახება რეალობაზე. რაც შეეხება ქართულ ოცნებას, იცით, თქვენ, რომ ქართული ოცნება საკმაოდ მაღალი რეიტინგით მოვიდა ხელისუფლებაში. უფრო მეტიც, ვიდრე დაუწერა მას ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, სულ სხვა იყო შედეგები და სხვა იყო პარტიის რეიტინგები. როდესაც ხელისუფლებაში ასეთი მაღალი რეიტინგებით მოდიხარ, უნდა შეინარჩუნო ეს რეიტინგი, რაც რთულია. ქართველი ხალხი მაქსიმალისტები ვართ და ყოველთვის მეტს ვითხოვთ. მით უმეტეს, როდესაც ისეთი წინასაარჩევნო პროგრამა გაქვს, როგორიც ოცნებას აქვს. ეს დიდ ძალისხმევას მოითხოვს და ეს კეთდება კიდევაც. ამის შეფასება ბატონმა ბიძინამ 100-დღიან ანგარიშშიც გააკეთა. მაგრამ ხალხი ისე დაიღალა 23 წლის განმავლობაში ხელისუფლებისგან არაფრის კეთებით, ახლა ამისკენ არის მიმართული მთელი ენერგია და აქედან გამომდინარეც, რეიტინგები ცოტას დაიცავს. თუმცა არის სხვა პრობლემებიც.

***– რას გულისხმობთ?***

– საუბარია გარკვეული ბიზნესის მონოპოლიზებაზე, ანუ მე რაც მოვისმინე და რაც ჩემთვის არის ცნობილი, მე ვიცავ თურქ ბიზნესმენს, რომელიც თავის დროზე კეზერაშვილმა, მერე ძმებმა ქარსელაძეებმა – საფინანსო პოლიციის უფროსებმა, შეიმუშავეს კეზერაშვილთან ერთად დანაშაულებრივი გეგმა, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფოსტამ ხელში ჩაიგდო მთელი გადამზიდავების ბიზნესი, ანუ აქ რაზეა საუბარი, ნებისმიერ ფირმას შეუძლია უწოდოს თავის თავს გადამზიდავი ფირმა, ვთქვათ, წავიდეს, თურქეთიდან შემოიტანოს საქონელი, ის ექვემდებარება საერთო განბაჟებას, საერთო აღრიცხვიანობას და ასე შემდეგ. ძალიან რომ უნდოდეს, კონტრაბანდას ვერ შემოიტანს, რადგან ერთიანი წესი მოქმედებს. როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა სათავეში, საფინანსო შემოსავლების სამსახურმა და ასე შემდეგ, როგორც ეს ახლა ირკვევა და როგორც ამაზე ბატონმა ხადურმაც ისაუბრა, მათ დაუძახეს ამ გადამზიდავებს, ვინც წინა ხელისუფლების პერიოდში დაპატიმრებულები იყვნენ, ვისაც ქონებები ჩამოართვეს, გააკულაკეს, ათეულობით მილიონები წაართვეს და ასე შემდეგ, რამდენიმე ფირმაზეა აქ საუბარი, 10-15 ფირმაა; უთხრეს, თქვენ შეგიძლიათ იმუშაოთ დამოუკიდებლად, ვინაიდან აღარ იქნება ქვეყანაში მონოპოლიზება და ასე შემდეგ. მაგრამ ჰოი საოცრებავ, გამოდის ფინანსთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე და აცხადებს – თქვენ მეწარმეობა რა გგონიათ? ყველას ხომ ვერ მივცემთ ქვეყანაში მეწარმეობის უფლებას, ამიტომ დიახაც უნდა მოხდეს გარკვეული საკითხების მონოპოლიზება და ეს ბიზნესი უნდა დაემორჩილოს ერთ ბიზნესს და ასე შემდეგ. სიმართლე გითხრათ, არ დავიჯერე, ამას რომ ვისმენდი, მეგონა, რაღაც სხვა. ამ ყველაფერს ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან სათანადო პასუხი გასცა ბიძინა ივანიშვილმა. თავად ბიძინა ივანიშვილი იქნება ყველა ბიზნესის ინტერესების დამცველი და გარანტორი იმისა, რომ აღარ იქნება მონოპოლიზება, აღარ იქნება ბიზნესის ჩაგვრა. მან გუშინდელ ყრილობაზე ეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად დააყენა.

***– ე.ი. ამის მცდელობა იყო, რომ კვლავ მომხდარიყო ბიზნესის მონოპოლიზება?***

– რა თქმა უნდა, იყო. ბატონი ბიძინა თურქეთში ბრძანდებოდა და ამ თურქი ბიზნესმენისგან პრემიერმინისტრს მიეწოდა ეს მასალები. სამწუხაროდ, ვიღაცა საბოტაჟს აკეთებს შემოსავლების თუ საბაჟო სამსახურში, ესეც გაირკვევა. თუმცა, გასაკვირი არაფერი არ არის, რადგან შემოსავლების სამსახური სავსეა ნაციონალური მოძრაობის წევრებისგან და იმ ჯგუფებისგან, რომლებსაც მართავდა ქარსელაძე, რომელიც იყო საფინანსო პოლიციის უფროსი და კეზერაშვილი. უფრო მეტიც, როდესაც თურქმა ბიზნესმენმა აზარაქიერმა, ჩემი მეშვეობით საჩივარი შეიტანა კეზერაშვილის წინააღმდეგ, მის პარტნიორს თურქეთში შეხვდა კეზერაშვილი, ჯერ მას შესთავაზა მილიონი დოლარი, რომ არ ამოეღო ხმა არც მის წინააღმდეგ და არც ზოგადად ფოსტის ბიზნესის წინააღმდეგ. ანუ ფოსტას, რომ მონოპოლიზებული აქვს გადაზიდვების კომპანია და შესთავაზა ერთი მილიონი დოლარი და როდესაც უარი მიიღო, კეზერაშვილი და მისი თანმხლები პირი, მას სიკვდილით დაემუქრა. თუმცა ჩამოვიდა ის ბიზმესმენი საქართველოში, მისცა ჩვენება, დაიკითხა, გააკეთა განცხადებები და ახლა უკვე ფინანსთა მინისტრის რომელიღაც მოადგილე იმავეს აკეთებს. ანუ მოარული ხმების თანახმად ამ ბიზნესს ისევ აკონტროლებენ კეზერაშვილი, ქარსელაძე და ნაციონალების ის ჯგუფი, რომლებიც დღეს შემოსავლების სამსახურში არიან მოკალათებულები. რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ იქ, როგორც ჩანს, გარკვეული გავლენიანი ჯგუფია შემორჩენილი, რაც, პირდაპირ მინდა გითხრათ, რომ არის საბოტაჟი, დარტყმის ქვეშ აყენებს ხადურს, საკმაოდ წარმატებული მინისტრია.

***– ეს მიზანმიმართული პოლიტიკა ხომ არ არის?***

– დიახ, მიზანმიმართული პოლიტიკაა იმიტომ, რომ მე ვთვლი, ხადური ერთ-ერთი წარმატებული მინისტრია დღევანდელ მინისტრთა კაბინეტში. სხვა ბევრია კარგი, მაგრამ ხადური ძალიან მომწონს. წესრიგი კარგია, მაგრამ თუ ბიზნესი და ეკონომიკა არ განვითარდა, ჩვენს ქვეყანას მომავალი არ უწერია. ვიღაცას, როგორც ჩანს, ხადურის წარმატებული მინისტრობა არ მოსწონს, არ მოსწონს ქვეყნის პოლიტიკა, რომ არ უნდა იყოს მონოპოლიზება და ასე შემდეგ და დაიწყო ძირგამომთხრელი მუშაობა ამ ყველაფრის წინააღმდეგ. ამ დღეებში, როგორც მე მოვისმინე, ამ ბიზნესჯგუფს ექნება ბატონ ხადურთან შეხვედრა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხი გამოსწორდება. მავნებლობა და საბოტაჟი, სხვას ვერაფერს დაარქმევ ამას. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენი ქართული ოცნების და ბიძინა ივანიშვილის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ბიზნესის დამოუკიდებლობა. ვერ ავიტანთ დ ავერ მივიღებთ ვერც ერთ იმ ადამიანს, რომლის ქმედებაც მიმართული იქნება თავისუფალი ბიზნესის განვითარების საწინააღმდეგოდ. ერთი კონკრეტული მაგალითი, რატომ არ წავიდა შალვა ხაჭაპურიძე არანაირ თანამდებობაზე, არ წავიდა არანაირ აღმასრულებელ ხელისუფლებაში, იმიტომ, რომ ხალხი უფრო მიდის იმ ადამიანებთან, რომლებიც ადვოკატურაში არიან, სამოქალაქო სექტორში არიან და ჩვენ უფრო ფხიზლად ვართ ჩვენი ფუნქციიდან გამომდინარე. რაც ახლა გაისმა და, რაც ჩემდა გასაოცრად, ფინანსთა სამინისტროს მაღალმა ჩინოსანმა დაადასტურა, დიახ თქვენ მეწარმეობა იოლი საქმე გგონიათ? ყველას კი არ შეუძლია იყოს მეწარმე. როგორ გეკადრებათ, ბატონო, ნეტავი ყველა იყოს მეწარმე, ვისაც შეუძლია.

***– ეს მოადგილე ნაციონალების დროსაც მუშაობდა თუ ახალი დანიშნულია?***

– დიახ, ნაციონალების დროინდელი კადრები არიან შემორჩენილები, როგორც ჩანს. ისინი საბოტაჟზე მიდიან, მაგრამ როგორც მათი ლიდერი იტყოდა, თავის დროზე, ვერ მოგართვით.

***– შემჩნეული პირები, ალბათ, უნდა გაათავისუფლონ...***

– გაუშვებენ კიდევაც. მით უმეტეს, ასეთ კონკრეტულ ფაქტზეა საუბარი. ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია, ვისაც გვინდა ქვეყნის სიკეთე და მომავალი, რომ ეს ხმა მივაწვდინოთ როგორც ფინანსთა მინისტრს, ისე ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება. ამიტომ ნუ გვგონია ჩვენ, რომ იოლი გზებია გასავლელი, ძალიან რთული გზები გვაქვს გასავლელი. ახლა მივადექით მთავარ ანალიზს რა მდგომარეობაში ჩაიბარა ქართულმა ოცნებამ კომუნისტური მენტალიტეტის მქონე სახელმწიფო. ბევრჯერ იყო მცდელობა, რომ ეს კომუნისტური რეჟიმი შეცვლილიყო, მაგრამ ვერ მოხერხდა. ახლა არის სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური გეგმა, რომ შეიცვალოს ეს ყველაფერი. თუ გამოჩნდებიან ამის ხელისშემშლელები, ისინი მიიღებენ საკადრის პასუხს. ერს სჭირდება ცივილიზებული განვითარება და ფეხზე დადგომა. არავითარი მონოპოლია, ბიზნესს სჭირდება თავისუფლად ფეხზე დადგომა. ჩვენ ვერავინ ველარ დაგვაბრუნებს კომუნისტურ აზროვნებაში, ეს არის ზღაპარი.

## პატრიარქმა საკუთარი თავის შეცნობაზე იქადაგა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გუშინ საკვირაო ქადაგებისას საკუთარი თავის შეცნობისა და სიმართლის სიყვარულის აუცილებლობაზე ისაუბრა. როგორც მან ბრძანა, ადამიანის სრულყოფა დაუსრულებელი პროცესია. დღეს კაცობრიობის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ საკუთარი თავის შეცნობაა.

პატრიარქის თქმით, ადამიანი წავიდა კოსმოსში, შეისწავლა ბუნება, გადადგა დიდი ნაბიჯები მეცნიერებასა და ტექნიკაში, მაგრამ საკუთარი თავის შესაცნობად თითქმის ვერაფერი გააკეთა.

„ძველი ფილოსოფოსები ამბობდნენ: „შეიცან თავი შენი“. როცა ჩვენს თავს ვუყურებთ, თითქოს უფრო შორს მიდის ჩვენგან, იმის მაგივრად, რომ დრო გადის, წლები გვემატება და უკეთ ვიცნობდეთ ერთმანეთს და, მათ შორის, საკუთარ თავს. თუმცა ადამიანი უფრო სუსტდება და ნაკლებად ფიქრობს თავის შეცნობაზე“, –– ბრძანა უწმინდესმა.

როგორც მან აღნიშნა, ბიბლიაში ვკითხულობთ: „შეიყვარე სიმართლე და მოიძულე ურჯულოება“. ამის თქმა იოლია, შესრულება კი –– ძალიან მძიმე.

„ადამიანი ვერ გაიგებს, სად არის სიმართლე. შეიძლება გვერდით იყოს და ეძებდე შორს. მხოლოდ უფალს შეუძლია გახსნას ჩვენი გონება და შევიყვაროთ სიმართლე. უზენაესი სიმართლეა უფალი. უნდა შევიყვაროთ უფალი და მოყვასი და მოვიძულოთ ურჯულოება. ხშირია, როდესაც ურჯულოებას ვაკეთებთ და ვფიქრობთ, რომ კარგს ვაკეთებთ. უნდა გვქონდეს გონება და ვთხოვოთ უფალს, რომ ფიზიკური გონების გარდა მოგვცეს დიდი სულიერი გონება. ეს თუ გვექნება, აღარ ჩავიდენთ იმ შეცდომებს, რასაც ვაკეთებდით“, –– ბრძანა უწმინდესმა.

**მედიანიუსი**

## „ენვერის“ საქმის მონაწილეები საიდუმლო გრიფის მოხსნას მოითხოვენ

სპეცოპერაცია „ენვერის“ საფუძველზე ბრალდებული პირები საქმეზე საიდუმლო გრიფის მოხსნას და საზოგადოებრივ რეაბილიტაციას მოითხოვენ და ამ მიზნით საქართველოს ხელისუფლების შესაბამის უწყებებს მიმართავენ. მათ დღეს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ ხელმძღვანელთან, ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად პრესკონფერენცია გამართეს და საქმეზე საიდუმლო გრიფის დაუყოვნებლივ მოხსნა მოითხოვეს.

როგორც ცნობილია, „ენვერის“ შედეგად რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებული პირები ცოტა ხნის წინ პოლიტპატიმრების სტატუსით გათავისუფლდნენ. ისინი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ და მათი დაპატიმრების გამო პასუხისმგებლობას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს აკისრებენ.

ოპერაცია „ენვერი“ 2010 წელს ჩატარდა. 15 დაკავებულიდან 2 საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გათავისუფლდა, ხოლო 13-ს პატიმრობა მიესაჯა. ახალი მოწვევის პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრებად მიჩნეული პირები, რომელთაც წინა ხელისუფლების პირობებში ჯაშუშობა და გრუ-სთან თანამშრომლობა ბრალდებოდათ, ამბობენ, რომ საქმეზე დადებული საიდუმლო გრიფის გამო, ისინი სრულად არც სასამართლო გადაწყვეტილებას და არც მათ წინააღმდეგ არსებულ სამხილებს იცნობენ.

„ენვერის“ საფუძველზე ბრალდებული პირების ნაწილი რუსეთის, ხოლო ნაწილი საქართველოს მოქალაქეები არიან.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჭუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# კობა დავითაშვილმა შესაძლოა „ქართული ოცნება“ დატოვოს

## დეპუტატი პარლამენტის სპიკერს ორმაგ სტანდარტებში ადანაშაულებს

შორენა მარსაგიშვილი



**კობა დავითაშვილს სერგო რატიანთან გამართული მუშტი-კრივი შესაძლოა ძვირად დაუჯდეს. „მაესტროს“ ეთერში გამართულ ცემა-ტყეპას საკანონმდებლო ორგანო ამ კვირაში განიხილავს. მეოცნებე დეპუტატებმა ეს უკვე დაგმეს. ახლა, ალბათ, სამართლებრივ შეფასებებსაც მისცემენ.**

რა განაჩენს გამოიტანს პარლამენტი, ვერ გეტყვით. კაკო ბობოხიძისთვის კვერცხისა და აკაკი მინაშვილისთვის ქვის სროლა მსროლელებს ას-ასი ლარი დაუჯდათ. შესაძლოა, კობა დავითაშვილიც დააჯარიმონ და რადგან სერგო რატიანმაც გაუქნია მუშტი, უპრიანი იქნება, მხარეებმა ერთმანეთში გაცვალონ ასლარიანები.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დავითაშვილის ისტორია ასე მარტივად არ დასრულდება. უკვე აქტიურად საუბრობენ იმაზე, რომ დავითაშვილმა შესაძლოა კოალიცია „ქართული ოცნება“ დატოვოს. მის განცხადებებში უკვე აშკარად იგრძნობა იმედგაცრუება.

თუ დავითაშვილი კოალიციიდან წავა, ეს მმართველი გუნდიდან რიგით მესამე წასვლა იქნება. თავის დროზე ის ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც მოქალაქეთა კავშირი დატოვა. ასევე მოიქცა ის ნაციონალურ პარლამენტშიც. დავითაშვილი, სხვა დეპუტატებისაგან განსხვავებით, იოლად ვერ ეგუება ხოლმე უსამართლობას და დიდად არც სხვის დაკრულზე მოსწონს ცეკვა.

გაზეთ „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში დავითაშვილი იმაზე ჩივის, რომ სამართალი პურს ვერ ჭამს.

– 4 თვე გადის და ჩვენ ვერ მოვისმინეთ, ვერ ვიგრძენით მართლმსაჯულების განხორციელება ამ ქვეყანაში. ვერ მოვისმინეთ, რა საგამოძიებო მოქმედება ხორციელდება 7 ნოემბერთან, 26 მაისთან დაკავშირებით. გვესმის ფრაგმენტული განცხადებები სხვადასხვა საკითხზე, ხოლო ძირითადი სამართლებრივი ჭიდილი არის მესამეხარისხოვან საკითხებზე, რაც არავისთვის საინტერესო არ არის. როდესაც ვანო მერაბიშვილს სხვისი პასპორტის სარგებლობისთვის დაკითხავენ, ესეც დანაშაულია, მაგრამ მას უფრო მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი. კერძოდ, ვანო მერაბიშვილმა 7 ნოემბერს გასცა ბრძანება და გამოიყენა რეზინის ტყვიები. მაშინდელი პოლიციის კანონში რეზინის ტყვიები გათვალისწინებული არ იყო. ეს არის ხელისუფლების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება და პირდაპირ გამზადებულია საქმე ვანო მერაბიშვილის დასაჭერად... კითხვას ვსვამ – რატომ არ იჭერენ ვანო მერაბიშვილს?! – აცხადებს დავითაშვილი.

კობა დავითაშვილის განცხადებით, მას გუნდურობის განცდა არ აქვს და მიიჩნევს, რომ შერჩევით სამართალს აქვს ადგილი.

– თუ ასე დგას საკითხი და თუ სერგო რატიანის განვლილი გზა, მისი დღევანდელი ცხოვრება კობა დავითაშვილის განვლილი გზისა და პოლიტიკური ცხოვრების ტოლობის ნიშანია ბატონი უსუფაშვილისთვის, მაშინ მე უმრავლესობის სხდომაზე მოვითხოვ ამ საკითხის გარკვევას. მე ვერ ვგრძნობ, რომ ჩვენ ვართ თანაგუნდელები, არ მაქვს თანაგუნდელობის განცდა იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც ორმაგ სტანდარტებს იყენებენ. მათი მხრიდან ადგილი აქვს შერჩევით სამართალს. სისხლის სამართლის დამნაშავე ბაქრაძეს უღიმიან, ხელს ართმევენ და მასთან კოჰაბიტირებენ, ხოლო კობა დავითაშვილისთვის სხვა განმარტებები აქვთ შემონახული. აი, ეს გუნდი არ არის, გუნდი ასე არ იქცევა. ამიტომ გაირკვეს, რას ნიშნავს გუნდი, რას ლაპარაკობს საპარლამენტო უმრავლესობა და, თუ საპარლამენტო უმრავლესობა გადაწყვეტს, რომ კობა დავითაშვილის ყოფნა საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში სამარცხვინოა, ის არის სერგო რატიანის დონის მოღვაწე და ამომრჩევლისგან ხმას არ იმსახურებს, მაშინ მიიღოს უმრავლესობამ გადაწყვეტილება ჩემ მიმართ. მე არ მჩვევია გადაწყვეტილების არდამორჩილება, ოღონდ სახლში დაჯდომის გარანტიას ვერავის მივცემ. მე ძალიან კარგად მესმის, რომ ჩემი პარლამენტის მანდატი ეკუთვნის ბიძინა ივანიშვილს, ის აირჩია ხალხმა და არა კობა დავითაშვილი, მათ შორის არც უსუფაშვილი და ხიდაშელი და, თუ კოალიციისთვის ზიანი მომაქვს და თუ იმდენად უღირსი ადამიანი ვარ, რომ ასეთ შეფასებას ვიმსახურებ, მაშინ ამ მანდატს, როგორც მათგან მივიღე, ასევე უკან დავაბრუნებ. მე ვარ სიით არჩეული, ჩემი გასვლა პარლამენტიდან ავტომატურად გამოიწვევს სიიდან შემდგომი წევრის შემოსვლას ჩემ ადგილას, ოღონდ პოლიტიკიდან წასვლას არ ვგეგმავ, – აცხადებს დავითაშვილი.

დეპუტატის თქმით, არავისგან ჭკუის სწავლების მოსმენასა და ზემოდან ყურების მოთმენას არ აპირებს.

– პოლიტიკური გუნდი სხვანაირად წარმომედგინა, მაგრამ, რას ვიზამთ, ეს მათი არჩევანია. მქონდა განცდა, რომ ვიყავი ერთიანი გუნდის წევრი, მქონდა მცდელობა, გუნდის შიგნით გადაგვეწყვიტა საკითხები, მაგრამ ამ რამდენიმე თვის განმავლობაში ბატონ ბიძინასთან ვერ მივაღწიე შეხვედრას, ვერ მივაღწიე, უმრავლესობის სხდომაში მიმეღო მონაწილეობა, რადგან ასეთი სხდომა არ გამართულა, სადაც შევძლებდი ამ საკითხების დაყენებას, როგორც ჩანს, იკრიბება უმრავლესობის ელიტა და იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც ჩვენ უნდა აღვასრულოთ, – ამბობს კობა დავითაშვილი.

# ელისო კილაძე: „ერეკლე კოდუასთვის იარაღის ჩადებას აპირებენ“

## რატომ არ შეუშვეს გარემოს დაცვის მინისტრი ნაკრძალში

შორენა მარსაგიშვილი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ თავმჯდომარე ელისო კილაძე მორიგ სკანდალურ ინფორმაციებს ახმოვანებს. მისი განცხადებით, მთავარი პროკურატურა და კერძოდ გენპროკურორის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნის ერეკლე კოდუას წინააღმდეგ სპეციალურ ოპერაციას გეგმავს.**

**რატომ იქნება ეს ოპერაცია „გუნავა 2“, რა ხდება დაცულ ტერიტორიებზე, რომელ სტრუქტურებში მოკალათებული ხალხი არბევდა აქციებს, რატომ ეფერება „ქართული ოცნება“ ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელს, ამ თემებზე ელისო კილაძე „ახალ თაობას“ ესაუბრა.**



***– წინა კვირაში თქვენ გაზეთ „ქრონიკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ დაცულ ტერიტორიებზე უკონტროლო ვითარებაა. ამბობდით, რომ იქ მაღალჩინოსნები უპრობლემოდ ნადირობდნენ, რაც კანონით აკრძალულია.***

– დაცულ ტერიტორიებზე მართლაც საგანგაშო ვითარებაა. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომელსაც 2 დღის წინ ჰქონდა ადგილი. ამაზე დროული რეაგირებაა საჭირო.

***– რა ფაქტზე საუბრობთ?***

– ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2 დღის წინ გარემოს დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე იმყოფებოდა დაცული ტერიტორიების სანახავად. ის ტერიტორიაზე არ შეუშვეს.

***– დაცული ტერიტორიები ხომ გარემოს დაცვის სამინისტროს ეკუთვნის?***

– ეკუთვნის, მაგრამ, რადგან გარემოს დაცვის მინისტრს არ უშვებენ, გამოდის, რომ არ ეკუთვნის. დაცული ტერიტორიების სააგენტოს გიორგი შოვნაძე უდგას სათავეში და ეგ განაგებს ყველაფერს.

***– შოვნაძე ამ თანამდებობაზე ნაციონალებმა დანიშნეს და, თუ არ ვცდები, ის პეტრე ცისკარიშვილის ახლობელი იყო.***

– ცისკარიშვილის მეგობარი გახლდათ. ამ თანამდებობაზე კახა ბენდუქიძის რეკომენდაციით მოხვდა. მერე გაირკვა, რომ სულაც მერაბიშვილის კადრი ყოფილა. ახლა გაიძახის, ბიძინასთან „გავაიასნეო“.

***– დაცულ ტერიტორიებს რეინჯერები იცავენ. წინა კვირაში ამბობდით, რომ ეს ადამიანები რეალურად ზონდერები იყვნენ. დამატებით ინფორმაციას ხომ ვერ გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?***

– გეტყვით. გასულ წელს ვაშლოვანის ნაკრძალში შეაგდეს „დიმაუშკები“. მოახდინეს ხანძრის იმიტაცია. ხანძრის ჩასაქრობად გამოიძახეს დახმარება და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, იქ სამხედრო მანქანები შევიდნენ.

***– ხანძარს სამხედრო მანქანებით აქრობენ უკვე?***

– საქმეც ეგ არის, რომ ხანძარი არ ყოფილა. ეს მანქანები იქ სპეციალურად შევიდნენ. სწორედ ამ მანქანების შესაყვანად გაითამაშეს ხანძრის სცენა.

***– რა საჭირო იყო იქ სამხედრო მანქანების შეყვანა? რამე შეიტანეს?***

– ეს ამბავი კარგად არის გამოსაძიებელი. უნდა გაირკვეს, რატომ და ვინ მოახდინა ხანძრის იმიტაცია. გასარკვევია, რა შეიტანეს ან რა გამოიტანეს იქიდან სამხედრო მანქანებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ნაკრძალი სასაზღვრო რეგიონში მდებარეობს.

***– რაც შეეხება რეინჯერების ზონდერობას, ამის დამამტკიცებელი დოკუმენტები გაქვთ?***

– მათ ზონდერობაზე მაქვს ზუსტი ინფორმაცია. ეს ხალხი ატარებს იარაღს, მათ აქვთ ადამიანების დაკავების უფლება. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ეს ადამიანები 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევაში გამოიყენეს. მეტსაც გეტყვით, ანალოგიური საქმეებისთვის იყენებდნენ ფინანსური პოლიციის სპეცრაზმსაც. 7 ნოემბრისა და 26 მაისის დარბევაში ამ ხალხმაც მიიღო მონაწილეობა.

***– რა საჭირო იყო დარბევაში ამ ხალხის გამოყენება?***

– დასარბევად საკმარისი ხალხი არ აღმოაჩნდათ და იმიტომ.

***– ამის გამო ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?***

– თუ ეს პროცესები კოჰაბიტაციის მსხვერპლი არ გახდა, ყველა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ეს არ გახლავთ რიგითი სისხლის სამართლის დანაშაული. ეს არის ქვეყნის წინაშე ჩადენილი დანაშაული. სამწუხაროდ, დამნაშავეების დასასჯელად არაფერი კეთდება. არ მინდა, ვიფიქრო, რომ ამ პროცესებში პრემიერი ივანიშვილია ჩართული. აი, ქვედა რგოლები კი მთელი რიგი საკითხების მიმართ უმოქმედობას იჩენენ.

***– კონკრეტული მაგალითების დასახელება თუ შეგიძლიათ?***

– როგორ არ შემიძლია. ციხის კადრები ყველას გვახსოვს და ამ კადრებმა მთელი ქვეყანა შეძრა. ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები გვეუბნებოდნენ, რომ ეს სკანდალი უკვე გამოძიებულია და საქმე სასამართლოს აქვს გადაცემული. ციხის კადრების ავტორ ლადო ბედუკაძეს ადეიშვილის დროს 4 ეპიზოდში ჰქონდა ბრალი წარდგენილი და 7 ეპიზოდში აქვს ახლა. ეგ არაფერი, ბედუკაძე სასამართლოში დაამტკიცებს თავის სიმართლეს. ყველაზე საინტერესო ისაა, თუ ვინ აწერს ამ ბრალდებას ხელს. ეს გახლავთ რევაზ ნადოი.

***– ვინ არის ეს რევაზ ნადოი?***

– სააკაშვილის რეჟიმის მოსამართლე იყო. მან ბევრი უდანაშაულო ადამიანი გაუშვა ციხეში. ახლა აღმოვაჩინე, რომ ეს ნადოი მთავარ პროკურატურაში პროკურორად მუშაობს. თინა ხიდაშელი ამბობს, რომ ციხის კადრების გამოძიება უფრო საჯარო უნდა იყოს. ამაში ხიდაშელს აბსოლუტურად ვეთანხმები. ციხის კადრებში მთელი რიგი პირები აშკარად ჩანან. ერთ-ერთი მათგანი არის სერგო ბიწაძე, რომელიც გლდანის ციხის ყოფილი უფროსის ალექსანდრე მუხაძის ნათესავი და მარჯვენა ხელია. ის ადამიანი არის მოწმედ ლადო ბედუკაძის საქმეში. მგონი, წინასწარ არის ცნობილი, მუხაძის ნათესავი ვის სასარგებლოდ მისცემს ჩვენებას.

***– ბედუკაძის წინააღმდეგ სხვა ბრალდებებიც წამოვიდა. ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი მას გაუპატიურებას სდებს ბრალად.***

– სანამ ამ ბრალდებაზე გადავიდოდეთ, ციხის კადრებზე ვიტყვი რამდენიმე სიტყვას. ციხის კადრები რომ არა, „ქართულ ოცნებას“ გამარჯვების გაფორმება ძალიან გაუჭირდებოდა. ციხის კადრები იყო ჩვენი დასავლელი კოლეგებისთვის ბოლო წვეთი, თორემ არჩევნებზე მოხდებოდა ის, რაც ხაშურის რამდენიმე უბანზე მოხდა. საარჩევნო უბნებიდან შეიარაღებულ ხალხს მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა გაეტაცებინა ბიულეტენები. რაც შეეხება ბრალდებებს, მე, პირადად, სასაცილოდ მეჩვენება.

***– რატომ არის ეს ბრალდებები სასაცილო?***

– „რუსთავი 2“-ს ბედუკაძის წინააღმდეგ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ხალხი გამოჰყავს. ამ სცენარის უნიჭო ავტორებმა არ იციან ერთი მარტივი რამ, რაც ციხის ყველა თანამშრომელმა და პატიმარმა იცის. ე,წ. ქათმები (არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პატიმრები) ყველა დაწესებულებაში სხვა პატიმრებისგან იზოლირებული არიან. ეს ყველა დროში ასე იყო. ქათმები ერთმანეთთან ამყარებენ სექსუალურ ურთიერთობას. ქათმის გაუპატიურებას ციხის ოფიცერი არ სჭირდება. ამისთვის სპეციალურად ჰყავთ პატიმრები. ისინი დაშინების მიზნით არა მარტო ქათმებს, არამედ გაუპატიურებით სხვებსაც ემუქრებოდნენ. ამიტომ ეს ბრალდებები ბედუკაძის მიმართ არის აბსოლუტური სისულელე. ვიცი, რომ ამ კვირაში გამოქვეყნდება ჩანაწერები, რაც ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს, საიდანაც გავიგებთ, რომ ის ადამიანი ამყარებდა სექსუალურ კავშირს პატიმრებთან და არანაირ გაუპატიურებას არ საჭიროებდა.

***– გუშინ თქვენ საგანგებო პრესკონფერენცია გამართეთ და თქვით, რომ ერეკლე კოდუას წინააღმდეგ ოპერაცია იგეგმება. თქვით, რომ ეს იქნება ოპერაცია „გუნავა 2“. რა ხდება?***

– ერეკლე კოდუას ადვოკატობას ნამდვილად არ ვაპირებ, თუმცა, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ის, რაც ამ ადამიანის წინააღმდეგ იგეგმება. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, მთავარი პროკურორის პირველმა მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილმა მიიღო დავალება და უნდა დაიწყოს გამოძიება ერეკლე კოდუას წინააღმდეგ. დეპარტამენტის უფროსებმაც მიიღეს დავალება ლაშა ნაცვლიშვილისგან – საქმე სპეციარაღის შეძენას ეხება. გამოძიების ფარგლებში იგეგმება ერეკლე კოდუას სახლში იარაღი ჩადონ. ლაშა ნაცვლიშვილს უნდა ესმოდეს, რომ გენერალ კოდუას სახლში იარაღის ჩადება ნიშნავს ოპერაცია „გუნავა 2“-ს. მისი ქმედება აუცილებლად ბუმერანგივით დაუბრუნდება იმ უწყებას, სადაც ის მუშაობს და ასევე ხელისუფლებაში მყოფ კოალიციას. ერეკლე კოდუას დაკავება მხოლოდ მყარი მტკიცებულებებისა და სამხილების წარმოდგენის შემთხვევაში იქნება გამართლებული. მივმართავ ლაშა ნაცვლიშვილს: პროფესიონალიზმი ნიშნავს სამხილებისა და იურიდიული მტკიცებულებების მოპოვებას, მხოლოდ ამის საფუძველზე იქნება გამართლებული ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, აღნიშნული ქმედება კოალიცია „ქართული ოცნების“ იმიჯს დააზარალებს. ამ ოპერაციის იდეის ავტორებს უნდა ვუთხრა, რომ კოდუა ემზადება, მის წინააღმდეგ საქმე აღიძვრება. ამიტომ გაუფორმებელი იარაღი რომც ჰქონდეს, მას სახლში არ შეინახავს. მე არ მინდა, ადამიანებს ასე იჭერდნენ. მაშინ მიპასუხოს ლაშა ნაცვლიშვილმა, რით განსხვავდება ის ადეიშვილისაგან. ისინი ასეთი ქმედებებით იჭერდნენ პოლიტიკურ ოპონენტებს.

***– ადეიშვილი რადგან ვახსენეთ, მის ყოფილ მოადგილე დავით ჩხატარაშვილსაც შევეხოთ. მასზეც ისაუბრეთ პრესკონფერენციაზე. რა ხდება მასთან დაკავშირებით? ვიცით, რომ ის ადეიშვილის მარჯვენა ხელი იყო.***

– ჩხატარაშვილი ნამდვილად ცალკე აღნიშვნის ღირსია. ის შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიდან წამოვიდა მთავარ პროკურატურაში, ანტიკორუფციულ დეპარტამენტში. ის კურირებდა სოდი-კუდის საგამოძიებო სამსახურს. მისი მითითებით ხორციელდებოდა როგორც სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენები, ასევე კომპიუტერებში ვირუსული პროგრამების შეყვანა და უკანონო მოსმენები. მისი მოფიქრებულია ის ვერსიაც, რომელიც სანდრო გირგვლიანის მკვლელობასთან დაკავშირებით გავრცელდა. ის აქტიურად მონაწილეობდა იმ სქემაში, რომლის მეშვეობითაც ბიზნესმენებს ფულს აწერდნენ.

***– რა სქემა იყო?***

– მათი ინტერესის სფეროში ექცეოდნენ ის ფირმები, რომელთა ბრუნვა ნახევარ მილიონ ლარს შეადგენდა. ამ ინფორმაციებსაც უკანონოდ იგებდნენ. შემდეგ მიდიოდა ამ ადამიანების დაკავება. მუშებს აიძულებდნენ ეთქვათ, რომ ხელფასი ერიცხებოდათ სახელფასო ბარათზე და ნაწილს იღებდნენ ხელზე. ასზე მეტი პირია ამ სქემით დაკავებული. დავით ჩხატარაშვილი იყო ამის ერთ-ერთი ორგანიზატორი და, როცა ზურაბ ადეიშვილზე აცხადებ ძებნას, მისი მარჯვენა ხელის ადგილიც არის მის გვერდით გლდანის ციხეში და არა პიქსელის შენობაში გია ხუხაშვილთან ერთად. ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია ის ლოიალობა, რომელსაც „ქართული ოცნება“ დავით ჩხატარაშვილის მიმართ იჩენს.

***– ამ ლოიალობასაც ექნება თავისი მიზეზები. თქვენი აზრით, რისთვის ელოლიავებიან მეოცნებეები ჩხატარაშვილს.***

– მე მესმის, რომ ჩხატარაშვილი ფლობს ბევრ ფასდაუდებელ ინფორმაციას. ის ამ ინფორმაციას, დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებას“ აწვდის, მაგრამ ეს არ არის იმის საბაბი, რომ ის თავისუფლად დანავარდობდეს. ამ ინფორმაციით მას შეიძლება მხოლოდ ბრალი შეუმსუბუქდეს.

## დავით საგანელიძე: „უმრავლესობა კობა დავითაშვილის მიერ საჯაროდ დასმულ საკითხზე მსჯელობას აპირებს“



საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძე ადასტურებს, რომ უმრავლესობა და კოალიცია „ქართული ოცნება“ კობა დავითაშვილის მიერ საჯაროდ დასმულ საკითხზე მსჯელობას აპირებს. მან ეს განცხადება „იმედის“ პირდაპირ ეთერში გააკეთა და დავითაშვილსა და დეპუტატ სერგო რატიანს შორის მომხდარ ინციდენტს დავითაშვილის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია უწოდა.

„კობა დავითაშვილი საკმაოდ გაღიზიანებულია იმ ფაქტის გამო, რაც მოხდა. იმ პროვოკაციამ, რომელიც მის წინააღმდეგ იყო მიმართული, სამწუხაროდ, თავის მიზანს მიაღწია. ამაზე ერთი მხრივ, კოალიცია და მეორე მხრივ, უმრავლესობა ყოველთვის იმსჯელებს და ჩვენი მოსაზრებები გვექნება. ერთადერთი, რაშიც შეიძლება განსხვავებული პოზიცია მქონდეს არის ის, რომ როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ ქვეყანას მშვიდობა და წინსვლა სჭირდება, ხანდახან ხელის ჩამორთმევა იმ ადამიანებისთვის, ვისთანაც ეს მაინცდამაინც არ გიხარია, ალბათ აუცილებელია“, – განაცხადა საგანელიძემ.

შეგახსენებთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა, სადაც კობა დავითაშვილი, სავარაუდოდ, მისი უმრავლესობაში და შესაძლოა, ზოგადად პარლამენტში ყოფნის საკითხის დასმას აპირებს, 18 ან 19 თებერვალს გაიმართება. დავითაშვილის თქმით, მან ის საკითხი, რაზეც საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე აპირებს საუბარს, საჯაროდ უკვე დასვა. საუბარია დეპუტატის მიერ გაზეთ „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუზე, სადაც მან ზოგიერთი საკუთარი თანაგუნდელი ორმაგ სტანდარტებში დაადანაშაულა. დავითაშვილისთვის უმრავლესობის მხრიდან მასსა და სერგო რატიანს შორის ტოლობის ნიშნის დასმა მიუღებელია.

**მედიანიუსი**

## ვინ უპატრონებს ქუჩის ბავშვებს

მერი ნამორაძე



რამდენიმე თვეში თბილისში ქუჩის ბავშვებისათვის ახალი თავშესაფარი ამოქმედდება. ეს იქნება ევროკავშირის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი პროექტი, რომელსაც ქუჩის ბავშვებთან და სოციალურად დაუცველ ბავშვებთან მომუშავე ორგანიზაცია „ბავშვი და გარემო“ განახორციელებს. პროექტში ჩართულნი იქნებიან ორგანიზაცია „ვორლდ ვიჟენი“ და „კარიტასი“. როგორც **„ბავშვი და გარემოს“ პრეზიდენტმა ნანა იაშვილმა** ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, შენობა, რომელშიც თავშესაფარი იყო განთავსებული, იმდენად სარემონტო იყო, იქ ბავშვების შეყვანა აღარ შეიძლებოდა. სარემონტო სამუშაოები მარტში დაიწყება და სამ თვეში თავშესაფარი მზად იქნება ქუჩის ბავშვების მისაღებად.

**ნანა იაშვილი:**

– ამოქმედდება რამდენიმე ტიპის მომსახურება – იქნება მობილური სამსახური, რომელიც ქუჩაში გავა და იქ იმუშავებს ბავშვებთან, ამოქმედდება დღისა და სადღეღამისო ცენტრი. სერვისის მეოთხე სახე იქნება რეაბილიტაციაგავლილი ბავშვებისათვის, რომლებსაც წასასვლელი არსად ექნებათ, მიმღებ ოჯახებში განთავსება.

***– ქალბატონო ნანა, ბოლო ხანებში ქუჩაა თუ მეტროსადგურებში უხვად გამოჩნდნენ ხელგამოწვდილი ბავშვები. ნორმალურად შემოსილნი და ნაკვებნი ჩანან ანუ არ ჰგვანან სოციალურად ძალიან შეჭირვებულ ბავშვებს. პროფესიად ხომ არ ირჩევენ მათხოვრობას. თუ არსებობს ასეთი ტენდენციები?***

– ქუჩის ბავშვების გააქტიურებასთან დაკავშირებით გეტყვით, რომ როგორც დათბება, ისინი უფრო აქტიურნი ხდებიან. პერიოდები აქვთ ასეთი, დროდადრო სხვადასხვა საქმით კავდებიან და არ ჩანან ქუჩაში. რაღაც საქმეს პოულობენ ხოლმე. როგორც კი დათბება, გამოჩნდებიან ქუჩაში. ზოგი ქურდობს, ზოგი მათხოვრობს. თავშესაფარი რომ მუშაობდა, პოლიცია სადაც კი ნახავდა ქუჩის ბავშვებს, ჩვენთან მოჰყავდათ. ეცოდებოდათ ეს ბავშვები და მოჰქონდათ ხოლმე პოლიციელებს მათთვის ხილბოსტნეული. ძალიან ადამიანური დამოკიდებულება ჰქონდათ მათ მიმართ.

რაც შეეხება მათ ჩაცმულობასა და იმას, რომ კარგად ნაკვებნი ჩანან და ვიღაც ორგანიზებულად ამათხოვრებს მათ, არც ეს არის გამორიცხული. ინფორმაცია ამის შესახებ უკვე 4 წელია არ გვაქვს, რაც აღარ მუშაობს მობილური სამსახური. არ გამოვრიცხავ, რომ ამ ბავშვების უკან იდგეს ვინმე უფროსი, მით უმეტეს, რომ იყო ასეთი შემთხვევები. 1992 წელს, რომ დავიწყეთ მუშაობა, გვქონდა შემთხვევა, როცა დედა თავის შვილებთან ერთად სხვა 5-6 ბავშვს აჭმევდა, ასმევდა, უვლიდა, კიდეც სცემდა, მათ კი ფული მოჰქონდათ. არ არის გამორიცხული, ახლაც გვქონდეს საქმე ასეთ შემთხვევებთან. 2 ლარად კიდევ მეორადი მოხმარების სამოსის შეძენა შეიძლება და ბავშვებიც ნორმალურად ჩაცმულ-დახურულნი გამოიყურებიან.

***– დღის ცენტრის ბავშვებში, სადაც მხოლოდ სოციალურად დაუცველები გყავთ და არა ქუჩის ბავშვები, თუ არის მსგავსი ძალადობა მშობლებისგან შვილებზე?***

– ეს ამ ბავშვებისთვის ტაბუდადებული თემაა და ბავშვები მალავენ ასეთ ინფორმაციას. თუ ზედმეტად ფესვებგადგმული არ არის ძალადობა და ზედმეტად შემაწუხებელი, ამის თაობაზე სოციალურად დაუცველი ბავშვები არაფერს ამბობენ. ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ ოჯახებში არის ძალადობა, თუმცა ისეთი არა, როგორიც ქუჩის ბავშვებთან გვაქვს, მით უმეტეს, თუ გაარტყა მშობელმა ბავშვს, ეს ძალადობა არ არის, ეს აღზრდაა. დღემდე ასე მიიჩნევს მშობელთა დიდი ნაწილი. ქუჩაში უფრო მძიმეა ძალადობა და უფრო სხვა ფორმებს იღებს ეს – ბავშვები ერთმანეთზეც ძალადობენ, სექსუალურ ძალადობასაც აქვს ადგილი.

***– კვლავ პრობლემად რჩება 18 წლის შემდეგ ქუჩის ბავშვების დასაქმებისა თუ თვითდამკვიდრების პროცესი?***

– ჩვენ ავტოსამრეცხაო გავხსენით იმისათვის, რომ სრულწლოვნები, რომლებიც ქუჩაში გაიზარდნენ, დაგვესაქმებინა. უკვე მეოთხე წელია, ეს სამრეცხაო მოქმედებს. რატომ მაინცდამაინც სამრეცხაო? რომ გამოვკითხეთ ეს მოზრდილები, ბიჭებმა თქვეს, სამრეცხაო გვირჩევნია, იქ ვიმუშავებთო. მაგრამ მუშაობა უჭირთ, ბეზრდებათ. დაიწყებენ მუშაობას, დღეში აქვთ, დავუშვათ, 10-15 ლარი, შეიძლება მეტიც, მაგრამ გავა რამდენიმე თვე და ეზარებათ, ფიზიკური შრომა არ უნდათ. – არ შემიძლია, დავიღალე! – ამბობენ და მიდიან. ერთი ბიჭი ასე რამდენჯერმე წავიდა, დაბრუნდა, ისევ წავიდა. უმეტესობა რამდენიმე თვეში მიდის და აღარ ბრუნდება. ჩვენ ხომ ვერ დავაძალებთ!

***– სად მიდიან, რას საქმიანობენ, მცირე ვაჭრობის წამოწყება ურჩევნიათ?***

– მაგასაც ვერ ახერხებენ. პირობითად რომ ავიღოთ, 100-დან შეიძლება 10-მა მიჰყოს ხელი ვაჭრობას, რომლითაც თავს შეინახავს. როცა ბავშვი 13-14 წლის ასაკში მოვა ჩვენთან, ის უკვე გაზარმაცებულია. მიჩვეულია არაფრის კეთებას, მათხოვრობას და მომავალშიც ეზარება მუშაობა. პატარა ასაკში მოსულები უფრო კარგად მუშაობენ შემდეგში. ზოგი წარმატებულად საქმდება მძღოლად, ზოგმა სამხედრო სამსახური დაამთავრა, ზოგმა მართლაც წამოიწყო წარმატებული ვაჭრობა.

## მოჯადოებული წრის საფრთხე

**მიუხედავად იმისა, რომ გასული კვირა განსაკუთრებული პოლიტიკური ვნებათაღელვით გამოირჩეოდა, ალბათ ნებისმიერი მკითხველი დამეთანხმება, რომ მოულოდნელი არაფერი მომხდარა.**

ცალკე საკითხია უნდა მომხდარიყო თუ არა ის, რაც მოხდა, ან ვისი ბრალია რომ მოხდა, მაგრამ ფაქტი ერთია, საქართველოს უახლეს ისტორიაში კიდევ ერთი, არცთუ საამაყო ფურცელი ჩაიწერა.

როგორც წესი, საზოგადოება პოსტფაქტუმ რეაგირებს, ხოლო პასუხისმგებლობას იმაზე, რომ საქმე ამა თუ იმ კონკრეტულ კონდიციამდე არ უნდა მიეშვა – არ იღებს.

ეს ყველაფერი კი საბოლოოდ, მოჯადოებული წრის სახეს იღებს, რომელზეც იგივე საზოგადოებრიობა თითქმის 20 წელია სწუხს, თუმცა რეალურ ნაბიჯებს ამ მოჯადოებული წრიდან გამოსასვლელად არ დგამს, ან არ უნდა რომ გადადგას.

შეიძლება ეს ძალიან შორეული პერსპექტივა იყოს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად ბოლო დროს ქვეყანაში მომხდარი უდიდესი პოზიტიური ძვრებისა, საქართველო, მოჯადოებულ წრეში კიდევ ერთხელ დატრიალების საფრთხის წინაშე დგას.

ამჯერად ყურადღება პრეზიდენტის ინსტიტუტზე გვინდა გავამახვილოთ, რომელიც შესაძლებელია სულ მალე მხოლოდ სიმბოლურ თანამდებობად იქცეს, ხოლო პრეზიდენტის ფუნქცია შეიძლება მხოლოდ აეროპორტში სტუმრის მიღება-გაცილებით განისაზღვროს.

ეს ტენდენცია არანაკლებ საშიში და რისკის შემცველია, ვიდრე თავის დროზე მიხეილ სააკაშვილის ნაბიჯები იყო, როცა მან პრეზიდენტის უფლებები განუსაზღვრელად გაზარდა.

სააკაშვილის მიერ 2004 წელს გადადგმული ნაბიჯების შედეგებს, რომელიც სხვათა შორის თავის დროზე საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილმა გააპროტესტა, – ქვეყანა დღეს იმკის, მაგრამ ასევე არსებობს საფრთხე, რომ დღეს გადადგმული ნაბიჯების შედეგები, მოსახლეობაზე, წლების შემდეგ კვლავ ნეგატიურად აისახოს.

ქართული რადიკალიზმიდან გამომდინარე, 9 წლიანი ავტორიტარიზმის შემდეგ, გარკვეული პოლიტიკური სუბიექტები ცდილობენ საზოგადოების პროტესტი არა კონკრეტული ადამიანებისა და დამნაშავეებისკენ მიმართონ, არამედ დარტყმა გარკვეულ ინსტიტუციებს, ამ შემთხვევაში კი პრეზიდენტის ინსტიტუტს მიაყენონ.

ფორმულამ იმის შესახებ, რომ ძალაუფლება რყვნის, ხოლო აბსოლუტური ძალაუფლება აბსოლუტურად რყვნის, – ათეულობით საუკუნეს გაუძლო და სავარაუდოდ კაცობრიობას მისი არსებობის მანძილზე გაჰყვება, მაგრამ ამ შემთხვევაში არა ძალაუფლების ფორმას, არამედ ძალაუფლების მფლობელს უნდა მივაქციოთ ყურადღება და არავითარ შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, არ უნდა დავუშვათ, რომ ეს ძალაუფლება აბსოლუტური გახდეს, როგორც ამას თუნდაც სულ რამდენიმე თვის წინ ჰქონდა ადგილი.

დღეს კი, მცდელობა იმისა, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუტი პრაქტიკულად ფორმალური დატვირთვის მატარებელი გახდეს, ქართულ ანდაზას წააგავს, რომლის თანახმადაც, კაცმა, რომელმაც ცხენს ვერაფერი დააკლო, – უნაგირი დაამტვრია.

სწორედ იგივე იქნება, თუ საზოგადოება ამ შემთხვევაში პასუხს კონკრეტულ პიროვნებას ან პიროვნებებს კი არ მოსთხოვს, არამედ შურს საპრეზიდენტო ინსტიტუტზე იძიებს.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მართვის აუცილებელი ბერკეტები, თუ ის ერთი ადამიანის ხელშია თავმოყრილი, ამ ადამიანს საკმაოდ დიდი გამოცდის წინაშე აყენებს, რაც მსოფლიო ისტორიის მაგალითების გათვალისწინებითაც კი, მხოლოდ ერთეულებს თუ ჩაუბარებიათ.

ამ შემთხვევაში, რა აზრი აქვს ვის ხელში იქნება ეს ბერკეტები თავმოყრილი ან რა ერქმევა ძალაუფლების მფლობელს, პრეზიდენტი, პრემიერი თუ მონარქი.

თუ პრეზიდენტს გამოეცლება სახელმწიფოს მართვის რეალური ფუნქციები, სავსებით ლოგიკურია, რომ ეს ფუნქციები ვინმე სხვა საჯარო მოხელის ხელში უნდა გადავიდეს. ამ შემთხვევაში, „ვინმე სხვა საჯარო მოხელეში“ პრემიერ-მინისტრი იგულისხმება.

ალბათ ყველა დამეთანხმებით, რომ დღეს, ვისი, ძალაუფლებით ხიბლში ჩავარდნის საფრთხეც ყველაზე ნაკლებად არსებობს, ეს სწორედ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილია, რომლის ხელშიც რეალურადაა თავმოყრილი ქვეყნის მართვის სადავეები.

ასევე გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის, პრემიერის თანამდებობა ზედმეტი ტვირთია და ის არავითარ შემთხვევაში ამ თანამდებობას ბოროტად არ გამოიყენებს, მაგრამ არის თუ არა გარანტია, რომ თუნდაც იგივე ოცი წლის შემდეგ, საზოგადოების აგრესია სწორედ ისე არ წარიმართება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტის მიმართ, როგორც ეს დღეს პრეზიდენტის ინსტიტუტთან დაკავშირებით ხდება.

ანუ სად არის გარანტია, რომ ბიძინა ივანიშვილის შემდეგ გაპრემიერებული პიროვნება, ზუსტად ისევე არ გამოიყენებს თავის დიდ უფლებებს, როგორც ამას მიხეილ სააკაშვილი აკეთებდა.

ასეთ შემთხვევაში, საზოგადოება თავის აგრესიას რა თქმა უნდა მიმართავს პრემიერის ინსტიტუტისკენ, და პრეზიდენტის უფლებების შეკვეცას შეცდომად მონათლავს.

ამასობაში პრემიერის უფლებების ხარჯზე გაიზრდება პრეზიდენტის უფლებები, რომელიც სწორად ისევე შეიძლება გააფუჭოს აბსოლუტურმა ძალაუფლებამ, როგორც ეს მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში მოხდა.

ანუ საქართველო კვლავ მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდება და გარკვეული პერიოდის მონაცვლეობით, პრეზიდენტისა და პრემიერს შორის ფუნქციების გადანაწილებით შეიქცევს თავს.

ეს პროცესი დაუსრულებლად შეიზლება გაგრძელდეს, უფრო სწორედ მანამ, სანამ თავად ქვეყანა, როგორც სახელმწიფო არ დასრულდება.

ამ შემთხვევაში, მოჯადოებული წრიდან თავის დასაღწევად და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს არც ახალი ველოსიპედის გამოგონება უწევს და არც რაიმე შეუძლებელი აქვს გასაკეთებელი.

მოჯადოებული წრიდან თავის დასაღწევად სავსებით საკმარისია, რომ მსოფლიოს მოწინავე, განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნების მაგალითები გავიხსენოთ და ქვეყანა დაბალანსებული მმართველობის პრინციპებზე გადავიყვანოთ.

დღეს საქართველოს ნამდვილად არ სჭირდება ისეთი პრეზიდენტი, რომლის ფუნქციებიც ფორმალური იქნება.

პირიქით საქართველოს სჭირდება ძლიერი პრეზიდენტი, რომელსაც ძლიერი მთავრობა და ასევე ძლიერი პარლამენტი დააბალანსებს.

ამ შემთხვევაში, აბსოლუტური ძალაუფლების მოპოვება გამორიცხულია, რაც, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ფორმულის ხორცშესხმის რისკს მნიშვნელოვნად ამცირებს.

თუ საქართველოს მმართველი ვერტიკალი ჩამოყალიბდება ძლიერი პრეზიდენტისგან, ძლიერი პარლამენტისგან და ძლიერი მინისტრთა კაბინეტისგან, რასაც დაემატება თავისუფალი სასამართლო და თავისუფალი მედია, ქვეყანას ნამდვილად ექნება შანსი, ჩადგეს იმ განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნების რიცხვში, რომლებიც დღეს მისაბაძად გვყავს ქცეული.

აბსოლუტური ძალაუფლება კი, იქნება ის პრეზიდენტის, პრემიერის თუ პარლამენტის თავმჯდომარის ხელში, ძალზე დიდი ალბათობით კვლავ აბსოლუტურ გარყვნაში გადაიზრდება.

რაც შეეხება საზოგადოებას, მისი ვალი სწორედ ის უნდა იყოს, რომ არ დაუშვას ხელისუფლების შტოებს შორის დისბალანსი და არ დაუშვას, ერთი შტოს მეორის ხარჯზე გაძლიერება, ან ერთი შტოს მიერ მეორის დამორჩილების მცდელობა, რაც იგივე ეტაპზე დაგვაბრუნებს, რომელშიც ქვეყანა ბოლო წლების განმავლობაში იყო.

დღეს ქვეყანას აქვს უნიკალური შანსი, შედგეს როგორც განვითარებული და ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყანა და სავარაუდოდ ეს ასეც მოხდება, თუ რა თქმა უნდა, შიდა ან გარე პოლიტიკურ ცხოვრებაში რაიმე ალოგიკური პროცესები არ განვითარდა, მაგრამ ერთია, როცა ქვეყანა არის ეკონომიკურად ძლიერი და განვითარებული, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და პრინციპულია, რომ ეს ეკონომიკური განვითარება, ასევე განვითარებულ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ემყარებოდეს, რაც ეკონომიკის რყევის რისკ-ფაქტორებს მნიშვნელოვნად შეამცირებს.

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ერმა, თუნდაც განვლილი 20-25 წლის უახლესი ისტორიიდან სათანადო დასკვნები გამოიტანოს და პრობლემები არა რომელიმე კონკრეტულ ინსტიტუციაში, არამედ პირველ რიგში საკუთარ თავში მოძებნოს და არასდროს აღარ დაუშვას, რომ ამა თუ იმ კონკრეტული ადამიანის ხელში აბსოლუტური ძალაუფლება მოაქციოს.

ამ შემთხვევაში, ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტი შეიძლება ქვეყნის განვითარების და სტაბილურობის ქვაკუთხედიც კი გახდეს, ვინაიდან, თუ საზოგადოება აიძულებს და სახელისუფლებო შტოებს შორის შიდაკონკურენციას გაზრდის, ამით პირველ რიგში მოგებული ისევ და ისევ საზოგადოება და სახელმწიფო დარჩება, ხოლო იმ შემთხვევაში კი, თუ ერი გადაწყვეტს და აბსოლუტურ ძალაუფლებას პრეზიდენტის ნაცვლად უკვე სხვა ინსტიტუტს გადასცემს, შესაძლებელი არა ახლო პერსპექტივაში, მაგრამ ქვეყანა აუცილებლად აღმოჩნდება ჩვენს მიერ ზემოთ ნათქვამ მოჯადოებულ წრეში.

ახალ ხელისუფლებას, რომელმაც შეძლო და ქვეყანა ავტორიტარიზმის მარწუხებიდან ამ ეტაპისთვის მეტნაკლებად გაათავისუფლა, გარდა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოს გაუმჯობესებისა, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მისია აკისრია, რომელიც მან აუცილებლად უნდა შეასრულოს და რომელიც საქართველოს მომავალი ძლიერების საფუძველი უნდა გახდეს.

ეს მისია მდგომარეობს იმაში, რომ მათ უნდა შეძლონ და საზოგადოებას რეალური დემოკრატიული ღირებულებების სიკეთე და უალტერნატივობა დაანახონ, რათა საზოგადოება მუდმივად მზად იყოს, რომ ქვეყანაში 2004-2012 წლები აღარ დაუშვას.

თუკი ახალი ხელისუფლება მოახერხებს და საზოგადოების ცნობიერებაში ამ ძირეულ გარდატეხას შეიტანს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ მას ერის ცხოვრებაში თავისი ისტორიული მისია შესრულებული ექნება, რაც კიდევ ვიმეორებ, ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის საწინდარი უნდა გახდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამა თუ იმ ინსტიტუტზე იერიშის მიტანით, თუნდაც ეს ინსტიტუტი საპრეზიდენტო იყოს, – გრძელვადიანი პერსპექტივის მიღწევა საკმაოდ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

**ალექსანდრე კაპანაძე**

**სააგენტო „ნიუპრესი“**

# ბიძინა ივანიშვილი: „ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამყარდეს!“

## რას ერჩის „ქართული ოცნების“ პრესსამსახური ჟურნალისტებს

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ რიგგარეშე ყრილობა ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში 16 თებერვალს გაიმართა. ყრილობის გასაშუქებლად რეგისტრაცია გავიარეთ და პრესისთვის განკუთვნილ „გალიორკასაც“ მივაკითხეთ. თუმცა, გავარკვიეთ, რომ ხმის გამაძლიერებელი სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა ჩვენს მუშაობას და ამიტომ აღმოვჩნდი, როგორც მოგვიანებით გავარკვიე, ჩემთვის აკრძალულ ადგილას. აკრძალული ადგილი კი ფილარმონიის დარბაზის პირველი რიგი იყო, სადაც ჩემი იქ ყოფნით ხელი არავის ეშლებოდა და მეც ხმასაც ვიღებდი ანუ ვმუშაობდი.

თუმცა, პარტიის პრესსამსახურის წარმომადგენელმა გადაწყვიტა, რომ მისი ფუნქცია ჟურნალისტისთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა კი არ არის, არამედ წესრიგის დაცვაა, შესაბამისად, გადაწყვიტა, დარბაზი დამეტოვებინა. ჩემი პროტესტის შემდეგ გამონაკლისის სახით შემპირდა, დიქტოფონს თუ გავატანდი და მე გარეთ დაველოდებოდი, ბიძინა ივანიშვილის გამოსვლის ტექსტს ჩამიწერდა.

პრესსამსახურის წარმომადგენელს როდესაც ასე ესმის ჟურნალისტის საქმიანობა, იძულებული ხარ, იქაურობას გაეცალო.

ფოიეში გავაგრძელე მუშაობა, სადაც ხმის რეჟისორი მუშაობდა და რამდენიმე პოლიციელი უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას.

პარტიის საპატიო თავმჯდომარედ ყრილობის დელეგატებმა ბიძინა ივანიშვილი აირჩიეს. ბიძინა ივანიშვილმა დარბაზში შეკრებილ ხალხს სიტყვით მიმართა.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ის რევანშს არ დაუშვებს.

– მინდა, შევეხო იმ დაპირისპირებასაც, რომელიც ამ ბოლო დროს ჩხუბსა და ცემა-ტყეპაში გადაიზარდა, მათ შორის პოლიტიკოსების გაწევ-გამოწევაც ვიხილეთ. კარგად მინდა, გავაანალიზო, რა მოხდა და რასთან გვქონდა საქმე საჯარო ბიბლიოთეკასთან. მე კარგად მესმის აღელვებული, სააკაშვილისგან უფლებააყრილი ხალხის, რომელიც პროტესტის გამოსახატავად შეიკრიბა. ამას მათ, რა თქმა უნდა, ვერავინ დაუშლის. მაგრამ ის, რაც მერე მოხდა, ყოვლად დაუშვებელია. ახლავე უნდა ვისწავლოთ ის, რომ უსამართლობას კანონის ძალით გავცეთ პასუხი და არა მუშტი-კრივით, რადგან, თუ ადამიანებმა გადაწყვიტეს, რომ პირადად უნდა გაუსწორდნენ და ასე აგებინონ პასუხი მოძალადეს, არაფერი გამოვა, ასე სახელმწიფო არ აშენდება. ერისა და ქვეყნის კულტურა სწორედ აქ ვლინდება. სწორედ სახელმწიფო და კანონია ის ძალა, რომლის იმედიც უნდა ჰქონდეს კაცს. სახელმწიფომ, კანონმა და სასამართლომ უნდა აღადგინოს სამართლიანობა, თორემ სხვანაირად უსამართლობა ახალ უსამართლობას შობს, ძალადობა – ძალადობას და ქიშპი და ანგარიშსწორება აღარ დამთავრდება, ქვეყანაში განუკითხაობა დაისადგურებს და ფეხზე ველარასოდეს წამოდგება. მესმის, რომ ძნელია ამის მოსმენა იმ ხალხისთვის, რომელმაც რეჟიმის ძალადობა საკუთარ თავზე იწვნია, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს თუ არ შევაჩერეთ, გაცილებით მძიმე შედეგებამდე მივალთ. მე გპირდებით, რომ სამართლიანობას აუცილებლად აღვადგენთ, მაგრამ ეს ცივილიზებულად უნდა მოხდეს, ისე, როგორც ეს ჩვენს დიდი კულტურის ქვეყანას ეკადრება. სამართლიანობის აღდგენას თავისი წესი და რიგი აქვს, დრო სჭირდება და, რაც არ უნდა გვეჩქარებოდეს, ხელოვნურად პროცესებს ვერ დავაჩქარებთ, – განაცხადა ივანიშვილმა და დასძინა, რომ რევანშს არ დაუშვებენ, მაგრამ პრემიერმა პირობა დადო, რომ „ყველა დამნაშავე კანონის წინაშე აგებს პასუხს“.

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ საპატიო თავმჯდომარის განცხადებით, კონსტიტუცია აუცილებლად გადაიხედება, რადგან, სამწუხაროდ, ბევრ ხარვეზს შეიცავს.

– საქართველოს დღევანდელი კონსტიტუცია შეიცავს გაუგონარ ნორმას – პრეზიდენტს შესაძლებლობა აქვს, ისე დანიშნოს მთავრობა, რომ პარლამენტს, ხალხს არ შეუთანხმოს. მსოფლიოს არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ არსებობს ამის პრეცედენტი, არსად არ ეძლევა ერთ კაცს იმის შესაძლებლობა, რომ ერთპიროვნულად დანიშნოს მთავრობა და ამით ხალხს მოჰპაროს ძალაუფლება. 9 წელი გვაცხოვრეს ქვეყანაში, რომელსაც კონსტიტუციით გაფორმებული დიქტატურა ჰქონდა, ამიტომაა საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები, რათა ქართველი ხალხის კანონიერი უფლება აღდგეს და წართმეული ძალაუფლება დაუბრუნდეს. ასეთი ცვლილებების აუცილებლობა საპარლამენტო უმცირესობის წევრებსაც კარგად ესმით. ეს რომ ესმით, იმიტომაც შემოგვთავაზეს გონივრული წინადადება, რომ ოქტომბერში ასამოქმედებელი კონსტიტუციის რამდენიმე ნორმა ახლავე ავამოქმედოთ. მე მივესალმები ყველა გონივრულ აზრს, სახელმწიფოს ინტერესებისათვის გადადგმულ ყველა ნაბიჯს და მჯერა, რომ ამით მხოლოდ ჩვენი ხალხი და ჩვენი ქვეყანა მოიგებს, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერმა დელეგატებს განუცხადა, რომ კონსტიტუცია აუცილებლად გადაიხედება. ივანიშვილის განცხადებით, სამართალდამცველი ორგანოები კრიმინალის გაზრდას არ დაუშვებენ და ვინც დააშავებს, ყველა სათანადოდ აგებს პასუხს.

– სამართლიანობის აღდგენის გზაზე პირველი ნაბიჯები უკვე გადავდგით. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა ამნისტიის კანონი მიიღო. ბევრი პატიმარი დაუბრუნდა ოჯახს. გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრებიც, ადამიანები, რომლებიც, უბრალოდ, ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერისა თუ განსხვავებული აზრისთვის კრიმინალებად მონათლეს, ადამიანები, რომლებიც უსასტიკეს, შეურაცხმყოფელ, არაადამიანურ პირობებში ამყოფეს, იძალადეს მათზე, ჯანმრთელობა შეურყიეს, ცხოვრება დაუნგრიეს. ახლა პანიკას თესავენ, არიქა, ამნისტიის წყალობით გამოუსწორებელი დამნაშავეები გამოვიდნენ გარეთ და ქვეყანას კრიმინალების თარეში ემუქრებაო. ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები კრიმინალის გაზრდას არ დაუშვებენ და, ვინც დააშავებს, ყველა სათანადოდ აგებს პასუხს. პირობას გაძლევთ, რომ წინ აღვუდგებით ნებისმიერ უკანონობას. ბოლოს და ბოლოს, ჩვენს ქვეყანაში კანონის უზენაესობა უნდა დამყარდეს. ყველა ერთი იქნება კანონის წინაშე, მიუხედავად ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური კუთვნილებისა. პირობას გაძლევთ, განსხვავებულობის გამო, თავისუფალი აზრისთვის, თავისუფალი სიტყვისთვის აღარავინ დაისჯება, – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.



ყრილობაზე პრემიერმა ხელისუფლებაში ყოფნის ტვირთსა და პასუხისმგებლობაზე ისაუბრა.



– პარტიას დაარსებიდან სულ რამდენიმე თვეში ქვეყნისთვის მნიშვნელოვან არჩევნებში მონაწილეობის მიღება მოუხდა. ჩვენ ამ არჩევნებში კოალიციურ რეჟიმში მივიღეთ მონაწილეობა და გამარჯვებული გამოვედით. ყველას გახსოვთ, პარტიის ჩამოყალიბება როგორ ფორსმაჟორულ რეჟიმში მოხდა, რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა. პარტიაში გაწევრიანების გამო ადამიანებს იჭერდნენ და ოჯახებს აშანტაჟებდნენ, თუმცა პარტიამ ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს. დღეს ჩვენს პარტიას პარლამენტში ყველაზე დიდი წარმომადგენლობა ჰყავს. დღეს სულ სხვა ამოცანების წინაშე ვდგავართ, დღეს ჩვენ წინაშე სულ სხვა დღის წესრიგია. ხალხი გვენდო და ხმა მოგვცა, ვალდებული ვართ, ეს ნდობა გავამართლოთ. ხელისუფლებაში ყოფნის პასუხისმგებლობა გაცილებით დიდია და ჩვენი ვალია, ეს ტვირთი ვატაროთ, – განაცხადა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს ჟურნალისტებმა ბათუმში მეჩეთის მშენებლობის შესახებ ჰკითხეს.

მეჩეთის მშენებლობაზე საუბარი ივანიშვილის თურქეთში ვიზიტის დროს პრემიერ ერდოღანთან შედგა.

უკვე ცნობილია, რომ ბათუმში მეჩეთის ასაშენებლად ადგილი რამდენიმე დღეში მოიძებნება.

პრემიერის თქმით, იმ ადგილზე, სადაც წინა ხელისუფლება აზიზიეს მეჩეთის აშენებას გეგმავდა, სამლოცველო არ უნდა აშენდეს.

როგორც ივანიშვილმა განმარტა, წლების განმავლობაში „ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნულ თემას აჟიტირებას უკეთებდა, მისი ვიზიტისას კი საკითხი სწრაფად დარეგულირდა.

– ბათუმსა და აჭარაში მუსლიმანი მოსახლეობა ბევრია. ასევე არიან ინვესტორები და ტურისტები, რომელთაც სალოცავი ადგილი არ აქვთ. ისინი სალოცავად ეზოში გამოდიან და იქაც ვერ თავსდებიან. საქართველოში მეჩეთის აშენების პრობლემა არ არის. ადგილს აჭარის მთავრობის მეთაური არჩილ ხაბაძე იძიებს, რომელიც დელეგაციის წევრი იყო. უახლოეს მომავალში ადგილს მოვიძიებთ და აშენდება მეჩეთი. ამას არავითარი პოლიტიკური დატვირთვა არ სჭირდება, – განაცხადა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, თურქეთის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმების შედეგად ქართული დელეგაცია და ექსპერტთა ჯგუფები იშხნისა და ოშკის რესტავრაციაზე დაიშვებიან.

ივანიშვილი აცხადებს, რომ კოალიციაში მყოფ პარტიებთან ერთად ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიის შექმნა იწყება.

– ხალხმა გარკვევით უნდა იცოდეს, თუ რომელ პოლიტიკურ ძალას მიჰყვეს და მიემხროს, ვინ აირჩიოს და ვინ არა. ხალხს სიცხადე სჭირდება. ჩვენი პარტია არასოდეს ჩადგება იმ სახელისუფლებო პარტიათა რიგში, რომელთა არსებობის სამწუხარო პრაქტიკაც ჩვენს ქვეყანაში იყო. ბოლო 20 წელია, მმართველ პარტიაში ერთიანდებიან არა იდეოლოგიური და პარტიული ნიშნით, არამედ მას ეტმასნებიან გამდიდრებისა და ძალაუფლების სურვილით შეპყრობილი ადამიანები. ასეთი პარტიები ხელისუფლებიდან წასვლისთანავე იშლებიან და მათ არსებობა არავის ახსოვს. „ქართულმა ოცნებამ“ სხვა პრაქტიკა უნდა დაამკვიდროს, – განაცხადა ივანიშვილმა.

პარტია „ქართულმა ოცნება – დემოკრატიულმა საქართველომ“ პოლიტსაბჭოს 21 წევრი აირჩია.

პარტიის ახალი წესდებით პოლიტსაბჭოს ახალი შემადგენლობა 21 წევრით განისაზღვრა. ესენი არიან: ელისო ჩაფიძე, ეკა ბესელია, გუგული მაღრაძე, ირინა იმერლიშვილი, ივანე კილურაძე, ირაკლი ტრიპოლსკი, ირაკლი სესიაშვილი, თამაზ ავდალიანი, ზვიად კვაჭანტირაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, მურმან დუმბაძე, ნოდარ ხადური, კახი კალაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, დავით ფაცაცია, ირაკლი ჟორჟოლიანი, ალი ბაბაევი, უჩა მამაცაშვილი, გივი ჭიჭინაძე, დავით საგანელიძე, მანანა კობახიძე.

ივანიშვილი პირობას დებს, რომ პარტია ხელისუფლებას არ შეეზრდება და ქვეყანაში 20-წლიანი ტრადიცია დაირღვევა.

– ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ მე ვარ პრემიერ-მინისტრი და, ამავდროულად, პარტიის საპატიო თავმჯდომარედ ამირჩიეს. საქართველოში დაირღვევა ტრადიცია, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში არ არსებობდა ზღვარი მმართველ პარტიასა და ხელისუფლებას შორის. აღარ მოხდება ამ ორი ცნების აღრევა. პარტია იარსებებს, როგორც დამოუკიდებელი პარტია. უნდა შევქმნათ პრეცედენტი, რომ მმართველ პარტიასა და მთავრობას შორის მკაცრი ზღვარი გაივლოს. ამის პირობასა და გარანტიას მე გაძლევთ, – აღნიშნა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებით, მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე ის საკითხიც კი განიხილებოდა, შეიძლება თუ არა, პარტიის საქმეები მოაგვაროს მთავრობის წევრმა, რომელიც სახელმწიფო მანქანით სარგებლობს და, იმავდროულად, პარტიის წევრიცაა.

პრემიერის განცხადებით, ასევე მკაცრად გაკონტროლდება, რომ არ გაჩნდეს დიდი სხვაობა კოალიციაში შემავალ სხვა პარტიებსა და პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ რეიტინგებს შორის.

– ჩემი პარტია არ არის უფრო ძვირფასი, ვიდრე კოალიციაში შემავალი პარტიები, – ამბობს ივანიშვილი.

## ნიკო ხაჩირიშვილი დაიკითხა

შპს „თბილსერვის ჯგუფის“ საქმესთან დაკავშირებით საკრებულოს წევრი ნაციონალური მოძრაობიდან, ნიკო ხაჩირიშვილი დაიკითხა. გამოძიება მას კითხვებს 3 საათის განმავლობაში უსვამდა.

როგორც ცნობილია, გამოძიება ეჭვობს, რომ „თბილსერვის ჯგუფში“, რომელსაც თბილისში გამწვანების სამუშაოები ევალებოდა, ფიქტიურად იყვნენ ადამიანები დასაქმებულები, თუმცა ხელფასს იღებდნენ. მერიაში ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფენ და აცხადებენ, რომ იქ დასაქმებული ადამიანები თავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ.

ხაჩირაშვილის თქმით, მათი მიზანი შრომისუნარიანი ადამიანების დასაქმება იყო.

„ჩვენ თუ მოგვეცემა იმის საშუალება, რომ უფრო მეტი ადამიანი დავასაქმოთ, ამას მომავალშიც გავაკეთებთ“, – განაცხადა მან.

მედიანიუსი

## საპარლამენტო უმცირესობა ივანიშვილის საგარეო პოლიტიკას წარუმატებელს უწოდებს

საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის გუშინწინდელ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, საქართველო წარმატებულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებს. როგორც დეპუტატმა დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, მისთვის გაუგებარია, თუ რას გულისხმობს პრემიერი წარმატებულ ვიზიტებში.

„თუ ზოგადად ვიზიტები თავისთავად წარმატებად ითარგმნება... არ მგონია ასე იყოს“, – განაცხადა დარჩიაშვილმა ფილარმონიაში ჩატარებულ პარტიულ ყრილობაზე ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას.

პარლამენტარ შოთა მალაშხიას შეფასებით კი, საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლების მუშაობამ სრული კრახი განიცადა.

„საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით ეს იყო სრული კრახი. ჟარგონზე, რომ ვთქვათ, ეს იყო „გადაგდების პოლიტიკა“. ის ჩვენს მეზობლებს ვიზიტის წინ ერთს ეუბნება და დაბრუნებისას მეორეს აკეთებს. ასე იყო ბაქოში ჩასვლისას, ერევანში რკინიგზაზე შეთანხმებისას, ასევე აზიზიეს მეჩეთთან დაკავშირებით თურქეთში ვიზიტისას... ეს შეიძლება გამოსადეგი იყოს რუსი ოლიგარქისთვის ფულის საშოვნელად, მაგრამ ეს დამღუპველია საქართველოს მომავალი კურსისთვის“, – განაცხადა მალაშხიამ.



მედიანიუსი

# ნანა კაკაბაძე: „უგულავას მოთხოვნით არავინ დამკითხავს“

ნონა ცაბაძე

**თბილისის მერის, გიგი უგულავას დაკითხვა, როგორც იქნა, მოხერხდა. როგორც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, უგულავა დაკითხვაზე არ გამოცხადდა მანამ, სანამ სასამართლომ არ მიიღო ამის დადგენილება. დაკითხვიდან გამოსული უგულავა აცხადებდა, რომ აუცილებლად უნდა დაიკითხოს ნანა კაკაბაძეც, რადგან 8 თებერვლის აქციაზე სიტუაციას ის მართავდაო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ ნანა კაკაბაძეს ესაუბრა:**



***— ქალბატონო ნანა, როგორ ფიქრობთ, რატომ მოითხოვა გიგი უგულავამ თქვენი დაკითხვაც?***

— ჩემთვის საერთოდ გაუგებარია ის პოლიტიკა, რასაც ესენი ატარებენ. ჩემთვის რთული გასაგებია, თუ რისი თქმა უნდა ამით და მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ან რა მოლოდინები აქვს, რომ დამკითხავენ, რას ვიტყვი, რომ გიგი უგულავა იქ საერთოდ არ გამოჩენილა, მისგან არანაირ პროვოკაციას ადგილი არ ჰქონია თუ რას ელოდება, რა უნდა. მართლა ვერ გავიგეჯ რატომ ლაპარაკობს ამას, ვერ ავხსენი. საერთოდ ბევრი რაღაცა, რასაც ესენი აკეთებენ მართლაც კანონსაწინააღმდეგო და ამაზრზენია და გაუგებარიც არის. მე თუ დამკითხეთ, ნანა კაკაბაძეც დაკითხეთო, ალბათ, ამას თუ გულისხმობს, თორემ სხვა რა დგას ამის უკან, მართლა ვერ გავიგე. რომც დამკითხონ, რა შეიძლება გიგი უგულავას სასარგებლოდ მე რომ ვთქვა, არ ვიცი.

***— შინაგან საქმეთა მინისტრს არავინ დაკითხავს, ამას ტყუილად ვითხოვ, მაგრამ კაკაბაძე უნდა დაკითხონო...***

— თუნდაც ეს პარალელები, ნორმალური ადამიანის მიერ გაკეთებული პარალელებია, რასაც ის ლაპარაკობს? ან ის, რომ გამოუცხადებია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო ნანა კაკაბაძეო...

***— დიახ, მას გადააბარეს სიტუაცია სამართავადო...***

— ეს ხომ არის სისულელის სფეროდან? ჩემს სიცოცხლეში პოლიციელს ჩემი ნებით არ დაველაპარაკებივარ. რა პოლიცია უნდა მემართა, ან რას აკეთებდა იქ პოლიცია, რომ მას ჩემი მართვა დასჭირვებოდა?! მითხრას ვინმემ, რას აკეთებდა პოლიცია, რომ მე ის მემართა? ან სად მე ვიყავი და სად პოლიცია? მიჭყლეტილი ვყავდი ამხელა ქალი ზონდერბრიგადებს ბიბლიოთეკის ფოიეს შესასვლელში. იქიდან რა უნდა მეთქვა, თქვენ მარცხნივ განლაგდით, თქვენ — მარჯვნივ, თქვენ ეს მისადგომები გაამაგრეთ, თუ რა უნდა მეთქვა პოლიციისთვის? რისი მართვა უნდა მომხდარიყო იქ? პიარზე კი აქვთ გათვლილი ყველაფერი, მაგრამ ამხელა აბსურდულობა? საერთოდ ტყუილზე იძახიან ხოლმე, რომ თუ გინდა ადამიანი დააჯერო, ყველაზე დაუჯერებელი ტყუილი უნდა თქვაო. ყველაზე დასაჯერებელი, ყველაზე დაუჯერებელი ტყუილიაო. ამას აკეთებენ დღეს. რა მართვა უნდოდა სიტუაციას, ან როდის იყო, რომ ნანა კაკაბაძეს პოლიციასთან საერთო ჰქონია რამე? რა სისულელეებს ამბობენ. მე ვფიქრობ, რომ ეს იმდენად დაუჯერებელი რამ არის, რომ სწორედ ამას ფიქრობს, ასეთი დაუჯერებელი რომ არის, უფრო დასაჯერებელი გახდებაო და ალბათ, ამიტომ ლაპარაკობს, თორემ სხვა ახსნა იმას, რასაც ნაციონალური მოძრაობა და გიგი უგულავა ეწევა ამ მიმართულებით, ჩემთვის გაუგებარია. ასევე გაუგებარია ის პროვოკაციაც, რაც იქ მოაწყვეს. რა მოიგეს ამით, არ ვიცი. თუ საერთაშორისო დონეზე ვიღაცას დაანახვეს, რომ აი, როგორი ჩაგრულები ვართო და ხალხს თავი გაალახვინეს, ამით რა შეიცვალა? მე მაინც ვერ ავხსენი მათი საქციელი. ასეთ უაზრო საფუძვლებს რა აზრი აქვს და რისი მომტანია, ჩემთვის გაუგებარია. მე შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რაც იქ ხდებოდა და ესენი რას ლაპარაკობენ, ეს, მოდით, თვითონ ხალხმა განსაჯოს, თუ რისთვის ამბობენ და რა უდევთ ამის უკან და რისი მიღწევა უნდათ ამ გაუგებარი საუბრებით.

***— მის დაკითხვას რაც შეეხება, ვნახეთ, რომ სანამ სასამართლომ არ გამოიტანა გადაწყვეტილება მისი იძულების წესით დაკითხვასთან დაკავშირებით, მანამ ის არ გამოცხადდა პოლიციაში...***

— ან ეს რა იყო? მე ახლა გელაპარაკებით როგორც მოქალაქე მოქალაქეს, ხელისუფალი, რომელიც ამის პროპაგანდას ეწევა, ასე უდიერად ექცევა საგამოძიებო საკითხებს. მოდი, შენ აქ ბიჭო და თუ რამე გინდა, აქ მკითხე, რა ძველი ბიჭია, ქურდია თუ რა? ისე ლაპარაკობს, მართლა კანონიერი ქურდები რომ ლაპარაკობდნენ თავის დროზე, აი, იმ ლექსიკით ლაპარაკობს ეგ. ეს რა მიდგომაა საკითხისადმი? ამას ხომ უყურებენ იგივე ის მოქალაქეები, ვინც ამ აქციაში ღებულობს მონაწილეობას. ჩვენ, დამთავრდა თუ არა ინციდენტი, ოფისში მოსვლა ვერ მოვასწარით, ზარი მოგვაყოლეს, აბა, ჩქარა დაკითხვაზეო და ყველა რიგითობით ჩამწკრივდა და მივიდა დაკითხვაზე. ამას რომ აყურებინებ ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომ თურმე ხელისუფლებაში თუ ხარ, შეგიძლია ესე თითის გატკაცუნებით ელაპარაკო გამოძიებას, ეს სახელმწიფოებრივი აზროვნებაა? გამაგებინოს ვინმემ, ეს თუ არის სახელმწიფოებრივი აზროვნება. ეს ხომ არის ყველაფრის ფეხქვეშ გათელვა? დაიკითხოს, დაიკითხოს ნანა კაკაბაძეო, რომ გაიძახის, უგულავასგან განსხვავებით, როდის ახსოვს ან როდის გაუგია, რომ გამოძიებას თავი ავარიდე, ან სადმე დავიმალე, ან ასეთი დამოკიდებულება მქონია გამოძიებისადმი. დამიბარონ და დამკითხონ, თუ ვინმეს რამე კითხვები აქვს.

***— დგას დღის წესრიგში თქვენი დაკითხვა?***

— არა დგას ეს დღის წესრიგში და არავის აინტერესებს, იქ მე რა მდგომარეობაში ვიყავი, რას ვხედავდი და რა იყო იქ რეალობა. თუ ვინმეს ეს დააინტერესებს, მე, რა თქმა უნდა, მზად ვარ, გამოძიებას მივცე სრულად მთელი ინფორმაცია, მაგრამ ამით გიგი უგულავა რას მოიგებს, ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

# გვჭირდება თუ არა საპრეზიდენტო ინსტიტუცია



როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

**საქართველოს სულ სამი პრეზიდენტი ჰყავდა. აქედან მეორე და მესამე პრეზიდენტებს ორ-ორი ვადით მოუწიათ თანამდებობაზე ყოფნა, პირველს კი ერთი პერიოდიც არ ამოუწურავს. კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. პარადოქსია, მაგრამ რეალობაა, რომ თითქმის 100%-ით არჩეულ ხელისუფალს ჯერ მოსახლეობის უმეტესობა უპირისპირდება (ზვიადზე ამას ვერ ვიტყვით მხოლოდ) და მერე ლანძღვა-გინებით ვადასაც არ ვასრულებინებთ.**

საკონსტიტუციო ცვლილებით მიხეილ სააკაშვილი ოქტომბრამდე 5 წლიან ვადას გადასცილდება თითქმის 9 თვით (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 70. საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით), მოსახლეობის დიდი პროტესტის მიუხედავად ის თანამდებობას ინარჩუნებს. პრეზიდენტი საქართველოს ძირითადი კანონის საფუძველზე წარმოადგენს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმართავი პირი და თუ ირონიად არ ჩამითვლით, კონსტიტუციიდან მოვახდენ ციტირებას: (პრეზიდენტი) ,,უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას.“

გამსახურდიას დროს სეპარატიზმის საშიში მეტასტაზები მოედო საქართველოს, სამხრეთ ოსეთში (ჩემთვის — სამაჩაბლოში) ძალიან დაიძაბა მდგომარეობა და შევარდნაძის დროს დავკარგეთ კიდეც ორი რეგიონი, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს ტერიტორიის 20% დავკარგეთ. სულ მთლიანად ვერ ,,დავაწერთ“ ამ პროცენტებს ბატონ პრეზიდენტს, მაგრამ იქნებ ვინმე დაფიქრებულიყო იმაზე, რომ რუსეთის სამხედრო აგრესია მხოლოდ საქართველოზე გადმოინთხა. რატომ ვერ აიცილა სამხედრო ძალადობა საქართველომ, როცა მეტ-ნაკლებად კეთილმეზობლურ ურთიერთობას ინარჩუნებენ პოსტსაბჭოური ქვეყნები?! საპრეზიდენტო მმართველობამ საქართველოში პოზიტიურზე მეტად ნეგატიური მოგვიტანა.

ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის ინსტიტუცია, მაგრამ შედეგი საწინააღმდეგო მოჩანს. არც მთავარსარდლებად ივარგეს პრეზიდენტებმა (იმედია, მაგალითების მოყვანა არ არის საჭირო სამტკიცებლად).

რამდენად აასრულეს მოვალეობა საქართველოს პრეზიდენტებმა დაფიცებული სიტყვები, ადვილად დასადგენია: ,,მე, საქართველოს პრეზიდენტი, ღვთისა და ერის წინაშე ვაცხადებ, რომ დავიცავ საქართველოს კონსტიტუციას, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობასა და განუყოფლობას, კეთილსინდისიერად აღვასრულებ პრეზიდენტის მოვალეობას, ვიზრუნებ ჩემი ქვეყნის მოქალაქეთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის, ჩემი ხალხისა და მამულის აღორძინებისა და ძლევამოსილებისათვის“.

პრეზიდენტის უფლებამოსილებით ინიშნებიან ელჩები, რომლებმაც ისეთი სურათი დაუხატეს საზღვარგარეთის ქვეყნებს, რომ საქართველო დემოკრატიის დვრიტაა და ყვავის საყოველთაო კეთილდღეობა. სამწუხარო რეალობა კი სხვა რამეა. ახლაც ვრცელდება ინფორმაცია, რომ აშშ-ში მზადდება ინტრიგა საქართველოს ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამავდროულად ამ ქმედებას უმაღლეს ხელისუფალს ,,ბრალდება“, რადგან სააკაშვილს ჰყავს ლობისტები დასავლეთში, რომელთა კეთილგანწყობის შენარჩუნება კაპიკები ნამდვილად არ ჯდება.

პრეზიდენტის ხელშეუვალობის გამო მისი დასჯა თითქმის შეუძლებელია, თუ განსაკუთრებული დანაშაული არ დაუდასტურდა საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს მიერ (კუბლაშვილის ხელში რამდენად შესაძლებელია ეს, ალბათ აღარც უნდა ვიკითხოთ).

მსჯელობენ იმაზე, რომ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა მოხდეს საპრეზიდენტო უფლებების შეზღუდვა. პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ,,ქართული ოცნების“ 16 თებერვლის ყრილობაზე განაცხადა, რომ კონსტიტუციით საქართველოს პრეზიდენტის ძალაუფლება ძალიან დიდი და დიქტატორულია. რამდენად დასთანხმდებიან ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო წარმომადგენლები კონსტიტუციაში ცვლილებებს, ჯერ ამაზე ადრეა საუბარი, მაგრამ ხალხის განწყობა ისეთია, რომელიც საპრეზიდენტო მმართველობის ან გაუქმებას ან კიდევ შეზღუდვას ითვალისწინებს. მართალია, ნაციონალური მოძრაობა იმით არის ცნობილი, რომ ხალხის აზრს დიდად არ ითვალისწინებს, მაგრამ ,,ქართული ოცნების“ მთავარი საფიქრალი უნდა იყოს ხალხის მოთხოვნებზე გათვლილი და არ უნდა დაემსგავსოს იმ ძალას, რომელსაც არა უთხრა ქართველმა ელექტორატმა.

გამარჯვებულ კოალიციაში მხოლოდ ალასანიას პოლიტიკური ძალაა საპრეზიდენტო რესპუბლიკის მხარდამჭერი, დანარჩენები კი — საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე.

თუ წარსულის მწარე გამოცდილებას გავითვალისწინებთ, საქართველოში საპრეზიდენტო ინსტიტუცია, სჯობია, ან შეიზღუდოს, ან კიდევ სულ გაუქმდეს. ქართველი ხალხის დიდი აღშფოთება გამოიწვია პრეზიდენტისათვის გაწეულმა ხარჯებმა. 150 ათასი ლარი 24 საათში, რომელიც პრეზიდენტისათვის იხარჯებოდა, დაახლოებით 120 პენსიონერის ერთი თვის პენსიაა. ანუ ერთი ადმინისტრაციული ერთეული დღე-ღამეში ხარჯავს 120 სოციალური ერთეულის თვიურ ნორმას, რაც ნამდვილად არის პარადოქსი.

დღევანდელი სინამდვილიდან გამომდინარე საპრეზიდენტო ძალაუფლების შეზღუდვისათვის საჭირო ხმები ,,ქართულ ოცნებას“ არ აქვს, მაგრამ ,,ნაციონალური მოძრაობა“ თუ დაფიქრდება, უმჯობესი იქნება კონსესუსზე წასვლა. მ. სააკაშვილისათვის ეს იქნება ნელ-ნელა შეგუება იმ რეალობისა, რომელიც გულისხმობს ოქტომბერში მის წასვლას ამ თანამდებობიდან.

სოციალური კვლევის ან სულაც რეფერენდუმის გზას თუ დაადგება სახელმწიფო, დამერწმუნებით, რომ მოსახლეობა იტყვის, რომ საპრეზიდენტო ინსტიტუცია საჭირო არ არის.

# გია ხუხაშვილი: „გახმაურებულ საქმეებზე გამოძიება ვერ დაჩქარდება“

ექსპერტ გია ხუხაშვილის თქმით, რთულია წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის ყოფილ მაღალჩინოსნებს პასუხი აგებინო, როდესაც სასამართლო ჯერ კიდევ მათ მიერ იმართება.



ექსპერტი უსაფუძველოდ მიიჩნევს პოლიტიკოსთა და საზოგადოების ნაწილის კრიტიკას იმის შესახებ, რომ სამართლიანობის აღდგენის დაპირების ასრულება ჭიანურდება და გამოძიებამ კონკრეტული შედეგები ამ დრომდე ვერ დადო.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას ხუხაშვილმა აღნიშნა, გახმაურებული საქმეების გაჭიანურებას სხვა ობიექტური მიზეზებიც აქვს. ერთ-ერთი ფაქტორია საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი და რეაქცია ასეთი საქმეებისადმი.

„რაც ყველაზე მთავარია, ახალი ხელისუფლება არ ჰგავს წინა ხელისუფლებას, რომელიც ძაფით კერავდა საქმეებს. საქმის კანონიერად გამოძიებას დრო სჭირდება, მითუმეტეს, როდესაც საქმე ხანდაზმულია და მაფიოზური კლანის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ეხება. ასეთ საქმეებზე აჩქარება არ შეიძლება, ყველაფერი კანონიერად უნდა გაკეთდეს. თუმცა რამდენიმე საქმეზე, რომელიც გამოძიებამ სასმართლოს წარუდგინა, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ყოფილი მაღალჩინოსნები გამოუშვა. დღეს არსებული სასამართლოს პირობებში ძნელია ობიექტური განაჩენები იქნას გამოტანილი. მე ასევე არ დავეთანხმები კრიტიკას იმის შესახებ, რომ გამოძიება საერთაშორისო საზოგადოების აზრის პოლიტიკური მძევალი გახდა. ეს ასე არ არის. მთავარია, საერთაშორისო საზოგადოებას სრულყოფილი მასალები მიაწოდონ თითეული საქმის შესახებ. თანაც უკვე გადაწყდა, რომ გახმაურებულ საქმეებში უცხოელი ექსპერტები ჩაერთვებიან და საერთაშორისო ორგანიზაციებს დეტალური ინფორმაცია ექნებათ, რამდენად ობიექტურად მიდის გამოძიება“,— განაცხადა გია ხუხაშვილმა.

მედიანიუსი

## თელავის დასუფთავების სამსახურის უფროსი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

თელავის რაიონულმა სასამართლომ თელავის დასუფთავების სამსახურის უფროსი ალექსანდრე ბალუაშვილი 25 ათასი ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა.

გამოძიება ბალუაშვილს დასუფთავების სამსახურში მუშაობის პერიოდში დოკუმენტების გაყალბებასა და ქონების მითვისებაში ადანაშაულებს.

საქმე ორი მუხლითაა აღძრული და დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ბალუაშვილს 7 წლიანი პატიმრობა ემუქრება.

თელავის დასუფთავების სამსახურის უფროსი სამართალდამცავებმა 14 თებერვლას დააკავეს.

მედიანიუსი

## აფხაზები ხელფასებს ზრდიან

აფხაზეთში საშუალო სკოლების, საბავშვო ბაღების, მუსიკალური სკოლებისა და სპორტული აკადამიების თანამშრომლებს ხელფასი ეზრდებათ. ამის შესახებ ინფორმაციას აფხაზური მედია ავრცელებს. გავრცელებული ცნობით, შესაბამის ფინანსურ რესურსებს რუსეთის ფედრაცია გამოჰყოფს. საბიუჯეტო სექტორში დასაქმებული ზემოხსენებული პროფესიის მქონე ადამიანების ხელფასი საბაზო ანაზღაურებასთან შედარებით დაახლოებით 70 პროცენტით გაიზრდება.

მედიანიუსი

# შოუების ქვეყანა

მას, ვინც ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ბოლო ათწლეულს თვალს ადევნებს, შოუები ნამდვილად აღარ უნდა გაუკვირდეს, უფრო მეტიც, მთელი საქართველო თითქმის 10 წლის განმავლობაში სწორედ რომ შოუებით იმართებოდა, თუმცა ის შოუ რომელიც 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან დაიდგა, 2008 წლის აგვისტოში, რუსთაველზე გამართული შოუს შემდეგ თავისი შინაარსით, ყველაზე მეტად ამაზრზენი და ამავდროულად საფრთხის მატარებელი იყო.

ცალკე საკითხია, ვინ შეუწყო ხელი ამ შოუს დადგმას და რამდენად უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ახალმა ხელისუფლებამ იმაზე, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ასეთი სახიფათო სპექტაკლის დადგმის საშუალება მისცა, მაგრამ აქ მთავარი მაინც სხვა – ჩვენი მენტალური პრობლემაა, რომელიც სამწუხაროდ ვერა და ვერ დავძლიეთ.



ის, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ყველაფერზე წავა, მათ შორის ნებისმიერი სახის ავანტიურაზე, იქნება ეს სისხლიანი თუ უსისხლო, – ახალი ამბავი არ არის, მაგრამ საკითხავია – ასე ადვილად უნდა წამოეგოს თუ არა ხელისუფლება ან საზოგადოება ნაციონალების მიერ უკვე ბანალურად ქცეულ პროვოკაციებს და შოუებს.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ის, რაც 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა, ყოფილი ხელისუფლების გეგმის ნაწილი იყო, რომელიც მავანთა დახმარებით, საკმაოდ წარმატებულად განახორციელა.

ყველაზე დიდი უსამართლობა, ამ პროვოკაციაში ყოფილი პოლიტპატიმრების დადანაშაულება იქნება, ვინაიდან ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც წინა რეჟიმის სისასტიკე საკუთარ თავზე გამოსცადეს და საკუთარი თვალით უყურებდნენ საპატიმროებში ადამიანების წამებით ხოცვის ფაქტებს, ესენი არიან ადამიანები, რომელთა უმრავლესობასაც სააკაშვილის ხელისუფლებამ აწმყო გაუმწარა და მომავალი მოუსპო. ესენი არიან ადამიანები, რომლებისთვისაც, გამომდინარე იქედან, რაც თავიანთ თავზე გადაიტანეს, – მხოლოდ გათავისუფლება არ კმარა და მათ საკმაოდ სერიოზული და ხანგრძლივი ფსიქოსარეაბილიტაციო პერიოდი აქვთ გასავლელი.

რა თქმა უნდა, ასეთი ადამიანები რომ მიუშვა, ნაციონალური მოძრაობის ნებისმიერ წარმომადგენელს ცოცხლად შეჭამენ, მაგრამ არსებობს რაღაც, რისი გადაბიჯებაც არ შეიძლება და რაშიც სახელმწიფო მანქანა აუცილებლად უნდა ჩაერთოს.

მიუხედავად ყველაფრისა, ალბათ ნებისმიერი ადამიანისთვის ძნელადსაყურებელი იყო ჩიორა თაქთაქიშვილის დასისხლიანებული სახის ცქერა, რომლითაც, როგორც მომეჩვენა, ეს ქალბატონი კამერების წინ კეკლუცობდა კიდეც.

ყველას გვახსოვს ის ამაზრზენი კადრები, როდესაც, გმირთა მოედანზე, ვეტერანთა აქციის სასტიკად დარბევისას, ერთ-ერთმა ერთუჯრედიანმა, ყურმოჭრილმა, უჯიშო ნაძირალამ ქალბატონს ხელი გამეტებით გაარტყა. ეს არაკაცი მაშინ საზოგადოებამ ნაციონალების სახედ აღიქვა და საკმაოდ სამართლიანადაც.

რა თქმა უნდა, გმირთა მოედანზე ნაცემი ქალბატონისა და ჩიორა თაქთაქიშვილის თანაბარ დონეზე განხილვა არ შეიძლება, მაგრამ საქართველოში ქალისთვის ხელის დარტყმა, თუნდაც ის ჩიორა თაქთაქიშვილი იყოს, ჩვენივე თავის შეურაცხყოფაა და ამის ჩამდენს არაფერი არ ამართლებს.

მეორე ფაქტორი, რაც 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან გამოჩნდა, ესაა საზოგადოებაში არსებული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, რომელიც ე.წ. „სამართლიანობის აღდგენის" პროცესის მიმდინარეობითაა გამოწვეული.

მაშინ როცა პროკურორები დაკითხვაზე, სანქტექნიკებივით გამოძახებით დადიან და სერიოზულ დანაშაულებში ეჭვმიტანის პირებს კაბინეტებში სტუმრობენ, მაშინ როცა წინა ხელისუფლების ამა თუ იმ სისხლიანი პერსონაჟის დასჯა, მხოლოდ მისი სასამართლოში გამოცხადებით და გირაოს შეფარდებით გამოიხატება, მაშინ როცა სწორედ ის ხალხი, ვინც ათასობით უდანაშაულო ადამიანი ციხეში გამოამწყვდია და მომავალი მოუსპო, დღეს გამოდის და ნაციონალური არხებიდან კვლავ ცინიკური ტონით გვმოძღვრავს, – სავსებით ლოგიკურია, რომ ხალხს დაუკმაყოფილებლობის განცდა გაუჩნდეს და ამის შემდგომი ნაბიჯი უკვე გამწარებული ხალხის მიერ სამართლის დამოუკიდებლად, საკუთარი რესურსებით მოძებნა იქნება, რაც აუცილებლად შურისძიების სახეს მიიღებს და რაც სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივების საფრთხის მატარებელი გახდება.

თუ, ღმერთმა არ ქნას და სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გამწარებულმა ხალხმა პირადი შურისძიება დაიწყო და თავიანთ გამამწარებლებს ან მათი ოჯახის წევრებს თუნდაც ერთხელ პირადად გაუსწორდა, პროცესები შეუქცევად ხასიათს მიიღებს და ამ შემთხვევაში სიტუაციის დასტაბილურება ძალიან დიდ ძალისხმევასთან იქნება დაკავშირებული.

ყველას ძალიან კარგად ახსოვს გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარი, როდესაც სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტის გამო, ხალხი დანმაშავეებს ლინჩის წესით ასამართლებდა, ვინაიდან მათ, ქვეყანაში სამართლიანობის არსებობის განცდა არ ჰქონდათ. არ შეიძლება საზოგადოების რწმენა იმავე დონეზე დავიყვანოთ როგორც 90-იან წლებში იყო, თორემ ის ათასობით გამწარებული ადამიანი, ვისაც სააკაშვილის რეჟიმმა მომავალი მოუსპო, სამართლის ძებნას ქვით, კეტით, დანით და იარაღით დაიწყებს, რაც ქვეყნის მომავლისთვის რბილად რომ ვთქვათ სახარბიელო ნამდვილად არ იქნება.

ასე, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესმა ნამდვილად რეალური სახე უნდა მიიღოს და დაუსჯელი არცერთი დამნაშავე არ უნდა დარჩეს, ხოლო ყოფილი ხელისუფლების მხარდამჭერი ქალების, თუნდაც ისინი პარლამენტის წევრები იყვნენ – ფიზიკური ანგარიშსწორება ნამდვილად არ გვეკადრება.

თაქთაქიშვილები და მსგავსი არსებები ხალხის სიძულვილით ისედაც დასჯილები არიან და მათი დღევანდელი მოქმედება, მათ შვილიშვილებს მოსჭრის კბილებს. სამწუხაროდ ისინი ამას დღეს ვერ აცნობიერებენ.

ხოლო მავანის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ, სურს მისმა შვილებმა საქართველოში იცხოვრონ, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშაა.

მიუხედავად ყველაფრისა, იმედია ის ამაზრზენი კადრები, რაც საზოგადოებამ 8 თებერვალს



იხილა, უკანასკნელი იქნება და მსგავსი ქმედებების გამეორებას საზოგადოება არ დაუშვებს, ხოლო ნაციონალურ პროვოკაციებს, ახალი ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლები აღარ წამოეგებიან.

დასასრულ, არ შემიძლია არაფერი ვთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, ბატონი რიჩარდ ნორლანდის შეფასებებზე, რომელიც მან 8 თებერვლის მოვლენების შემდეგ გააკეთა.

როგორც ბატონმა ნორლანდმა განაცხადა, ის რაც ეროვნულ ბიბლიოთეკასთან 2013 წლის 8 თებერვალს მოხდა, თურმე დემოკრატიის ჩარჩოებს სცილდება.

ძნელია ამ განცხადების სისწორეში ეჭვი შეიტანოს ვინმემ, მაგრამ ბატონო ელჩო, იქნებ იქ მდგარი გამწარებულია ადამიანებისთვისაც გეკითხათ, დემოკრატიული იყო თუ არა, რომ თითოეული მათგანი სააკაშვილმა უდანაშაულოდ გამოამწყვდია ციხეებში და არა მარტო გამოამწყვდია, მათზე ისეთი სახის ძალადობას ახორციელებდა, ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკების მესვეურებიც კი აღფრთოვანებაში მოვიდოდნენ.

ბატონო ნორლანდ, იქნებ ის ჯდებოდა დემოკარტიის ჩარჩოებში, როცა სანდრო გირგვლიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშომლებმა ტყეში დაკლეს.

ან იქნებ ის იყო დემოკრატიული პროცესი, როცა სვანეთში, ერთი ოჯახის წინააღმდეგ რამდენიმე შვეულმფრენი და ათასობით კბილებამდე შეიარაღებული სპეცნაზელი გამოიყენეს, ოჯახი ამოწყვიტეს, გადარჩენილები ციხეში ჩაყარეს, ერთი ადამიანი ცოცხლად დაწვეს, ხოლო მიცვალებულს თითიდან ბეჭედი რომ ვერ მოხსნეს, თითი მოაჭრეს.

ან იქნებ ის მოეჩვენა ბატონ ელჩს დემოკრატიულად, რომ 19 წლის ბუტა რობაქიძე ეკლესიასთან პოლიციამ ჩაცხრილა, შემდეგ მას ავტომატები ჩაულაგა, ხოლო მისი თანმხლები პირები, ასევე უდანაშაულოდ, ციხეებში გამოკეტა.

შესაძლებელია ბატონი ნორლანდის აზრით, დემოკრატიის ჩარჩოებში ჯდება, როცა დამოუკიდებელ ტელეკომპანიას სპეცრაზმს უსევ, მაუწყებლობას ასევე სპეცრაზმის მეშვეობით უთიშავ, ხოლო იატაკზე დაყრილ ჟურნალისტებს და ძვირადღირებულ აპარატურას, ხელკეტებს ერთნაირი დაუნდობლობით ურახუნებ.

არ ვიცი როგორ იზომება დემოკრატია დასავლური საზომებით, მაგრამ მის შესახებ საქართველოში არსებული შეხედულების თანახმად, რომელიც შესაძლოა მოძველებულიც იყოს, დემოკრატიად ვერ ჩაითვლება ის ფაქტი, რომ 100-მდე რედაქციას, საკუთარი ოფისებიდან ასევე პოლიციის ძალით ასახლებდე.

ბატონო ნორლანდ, ამ ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, თუმცა მე მხოლოდ ერთ ფაქტს დავამატებდი, რომელსაც, ისევე როგორც ტელეკომპანია „იმედის" დარბევას, – მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება.

საქმე 2011 წლის 26 მაისს ეხება, როცა თქვენი წინამორბედის მიერ ანთებული მწვანე შუქის ნიადაგზე, მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის ვამპირებმა, რუსთაველის გამზირზე, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარეს, ხალხი სამმაგ ალყაში მოაქციეს, დაუნდობლად გაუსწორდნენ მათ რეზინის ტყვიებით, მხუთავი აირით და ხელკეტებით, დახოცილი ხალხი ჯიხურის სახურავზე შემოაწყვეს, ხოლო დაკავებულთაგან ათეულობით, სისხლის სამართლის მუხლებით, ასეულობით კი ადმინისტრაციული სამართლის მუხლებით გაასამართლეს.

ბატონო ნორლანდ, ჩემს ღრმა ბავშვობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ გახმაურებულ ფაქტს ჰქონდა ადგილი, რომელიც თქვენ აუცილებლად გემახსოვრებათ.

მამა ბუშის პრეზიდენტობის დროს, ერთ-ერთ შტატში, საგზაო პოლიციელებმა ორ შავკანიან მძღოლს სცემეს, რომელიც შემთხვევით, მოყვარულმა ოპერატორმა ფირზე აღბეჭდა.

ამ ფაქტს მთელი ამერიკის მასშტაბით, შავკანიანთა და არა მარტო მათი მასობრივი პროტესტი მოჰყვა და სიტუაცია იქამდეც კი დაიძაბა, რომ მამა ბუშმა, მაშინ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

ბატონო ნორლანდ, მიხეილ სააკაშვილს, თავისი მმართველობის 9 წლის განმავლობაში, არათუ ნაცემი, მოკლული ყავს ასეულობით ადამიანი, ფეხქვეშ აქვს გათელილი მსოფლიოში აღიარებული ადამიანის უფლებათა პრინციპები და დემოკრატიის მოთხოვნები.

ქართველ ხალხს სამწუხაროდ, არ ახსოვს, რომ ყოველივე ზემოთჩამოთვლილის გამო ამერიკის შეერთებული შტატები აღშფოთებულიყოს და თუნდაც ერთი განცხადება მაინც გაეკეთებინოს იმის შესახებ, რომ მომხდარი, დემოკრატიის ჩარჩოებს სცილდება. პირიქით, თქვენ ყოველივე ამის ჩამდენ მიხეილ სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებდით და ნურც ის აგრესია და ცინიზმი გაგიკვირდებათ ქართველი ხალხის მხრიდან, რომელიც თქვენ, 8 თებერვალს ეროვნული ბიბლიოთეკის შენობის დატოვების დროს მიიღეთ. შესაძლოა არა პირადად თქვენ, მაგრამ თქვენმა ქვეყანამ ეს ნამდვილად დაიმსახურა.

სხვებზე არანაკლებ კარგად ვიცი, თუ რა დიდი მოლოდინი ჰქონდათ პოლიტპატიმრებს ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერი წარმომადგენლის მიმართ. როგორ ელოდნენ, რომ ისინი, თუნდაც ერთ განცხადებას მაინც გააკეთებდნენ პოლიტპატიმრებთან დაკავშირებით, ვინაიდან ყველამ კარგად იცოდა, რომ სააკაშვილის ფსიქიკაზე გავლენის მოხდენა მხოლოდ დედამისს – გიული ალასანიას, ბებიამისს – მზია წერეთელს და ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერი დონის წარმომადგენელს შეუძლია.

სამწუხაროდ, იმ ყოფილმა პოლიტპატიმრებმა, რომლებმაც თქვენ 8 თებერვალს ცინიკური შეძახილებით გაგაცილეს, თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ვერავითარი მხარდაჭერა ვერ იგრძნეს. აქედან გამომდინარე, ლოგიკა მათ შეძახილებშიც შეიძლება მოიძებნოს.

თქვენივე განცხადებით, ძალიან ცუდი ყოფილა რომ პარლამენტარი ცემეს. რა თქმა უნდა ცუდია და ცუდზე უფრო ცუდიც, მაგრამ ბატონო ნორლანდ რიგითი ადამიანის ცემა კარგია? ყველანი პარლამენტარები ვერ ვიქნებით, არადა სააკაშვილის ზონდერებმა ათეულ ათასობით ადამიანი სცემეს, ასეულობით მოკლეს, ათასობით ციხეში გამოამწყვდიეს, პატიმრები კი ცოცხებით და სკამის ფეხებით გააუპატიურეს.

ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ ჩვენი მენტალიტეტი ქუჩის შურისძიებას და ერთმანეთისადმი ქვების სროლას ვერ გასცდა, აღარაფერს ვამბობ აზროვნების ანალიტიკურ უნარზე, რომელიც, როდის გამოგვიმუშავდება, სამწუხაროდ არავინ იცის. მანამ კი ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე, ნებისმიერი შოუ, როგორი ნიჭიერებითაც არ უნდა იყოს ის დადგმული, – მუდამ გაყიდვადი იქნება.

**ალეკო ჩუბინიძე**
**სააგენტო „ნიუსპრესი"**

## დავით ბაქრაძე: „ძირითად კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა"

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის დავით ბაქრაძის განცხადებით, საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ძირითად კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა.

ამის შესახებ ბაქრაძემ მასსა და პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების კომენტირებისას აღნიშნა.



„მოლაპარაკების პროცესი გრძელდება, საკითხების დიდ ნაწილთან დაკავშირებით, პრინციპულად შევთანხმდით. რაც შეხება დარჩენილ საკითხებს, საპარალამენტო უმცირესობის მხრიდან იქნება კონსტრუქციული პოზიცია იმისთვის, რომ საბოლოო შეთანხმება შედგეს და ეს შეთანხმება იყოს ისეთი, რაც ქართულ საზოგადოებას და ქვეყანას გამოადგება", – განაცხადა ბაქრაძემ.

**პირველი**

## არჩილ ხაბაძე: „ბათუმში მეჩეთის მშენებლობის ძირითადი მიზეზი ქართველი მუსლიმების ინიციატივა იყო"

აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის არჩილ ხაბაძის განცხადებით, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის ძირითადი მიზეზი ქართველი მუსლიმების ინიციატივა იყო.

ამის შესახებ ხაბაძემ თურქეთში პრემიერ-მინისტრის მიერ გაჟღერებული განცხადების კომენტირებისას აღნიშნა, რომლის თანახმად, ბათუმში, მუსლიმანი მლოცველებისთვის მეჩეთი აშენდება.



„მთავარი მიზეზი მეჩეთის აშენების ის არის, რომ არსებულ მეჩეთში მლოცველები ვერ ეტევიან. წინასწარი კონსულტაციებით ვიცოდით, რომ ქართველ მუსლიმებს უნდოდათ თავიანთი სახსრებით აეშენებინათ მეჩეთი, შესაბამისად, ამ კუთხით დაიწყო მოლაპარაკება და შეთანხმებასაც მივაღწიეთ. სახელმწიფოს როლი ამ შეთანხმებისას არის მხოლოდ ერთი, მიწის მოძებნა და მათთვის გადაცემა", – განაცხადა ხაბაძემ.

**პირველი**

## მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მთავრობის კანცელარიას 57 640 ლარი გამოეყო

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მთავრობის კანცელარიას 57 640 ლარი გამოეყო. მთავრობის ოფიციალური ვებ-გვერდის ინფორმაციით, აღნიშნულ ბრძანებას პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ხელი უკვე მოაწერა.

„საქართველოს დასაქმების სახელმწიფო მინისტრის აპარატის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასრულებამდე საჭირო ხარჯების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მთავრობის კანცელარიას გამოუყოს 57 640 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ექვსას ორმოცი) ლარი", – აღნიშნულია ბრძანებულებაში.

**პირველი**

# ელდარ შენგელაია: „მოგვისმინეთ!“

ეკა ირემაშვილი

რეჟისორმა და საქართველოს კინოკავშირის ხელმძღვანელმა ელდარ შენგელაიამ საგანგებო შეხვედრა მოაწყო და გამოეხმაურა პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის ნუკრი ქანთარიას მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა, ეროვნული კინოცენტრი საერთოდ გაუქმდეს. როგორც რეჟისორმა განაცხადა, კინოკავშირმა პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს კინოცენტრის დირექტორის დანიშვნის შესახებ „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის კანონში“ ცვლილებების შეტანის ინიციატივით მიმართა. ელდარ შენგელაიას თქმით, კინოცენტრის დირექტორის დანიშვნაზე, კულტურის მინისტრი ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას არ უნდა იღებდეს და ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია, კინოკავშირის წევრებთან კონსულტაციების გამართვა. პარლამენტის კულტურის კომიტეტმა აღნიშნული საკითხის განსახილველად სხდომაც მოაწყო, სადაც კინოცენტრის მიერ ინიცირებულ ცვლილებაზე გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული, მაგრამ გამოითქვა მოსაზრება კინოცენტრის შესაძლო გაუქმებისთან დაკავშირებით.

ელდარ შენგელაიასთან ეთრად შეხვედრას ეროვნული კინოცენტრის ხელმძღვანელი ნინო კუხაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ კინოცენტრის დირექტორის კანდიდატურის შერჩევა და მისი დანიშვნა მინისტრის პრეროგატივაა. თუმცა არსებული კანონი ამ საკითხზე კონსულტაციების გამართვას არ კრძალავს.

შეხვედრაზე რეჟისორმა ყველა ის დოკუმენტაცია წარმოადგინა, რომელიც მის მიერ იქნა წარმოებული ამ საკითხთან დაკავშირებით.

– მინდა გაგაცნოთ 2001 წელს კინოკავშირის ყრილობაზე ჩემი სიტყვის ამონარიდი.

პრაქტიკამ ცხადყო კინოწარმოების ისეთი სისტემის შექმნის აუცილებლობა, რომელიც დასავლეთის პროდიუსერებთან, კინოფონდებთან და სხვადასხვა კინოსტრუქტურებთან ურთიერთობის საშუალებას მოგვცემდა. ამ მიზნით, კინემატოგრაფისტთა კავშირმა მჭიდრო თანამშრომლობა წამოიწყო საფრანგეთის კინოცენტრთან. ფრანგმა სპეციალისტებმა აქ, ჩვენთან, ჩაატარეს ორი შეხვედრა-კონფერენცია, გაგვაცნეს მასალები, გაგვიზიარეს გამოცდილება (ეს შეხვედრები გადაღებულია კასეტებზე). შევისწავლეთ სხვა ქვეყნების კინოწარმოების სტრუქტურაც და დღის წესრიგში დადგა „ეროვნული კინოს სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონპროექტის მომზადება, რომელიც დაავალდებულებდა სახელმწიფოს, ფინანსური მხარდაჭერა გაეწია ქართული კინოსათვის და შექმნიდა სახელმწიფო კინოსტრუქტურას. ყველასათვის ცნობილია, რომ აღნიშნული კანონის შექმნის იდეა ჩვენთან, კინემატოგრაფისტთა კავშირში დაიბადა. მართლაც, პროექტზე მუშაობა რამდენიმე წელი მიმდინარეობდა. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც კანონპროექტზე მუშაობისას ეყრდნობოდა, როგორც სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო პრაქტიკას ამ სფეროში, ასევე, ქართულ კინოში დაგროვილ გამოცდილებას. ამის შემდეგ, პროექტზე მუშაობა გააგრძელა საქართველოს პარლამენტის იურიდიულმა სამსახურმა. 2000 წელს აღნიშნული კანონის პროექტი მრავალჯერ იქნა განხილული საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის საბჭოსა და გამგეობის სხდომებზე. მიღებული შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, პროექტი უფრო დაიხვეწა და შეჯერებული სახე მიიღო. შემდეგ, გაზეთ „ქართული ფილმის“ მეშვეობით, კინემატოგრაფისტთა ფართო საზოგადოებას საშუალება მიეცა გაცნობოდა აღნიშნულ კანონპროექტს. 2001 წლის მიწურულს, საქართველოს პარლამენტში განხილული იქნა კანონპროექტი. პარლამენტის თავმჯდომრემ ბატონმა ზურაბ ჟვანიამ, რეგლამენტის დარღვევით, საშუალება მისცა ცნობილ კინორეჟისორებს დასწრებოდნენ სესიას და გამოეთქვათ თავიანთი აზრი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამ კანონის მიღებას. ამის მუხედავად, პარლამენტმა დაამტკიცა აღნიშნული კანონი. რომლის ძალით, შეიქმნა კინოწარმოების სისტემის სახელმწიფო რგოლი – ეროვნული კინოცენტრი, რომელიც კულტურის სამინისტროსთან ფუნქციონირებს, მაგრამ ფართო ავტონომიური უფლებებით სარგებლობს. ამ კანონის ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო მომენტს წარმოადგენს გამოყოფილი სახსრების, საექსპერტო კომისიის მიერ, საკონკურსო წესით განაწილების პრინციპი. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით, შემუშავდა ეროვნული კინოცენტრის დებულება. სწორედ ამ დებულების საფუძველზე იქნა ჩამოყალიბებული ეროვნული კინოცენტრი. ასევე, ერთობლივი მუშაობა გასწიეს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობამ და ეროვნულმა კინოცენტრმა, საექსპერტო კომისიის დებულებების შემუშავებასთან დაკავშირებით. დიდი კმაყოფილებით მინდა მოგახსენოთ, რომ ბოლოს და ბოლოს, ევროსაბჭოში საქართველოს მხრიდან ხელმოწერილი იქნა „ევროპის კონვენცია კინემატოგრაფიულ კოპროდუქციაზე“. რვა თვის განმავლობაში სხვადასხვა სამინისტროს ბიუროკრატიულ აპარატებში ჭიანურდებოდა კონვენციაზე ვიზებისა და დასკვნების მოპოვება. როგორც იქნა ეს პროცესი დასრულდა. პრეზიდენტის ხელმოწერით სათანადო დოკუმენტაცია გადაიგზავნა ევროსაბჭოში, სადაც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ქალბატონი ლანა ღოღობერიძის ძალისხმევით, ეს პროცედურა უმოკლეს ვადაში დასრულდა. იმედი მაქვს, რომ საქართველოს პარლამენტში მისი რატიფიკაციის შემდეგ, ქართველ კინემატოგრაფისტებს გაუადვილდებათ კონტაქტების დამყარება ევროპის საერთაშორისო კინოფონდებთან და კინოსტრუქტურებთან. ეროვნული კინოცენტრის შექმნა და აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება ის აუცილებელი პირობაა, რომელიც ფონდ „ევრიმაჟთან“ თანამშრომლობის საშუალებას მოგვცემს, რომლის მთავარი დანიშნულება არის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კინემატოგრაფისტების მხარდაჭერა, – აღნიშნულია ელდარ შენგელაიას საგანგებო განცხადებაში.



რაც შეეხება განცხადებას, რომელიც საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ ელდარ შენგელაიამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს გაეგზავნა, მასში ნათქვამია:

– საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის 2013 წლის 4 იანვრის გამგეობის დადგენილების შესაბამისად, კანონპროექტის სახით წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადებას საქართველოს კანონში „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე. გთხოვთ მისცეთ პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი მსვლელობა. კანონპროექტი და დასაბუთება თან ერთვის. რაც შეეხება კანონპროექტს, საქართველოს კანონში „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ შევიდეს ცვლილება და აღნიშნული კანონის მე-2 თავის, მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ეროვნულ კინოცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე 3 წლის ვადით ნიშნავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებით კავშირთან შეთანხმებით“. ამ განცხადების დასაბუთებად კი მოყვანილია შემდეგი დოკუმენტი: 2000 წლის 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა საქართველოს კანონი „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. აღნიშნული კანონით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან დაარსდა ეროვნული კინოცენტრი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც დაევალა ქართლი კინოკულტურის დაცვა, მისი განვითარების ხელშეწყობა, სახელმწიფო მხარდაჭერისა და ამასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ურთიერთობათა კოორდინაცია. ამ კანონით ეროვნულ კინოცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი 3 წლის ვადით, საქართველოს კინემატოგრაფისტთა საერთო-ეროვნულ შემოქმედებით კავშირთან შეთანხმებით (კანონის თავი II, მუხლის მე-6, პუნქტი მე-4) – ძველი რედაქცია. საქართველოს კინემატოგრაფისტთა საერთო-ეროვნული შემოქმედებით კავშირის მონაწილეობა კინოცენტრის დირექტორის დანიშვნაში, უზრუნველყოფდა ამ პროცესის გამჭვირვალობას და საჯაროობას, ეწინააღმდეგებოდა ვოლუნტარიზმს და მიკერძოებას კინოცენტრის დირექტორის დანიშვნის საკითხში. 2003 წელს, ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობის მოსვლის შემდეგ, დაიწყო საქართველოს შემოქმედებითი კავშირების დისკრედიტაცია, მცდელობა, რომ გაეუქმებინათ ისინი და შემდგომ მათზე რიცხული ქონება გაეყიდათ. სწორედ მითითებულმა მოტივაციამ განაპირობა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მაშინდელი კულტურის მინისტრის გოკა გაბაშვილის მიერ ინიცირებულ კანონში „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ შეტანილი შესწორებებით (კანონის თავი II, მუხლი მე-6, პუნქტი მე-4, 29.12.2004 №967), საქართევლოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებით კავშირს ჩამოერთვა რეკომენდაციის მიცემის უფლება ეროვნული კინოცენტრის დირექტორის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით. წარმოდგენილი კანონპროექტი, მასში მითითებული ცვლილებების სახით, სრულად უზრუნველყოფს კინოცენტრის ნორმალურ მუშაობას და კინოკავშირის ძირითადი შემოქმედებითი ფუნქციის აღდგენას და პროცესის გამჭვირვალობას, – აცხადებს ელდარ შენგელაია.

რეჟისორს ასევე წარმოდგენილი აქვს ფინანსური გაანგარიშება, სადაც აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს და ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფას.

ელდარ შენგელაია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის მიერ დავით უსუფაშვილისადმი გაგზავნილ განცხადებაზე და აცხადებს, რომ:

– 2013 წლის 11 იანვარს, საქართველოს კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი კავშირის მიერ, გაგზავნილი იქნა განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ დავით უსუფაშვილის სახელზე, სადაც კანონპროექტის სახით, შეთავაზებული იყო ცვლილების მიღება საქართველოს კანონში „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. აღნიშნული განცხადების მიღების შემდეგ, შედგა კულტურის და მეცნიერების კომიტეტის სხდომა, სადაც განიხილეს ზემოთ აღნიშნული განცხადება და კანონპროექტი. ვწუხვართ, რომ არ იყო სწორად გაგებული და ჩამოყალიბებული კანონპროექტის არსი და ასევე, დისკუსიის მსვლელობის დროს, ბატონ ნუკრი ქანთარიას მიერ გაჟღერდა მეტად სახიფათო იდეები კინოსექტორის მომავალი რეფორმირების შესახებ. სამწუხაროდ, უტაქტოდ და არაობიექტურად იყვნენ მოხსენიებულნი, როგორც ბატონი ელდარ შენგელაია, ასევე, კინოცენტრის თანამშრომლები და ზოგადად კინოცენტრის, როგორც სტრუქტურის, მოღვაწეობა.

ქართველი კინემატოგრაფისტები მადლობელნი არიან ბატონ ივანე კიღურაძის, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული კანონპროექტის განხილვა უნდა მოხდეს კინემატოგრაფისტა ფართო სპექტრთან კონსულტაციის შედეგად. რაც შეეხება ნუკრი ქანთარიას მიერ გაჟღერებულ რეფორმების პროექტს, მიგვაჩნია, რომ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

**იცხოვრეთ მომავალისთვის.**
**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

- იყიდება ინვალიდის ეტლი იდეალურ მდგომარეობაში. ფასი 200 ლარი. ტელ: 577-48-50-48 ნაზი.
- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.
- მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს, ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.
- **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.
- ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.
- ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# შსს და რუსთავი კვალდაკვალ მიდიან

**რუსთავი – დინამო 94:75**

საინტერესო ბრძოლის მოლოდინში „ქიმიკოსთა“ დარბაზში ბლომად მაყურებელიც მოვიდა. მოლოდინმა სანახევროდ გაამართლა, რადგან დაძაბული და თვალსასეირო შეხვედრის მხოლოდ პირველი ტაიმი გამოდგა.

დინამოელები თავიდან 9:0 დაწინაურდნენ და რუსთაველთა მწვრთნელ მიხეილ ბერუაშვილს წუთშესვენების აღება მოუხდა თავისიანების გამოსაფხიზლებლად. მასპინძლებმა თამაში ნელ-ნელა დაალაგეს და პირველ 2-წუთიან შესვენებაზე ლიდერებად გავიდნენ – 21:18. მეორე მეოთხედი ფრედ, 20:20 დასრულდა, რაც იმის იმედს იძლეოდა, რომ მეორე ტაიმშიც საინტერესო ორთაბრძოლა იქნებოდა.

დიდი შესვენებიდან რუსთაველები უფრო მოტივირებულნი და გასამარჯვებლად შემართულნი დაბრუნდნენ. მასპინძლებმა მესამე მეოთხედიდან თამაშზე სრული კონტროლი დააწესეს, რაც როგორც სწრაფ შეტევებსა და კომბინაციურ თამაშში, ასევე ზუსტ შორ ტყორცნებში გამოიხატა. რუსთაველები სამქულიანებს ჩინებულად ესვრიან, რაც წინა ტურში თსსუსთანაც დაამტკიცეს, როცა 20 შორი ტყორცნა ჩააგდეს. დღეს კი მიხეილ ბერუაშვილის გუნდმა 15 სამიანი ჩააგდო და „დინამოს“ შანსი არ დაუტოვა. მესამე პერიოდში ნელსონის, ჭოჭუას, აბაიშვილის შორმა ტყორცნებმა თბილისური გუნდი წელში გატეხა. მასპინძლებმა მესამე პერიოდი 26:12 მოიგეს, 17 ქულით დაწინაურდნენ და მატჩის ბედი ბოლო მეოთხედის დაწყებამდე გადაწყვიტეს.

რუსთაველთა შორის 22 ქულით საუკეთესო კაილ ნელსონი გახლდათ, მიხეილ ჭოჭუამ 17 ჩააგდო, ცეკვავამ 15, ხოლო მალხაზ აბაიშვილის ანგარიშზე 13 ქულა დაგროვდა. დამარცხებულთაგან 23 ქულით ბექა ჩიკვილაძე გამოირჩა, ხოლო ლამარ კარიმმა 18 ქულა მიითვალა.

**მიხეილ ბერუაშვილი (რუსთავი):**

– პირველ რიგში მივულოცავ ჩემი გუნდის მოთამაშეებს, მათ დამსახურებულად გაიმარჯვეს. დღევანდელი მოგებით პლეი ოფისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით. „დინამო“ საკმაოდ ძლიერი გუნდია და გამარჯვების მიღწევა იოლი არ იყო. წინ კიდევ უფრო სერიოზული ბრძოლები გველის და ვეცდებით, აღებული ტემპი არ დავაგდოთ.

**ირაკლი ხოშტარია(ბათუმი):**

– სამწუხაროდ, დავმარცხდით, მაგრამ ეს არაა ტრაგედია. ეს მატჩები პლეი ოფისთვის მოსამზადებლად გვინდა, რადგან გადამწყვეტი ბრძოლები სწორედ მეოთხედფინალიდან იწყება. რუსთაველებს პირველ ტაიმში ბრძოლა გავუმართეთ, მაგრამ მეორე ნახევარში მასპინძლებმა მაღალ დონეზე ითამაშეს. ჩვენს შეცდომებს გავაანალიზებთ და ვეცდებით, მომავალ მატჩებში იგივე შეცდომები არ დავუშვათ.

**სტუ – ქუთაისი 41:55**

მატჩი იმერული კლუბის იოლი გამარჯვებით დასრულდა. ტექნიკოსებმა მეტოქეს წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ მეოთხედში გაუწიეს, რომელიც 11:15 დათმეს. მეორე ათწუთეულიდან კი დავით უსტიაშვილის გუნდს ყველაფერი გამოუვიდა. მომდევნო პერიოდი ქუთაისელებმა 28:7 მოიგეს და მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვიტეს.

მეორე ტაიმი ფორმალობა გამოდგა. ქუთაისელებმა მოპოვებული უპირატესობა ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცეს და საბოლოოდ 55-ქულიანი გამარჯვება გაიფორმეს. სტუ-ს ვერც ერთი მოთამაშე 10-ქულიან ზღვრამდე ვერ მივიდა, ხოლო ქუთაისელთაგან აღნიშნული ბარიერი ოთხმა კალათბურთელმა დაძლია. 19-19 ქულით იმერულ კლუბში გიორგი ბარბაქაძე და რიჩარდ მათიაშვილი გამოირჩნენ. ამ უკანასკნელმა ორმაგი დუბლი გაიფორმა და დაგროვილ ქულებს 13 მოხსნაც მოაყოლა.

**დავით უსტიაშვილი (ქუთაისი):**

– მატჩის ბედი ფაქტობრივად თავიდანვე გადაწყდა. კარგად ვითამაშეთ დაცვაში, მსროლელების ასპარეზობითაც კმაყოფილი ვარ, შედეგად დამაჯერებლად გავიმარჯვეთ.

**ავთანდილ ლომინაშვილი (ქუთაისი):**

– მეტოქე შეეცადა წინააღმდეგობა გაეწია ჩვენთვის, თუმცა კარგად დავიწყეთ და სასურველ შედეგს იოლად მივაღწიეთ.

**ზურა ტომარაძე (სტუ):**

– ძალიან ცუდად ვითამაშეთ, მიზეზებზე საუბარი ალბათ შორს წაგვიყვანს ასე რომ თავს შევიკავებ. ქუთაისი ძლიერი გუნდია, რომელიც მაღალი მიზნებისთვის იბრძვის, რაც შეგვეხება ჩვენ თამაშით ძალიან უკმაყოფილო ვარ.

**თსუ – შსს 76:102**

მატჩი ლოგიკური შედეგით დასრულდა – თსუ-ს რაც შეეძლო, გაუძალიანდა ძლიერ მეტოქეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა.

სტუდენტებში გიორგი ხანიაშვილი გამოირჩეოდა, რომლის სიზუსტის წყალობით სტუდენტები შსს-ს გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ. გიორგოს კეცელიდისის გუნდი მთელი თამაში წინ იყო, თუმცა იმდენად სოლიდური სხვაობით არა, რომ საკუთარი თავისთვის მოდუნების საშუალება მიეცა. აკადემიელთა ამერიკელი ლეგიონერები მაქსიმალური მობილიზებით თამაშობდნენ, რომელთაგან აღსანიშნავია მათი ახალწვეულის, ბენჯამინ რეიმონდის კარგი გარჯა. კუნთმაგარმა ამერიკელმა 16 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა, ის თავის გუნდში ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი იყო.

„შსს-აკადემიის“ მწვრთნელ გიორგოს კეცელიდიდსს სჩვევია ახალგაზრდა მოთამაშეების ასაკობრივი გუნდებიდან დამატება და ამჯერად ბერძენმა სპეციალისტმა შანსი შსს-ს 16-წლამდელთა გუნდის წევრ გიორგი ჩაჩხიანს მისცა, რომელიც მოედანზე მატჩის ბოლო 5 წუთს გამოჩნდა და თითო მოხსნა-პასის მითვლა მოასწრო.



რაც შეეხება ძალოვანთა ერთ-ერთ ლიდერ დენოტა ვონს, სამმაგი დუბლის ზღვრამდე მივიდა. ამერიკელმა უკანახაზელმა 23 ქულა, 9 მოხსნა და 8 პასი მიითვალა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდში საუკეთესო ზემოთ ხსენებული გიორგი ხანიაშვილი იყო, რომელმაც 24 ქულა მიითვალა. 14 ქულით დაასრულა შეხვედრა ვახტანგ ჩქარეულმა, ხოლო გივი ბაქრაძემ თავი 10 ქულას მოუყარა.

მატჩის დასრულების შემდგომ გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც მედიის წარმომადგენლებთან კომენტარი შსს კადემიის მთავრმა მწვრთნელმა გეორგის კეცელიდისმა და მოთამაშემ ბენჟამენ რეიმონდმა გააკეთეს. რაც შეეხება თსუ-ს გუნდს, რომელიც პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, სუპერლიგის დებულების შესაბამისად, მე-10 თავის 22.11 მუხლის მიხედვით დაეკისრა ჯარიმა 100 ლარის ოდენობით.

**გეორგის კეცელიდისი (შსს აკადემია):**

– სასიხარულოა, რომ მოვიგეთ შეხვედრა, თუმცა ძალიან ცუდად ვითამაშეთ. დაცვაში ასპარეზობით არ ვარ კმაყოფილი. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია დაცვაში კარგი თამაში. მითუმეტეს რომ მორიგი შეხვედრა რუსთავის წინააღმდეგ გვაქვს და ასეთი დაცვით ნამდვილად შემიძლია ვთქვა რომ წავაგებთ. ეს შეხვედრა გამოგვადგება ჩვენი მინუსების გასაანალიზებლად რათა მოვემზადოთ მორიგი მატჩისთვის.

**ბენჟამენ რაიმონდი (შსს აკადემია):**

– დაცვით მეც უკმაყოფილო ვარ, რადგან ამ კუთხით ჩვენი გუნდის ბევრად უკეთესი თამაშებიც გახსოვთ. რაც შემეხება მე, ძალიან ცოტა მოთამაშეა, ვინც გუნდის ლიდერი თავიდანვე ხდება. მე ვეცდები ჩემი შესაძლებლობები გამოვიყენო, ნელ-ნელა შევთამაშდე გუნდთან და კარგი იქნება, თუ ჩემს გუნდს მაქსიმალურად გამოვადგები.

**არმია – თსსუ 105:65**

თსსუ, რომელსაც მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ 1 გამარჯვება აქვს მოპოვებული, 2 წამყვანი კალათბურთელის გარეშე იყო – გიორგი გაფრინდაშვილსა და გიორგი რევაზაშვილს ტრავმები აწუხებს. მედიკოსებმა მოქმედ ჩემპიონ „არმიას“ მხოლოდ პირველ მეოთხედში, ისიც სადებიუტო წუთებში გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა. სანამ არმიელები დალაგდებოდნენ, ლევან რევაზაშვილი და ზურა მაისურაძე ქულებს იოლად იხვეჭდნენ და თსსუ მეტოქეს ბევრით არ ჩამორჩებოდა.

მეორე მეოთხედიდან კოტე ტუღუშის გუნდმა სიზუსტეს უმატა, დაცვაშიც საიმედოდ ათამაშდა და არმიელთა უპირატესობამ 20 ქულას გადააჭარბა. ცხადი იყო, თავდაცვის სამინისტროს გუნდი გამარჯვებას იოლად მოიპოვებდა. საკითხავი ის იყო, რამდენად დიდი სხვაობით გააკეთებდა ამას. არმიელები საბოლოოდ 40 ქულას დასჯერდნენ და მეტოქე 105:65 დაამარცხეს.

გამარჯვებულებმა გუნდურად ითამაშეს – გამორჩეულად მაღალი შედეგიანობა არავის გამოუჩენია. 10-ქულიანი ზღვარი ექვსმა კალათბურთელმა დაძლია, რომელთაგან ყველაზე მეტი – 18 ქულა, გუნდის ახალწვეულმა, ბესიკ ლეჟავამ მოაგროვა. 4-ით ნაკლები ქულა იყო გიორგი გამყრელიძის ანგარიშზე, ხოლო ლაშა ფარლალავამ და გიორგი ჯგერენაიამ 12-12 მიითვალეს.

**კოტე ტუღუში (არმია):**

– მოთამაშეებმა კარგად გაართვეს თავი კონკრეტულ დავალებებს, თუმცა ფარი წავაგეთ და ვფიქრობ, ეს ხარვეზი დაძაბულ მატჩებში თავს გამოიჩენს.

**თენგიზ ფიცხელაური (თსსუ):**

– ვულოცავ „არმიას“ გამარჯვებას, რომელიც ერთ-ერთ ძლიერი გუნდია როგორც შემადგენლობით, ასევე მომზადებით. ვეცდებით ჩვენს უშუალო კონკურენტებთან ბოლომდე ვიბრძოლოთ და შედეგს მივაღწიოთ. რაც შეეხება დღევანდელ შეხვედრას, გვაკლდა ორი ძირითადი მოთამაშე – გიორგი გაფრინდაშვილი და გიორგი რევაზაშვილი, რომელთა არყოფნამ, რა თქმა უნდა, გარკვეული გავლენა იქონია თამაშის შედეგზე.

**გიორგი ჯგერენაია(არმია):**

– მწვრთნელისგან კონკრეტული დავალებები მივიღეთ, საიდანაც ზოგს თავი გავართვით, ზოგიც ვერ შევასრულეთ. ვინაიდან რამდენიმე ძლიერმა მოთამაშემ დატოვა არმია, ჩვენი გუნდი ახლა ყალიბდება. ვცდილობთ, მოთამაშეები ერთმანეთს თავიდან შევეწყოთ და შევთამაშდეთ.

**ბათუმი – ოლიმპი 66:105**

ფავორიტად თბილისური გუნდი მოიაზრებოდა და ეს საბოლოო ანგარიშიც აისახა – 105:66.

სტუმრებს შეხვედრის მოგება არ გასჭირვებიათ. თავიდანვე უპირატესობით დაიწყეს და პირველი ტაიმი 30-ქულიანი უპირატესობით დაასრულეს. მეორე ნახევარში მასპინძელთა მხრიდან არაფერი შეცვლილა და ოლიმპმა გასვლით მატჩში გამარჯვება მოიპოვა.

ბათუმელმა გიორგი ყველაშვილმა 22 ქულა დააგროვა, ხოლო ლაშა კეშელავამ – 20. ოლიმპელთაგან ლევან ფაცაცია გამოირჩა – 24 ქულა, ხოლო აკაკი დვალიშვილმა ორმაგი დუბლი მიითვალა – 20 ქულა, 16 მოხსნა.

**გია კაზანჯიანი (ოლიმპი):**

– ჩვენმა გუნდმა უკეთესად იასპარეზა, შემადგენლობაც მეტოქეზე უკეთესი გვყავს და იოლი გამარჯვება მოვიპოვეთ. ყველა კომპონენტში ვაჯობეთ მოწინააღმდეგეს, განსაკუთრებით ფარქვეშ და სამქულიანებში. რაც შეეხება ტრავმებს, მარტინას ანდრიუკაიტისი ნელ-ნელა შედის ფორმაში, თუმცა დღეს მისი თამაშის საჭიროება არ იყო და დავასვენეთ. სუპერლიგა საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარეობს. გამოვყოფდი სატურნირო ცხრილის პირველ ექვსეულს, რომელთაც მიმდინარე ჩემპიონატში თანაბარი შანსები გააჩნიათ.

**მიხეილ კობეშავიძე (ბათუმი):**

– ჩვენი გუნდი შემადგენლობით ისედაც სუსტია ოლიმპზე და ახლა ტრავმიანობაც დაგვემატა – ივანე მაისურაძემ და ნიკა რამიშვილმა დღეს ვერ იასპარეზეს, ბოლომდე ვერ ჩაატარა შეხვედრა გიორგი ნანიტაშვილმა, რომელმაც ფეხის ტრავმა მიიღო. შესაბამისად მეტოქეს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ და დიდი სხვაობით დავმარცხდით. მიუხედავად ამისა, ვიბრძოლებთ და ჩვენს უშუალო კონკურენტებს, სამედიცინოს, თსუ-სა და სტუ-ს შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობას გავუწევთ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.შსს | 13 | 11 | 2 | 1080:848 | 24 |
| 2.რუსთავი | 13 | 11 | 2 | 1122:915 | 24 |
| 3.არმია | 12 | 10 | 2 | 1074:788 | 22 |
| 4.ოლიმპი | 12 | 10 | 2 | 1052:861 | 22 |
| 5.ქუთაისი | 13 | 8 | 5 | 1041:918 | 21 |
| 6.დინამო | 13 | 8 | 5 | 997:950 | 21 |
| 7.თსუ | 13 | 5 | 8 | 917:1027 | 18 |
| 8.ბათუმი | 13 | 3 | 10 | 874:1076 | 16 |
| 9.სოხუმი | 12 | 3 | 9 | 904:999 | 15 |
| 10.თსსუ | 13 | 1 | 12 | 813:1189 | 14 |
| 11.სტუ | 13 | 0 | 13 | 825:1128 | 13 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ბრისტოლი ..................... 2:1
ბირმინგემი-უოტფორდი ............... 0:4
დერბი-ვულვზი ............................. 0:0
იფსვიჩი-ბლექპული ...................... 1:0
კრ.პალასი-მიდლსბრო .................. 4:1
ნოტინგემი-ბოლტონი .................... 1:1
ჰალი-ჩარლტონი ........................... 1:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სევილია-დეპორტივო ..................... 3:1
ხეტაფე-სელტა .............................. 3:1
მალაგა-ბილბაო ............................ 1:0
გრანადა-ბარსელონა ...................... 1:2
ოსასუნა-სარაგოსა ........................ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 24 | 21 | 2 | 1 | 80:27 | 65 |
| 2.ატლეტიკო | 23 | 16 | 2 | 5 | 44:23 | 50 |
| 3.რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58:22 | 46 |
| 4.მალაგა | 24 | 12 | 6 | 6 | 35:21 | 42 |
| 5.ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32:35 | 37 |
| 6.რაიო | 23 | 12 | 1 | 10 | 33:39 | 37 |
| 7.სოსიედადი | 23 | 10 | 6 | 7 | 37:29 | 36 |
| 8.ბეტისი | 23 | 11 | 3 | 9 | 31:34 | 36 |
| 9.ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29:35 | 33 |
| 10.სევილია | 24 | 9 | 5 | 10 | 33:35 | 32 |
| 11.ხეტაფე | 24 | 9 | 5 | 10 | 34:41 | 32 |
| 12.ვალიადოლიდი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:29 | 30 |
| 13.ესპანიოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 30:34 | 28 |
| 14.გრანადა | 24 | 7 | 5 | 12 | 23:34 | 26 |
| 15.ბილბაო | 24 | 7 | 5 | 12 | 29:46 | 26 |
| 16.ოსასუნა | 24 | 5 | 7 | 11 | 20:27 | 25 |
| 17.სარაგოსა | 24 | 7 | 3 | 14 | 22:34 | 24 |
| 18.სელტა | 24 | 5 | 5 | 14 | 22:31 | 20 |
| 19.მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23:43 | 18 |
| 20.დეპორტივო | 24 | 3 | 7 | 14 | 28:54 | 16 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

გვადალახარა-ალმერია ................ 2:2
პონფერადინა-ბარსელონა ბ ........ 3:2
საბადელი-რეალი ბ ...................... 3:1

**იტალია. სერია ა**

კიევო-პალერმო ............................ 1:1
რომა-იუვენტუსი ........................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 25 | 17 | 4 | 4 | 50:17 | 55 |
| 2.ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 46:21 | 50 |
| 3.ლაციო | 24 | 14 | 5 | 6 | 35:26 | 44 |
| 4.ინტერი | 24 | 13 | 4 | 7 | 39:29 | 43 |
| 5.მილანი | 24 | 12 | 5 | 7 | 42:30 | 41 |
| 6.ფიორენტინა | 24 | 11 | 6 | 7 | 41:29 | 39 |
| 7.რომა | 25 | 11 | 4 | 10 | 51:45 | 37 |
| 8.უდინეზე | 24 | 9 | 9 | 6 | 35:33 | 36 |
| 9.კატანია | 24 | 10 | 6 | 8 | 31:30 | 36 |
| 10.პარმა | 24 | 8 | 8 | 8 | 30:31 | 32 |
| 11.კიევო | 25 | 8 | 5 | 12 | 26:40 | 29 |
| 12.სამპდორია | 24 | 8 | 5 | 11 | 31:30 | 28 |
| 13.ტორინო | 24 | 6 | 11 | 7 | 27:27 | 28 |
| 14.ატალანტა | 24 | 8 | 5 | 11 | 21:33 | 27 |
| 15.ბოლონია | 24 | 7 | 5 | 12 | 33:34 | 26 |
| 16.კალიარი | 24 | 6 | 7 | 11 | 26:41 | 25 |
| 17.ჯენოა | 24 | 5 | 7 | 12 | 25:37 | 22 |
| 18.პესკარა | 24 | 6 | 3 | 15 | 20:49 | 21 |
| 19.სიენა | 24 | 6 | 6 | 12 | 24:34 | 18 |
| 20.პალერმო | 25 | 3 | 10 | 12 | 22:39 | 18 |

**შენიშვნა:**

**სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა**
**ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა**
**სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა**

**იტალია. სერია ბ**

ბარი-კროტონე ............................... 0:0
ბრეშა-ვიჩენცა ............................... 0:1
ვარეზე-იუვე სტაბია ...................... 1:1
გროსეტო-ლანჩანო ........................ 2:2
რეჯინა-პადოვა .............................. 2:1
სასუოლო-სპეცია ........................... 3:2
ტერნანა-ემპოლი ........................... 0:0
ჩიტადელა-ჩეზენა ......................... 1:1
ლივორნო-მოდენა .......................... 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ლევერკუზენი-აუგსბურგი ........... 2:1
ვერდერი-ფრაიბურგი .................. 2:3
ჰამბურგი-გლადბახი ..................... 1:0
მაინცი-შალკე ................................. 2:2
ფორტუნა-ფიურტი ......................... 1:0
დორტმუნდი-აინტრახტი .............. 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 22 | 18 | 3 | 1 | 57:7 | 57 |
| 2.დორტმუნდი | 22 | 12 | 6 | 4 | 50:26 | 42 |
| 3.ლევერკუზენი | 22 | 12 | 5 | 5 | 43:30 | 41 |
| 4.აინტრახტი | 22 | 11 | 4 | 7 | 38:34 | 37 |
| 5.ფრაიბურგი | 22 | 9 | 7 | 6 | 29:22 | 34 |
| 6.ჰამბურგი | 22 | 10 | 4 | 8 | 27:27 | 34 |
| 7.მაინცი | 22 | 9 | 5 | 8 | 30:27 | 32 |
| 8.შალკე | 22 | 8 | 6 | 8 | 35:37 | 30 |
| 9.გლადბახი | 22 | 7 | 9 | 6 | 31:33 | 30 |
| 10.ჰანოვერი | 21 | 9 | 2 | 10 | 39:39 | 29 |
| 11.ვერდერი | 22 | 8 | 4 | 10 | 38:41 | 28 |
| 12.ფორტუნა | 22 | 7 | 6 | 9 | 27:29 | 27 |
| 13.ვოლფსბურგი | 22 | 7 | 5 | 10 | 22:32 | 26 |
| 14.ნიურნბერგი | 21 | 6 | 7 | 8 | 20:27 | 25 |
| 15.შტუტგარტი | 21 | 7 | 4 | 10 | 23:39 | 25 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 21 | 4 | 4 | 13 | 26:45 | 16 |
| 17.აუგსბურგი | 22 | 2 | 9 | 11 | 18:35 | 15 |
| 18.ფიურტი | 22 | 2 | 6 | 14 | 13:36 | 12 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

უნიონი-ინგოლშტადი .................. 1:1
ალენი-ჰერტა ................................ 0:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მარსელი-ვალანსიენი .................. 1:0
ბასტია-ნიცა ................................. 0:1
ბრესტი-აიაჩო .............................. 1:1
ლორიენი-ევიანი .......................... 2:1
მონპელიე-ნანსი ........................... 1:0
ტულუზა-ტრუა ............................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 24 | 15 | 6 | 3 | 45:13 | 51 |
| 2.მარსელი | 25 | 14 | 4 | 7 | 32:29 | 46 |
| 3.ლიონი | 24 | 13 | 6 | 5 | 39:24 | 45 |
| 4.ნიცა | 25 | 11 | 9 | 5 | 37:28 | 42 |
| 5.სენტ ეტიენი | 24 | 11 | 7 | 6 | 36:18 | 40 |
| 6.რენი | 25 | 12 | 4 | 9 | 37:32 | 40 |
| 7.ლორიენი | 25 | 10 | 9 | 6 | 41:39 | 39 |
| 8.ბორდო | 24 | 9 | 11 | 4 | 26:16 | 38 |
| 9.მონპელიე | 25 | 11 | 5 | 9 | 40:32 | 38 |
| 10.ლილი | 25 | 9 | 10 | 6 | 31:25 | 37 |
| 11.ვალანსიენი | 25 | 9 | 6 | 10 | 34:36 | 33 |
| 12.ტულუზა | 25 | 8 | 8 | 9 | 32:32 | 32 |
| 13.აიაჩო | 25 | 7 | 10 | 8 | 28:33 | 29 |
| 14.ბასტია | 25 | 7 | 5 | 13 | 29:51 | 26 |
| 15.ბრესტი | 25 | 7 | 4 | 14 | 25:36 | 25 |
| 16.რეიმსი | 24 | 5 | 8 | 11 | 21:28 | 23 |
| 17.სოშო | 24 | 6 | 5 | 13 | 22:34 | 23 |
| 18.ევიანი | 25 | 5 | 8 | 12 | 23:38 | 23 |
| 19.ტრუა | 25 | 3 | 10 | 12 | 28:46 | 19 |
| 20.ნანსი | 25 | 3 | 9 | 13 | 22:41 | 18 |

**შენიშვნა:**

**აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა**

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

გენგამი-ნანტი ............................... 2:1

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ტვენტე-ტილბურგი ....................... 1:1
ბრედა-ერაკლესი .......................... 1:1
როდა-ალკმაარი ........................... 2:2
პსვ-უტრეხტი ................................ 2:1

**პორტუგალია. ა ლიგა**

ბეირა მარი-პორტუ ...................... 0:2
ჟილ ვისენტე-სპორტინგი ............ 2:3

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-ინვერნესი ................ 3:0
როსი-სტ.ჯონსონი ....................... 1:0
სელტიკი-იუნაიტედი .................. 6:2
სტ.მირენი-ჰიბერნიანი ................ 0:1
ჰართსი-კილმანროკი ................... 0:3

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-იანგ ბოიზი ........... 2:0
სიონი-სტ.ჰალენი ........................ 1:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

რიდი-ინსბრუკი ............................ 3:0
ადმირა-ნოიშტადი ....................... 1:2
მატერსბურგი-შტურმი ................. 0:0

**ბელგია. პროლიგა**

სერკლი-სტანდარდი ................... 0:1
ლეუვენი-ბეერსხოტი .................. 1:1
ვარეგემი-ბევერენი ..................... 2:0
ლიერსი-მეხელენი ....................... 0:2
მონსი-გენტი ................................. 0:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

კერკირა-პანიონიოსი .................. 2:1
იანინა-პანთრათიკოსი ................ 0:0
აეკი-პაოკი .................................... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ესკიშეჰირი-კაისერი ................... 0:3
ანთალია-ქარაბუქი ..................... 0:0
ბეშიქთაში-გაზიანთები .............. 1:1

**არგენტინა. პრიმერა დივიზიონი**

გოდოი-უნიონი ............................ 2:1
სან ლორენცო-ბელგრანო .......... 0:0
კოლონი-სან მარტინი ................. 1:1
ველეჟი-ინდეპენდიენტე ............. 0:1

### ჩოგბურთი

**აშშ. სან ხოსე**

ისნერი-ჰაასი ......................... 3:6;4:6
რაონიჩი-კიურეი .................... 6:4;6:2

**ვტა. დოჰა**

აზარენკა-რადვანსკა ა. ......... 6:3;6:3
უილიამსი ს.-შარაპოვა .......... 6:3;6:2

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

ფლორიდა-ტამპა ბეი ............ 5:6(ოტ)
მონრეალი-ფილადელფია ............ 4:1
აილენდერსი-ნიუ ჯერსი ............. 5:1
ტორონტო-ოტავა ......................... 3:0
ნეშვილი-ანაჰაიმი ............... 2:2(0:1ბ)
ფინიქსი-კოლამბუსი .................... 5:3
ედმონტონი-კოლორადო .............. 6:4

# ელდარ შენგელაია: „მოგვისმინეთ!“

დასაწყისი მე-8 გვერდზე

პროექტი ეროვნული კინოცენტრის გაერთიანების შესახებ კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“, არსებული კანონის დარღვევაა, შეგიძლიათ იხილოთ კანონი კინოს შესახებ. ზოგადად ეს იდეა, დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, აბსურდულად ჟღერს. საქართველოში არსებული დამოუკიდებელი სტუდიები აწარმოებენ დამოუკიდებელ პროდუქციას, რომელიც ყოველწლიურად ფინანსდება კინოცენტრის სუბსიდიით, კონკურსის სფუძველზე და მათ თანაბარი უფლება აქვთ მიიღონ ეს სუბსიდია, ისევე, როგორც კინოსტუდია „ქართულ ფილმს“. გარდა ამისა, მსგავსი რეფორმა სრულ კოლაფსში ჩააყენებს ზოგადად სექტორს და მისი განვითარების პერსპექტივას. დღეს კინოსექტორი მუშაობს ევროპული მოდელის მიხედვით. ყველა ევროპულ ქვეყანაში, რომელთანაც ქართული დამოუკიდებელი მწარმოებლები შედიან კოპროდუქციაში, არსებობს ანალოგიური სტრუქტურა, რომელიც არეგულირებს ევროპული კონვენციის აღსრულებას. გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონი „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა კინოცენტრის დაარსებას, შემუშავებული იყო მთლიანად კინოკავშირის მიერ და უფლება-მოსილების შესაბამისად, გადაეგზავნა პირდაპირ პარლამენტს განსახილველად. ასევე გვინდა, რამოდენიმე სიტყვით შევეხოთ კინოცენტრის მოღვაწეობას ქართული კინოსექტორის განვითარებისა და ხელშეწყობის სფეროში. ბოლო 3 წლის სტატისტიკით: 2010-2012 წლებში ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსდა 9 სრულმეტრაჟიანი, 5 მოკლემეტრაჟიანი, 11 დოკუმენტური და 9 ანიმაციური ფილმი. სულ 34 ფილმი. ამჟამად წარმოებაშია 8 სრულმეტრაჟიანი მხატვრული (აქედან 3 კო-პროდუქცია), 8 დოკუმენტური, 4 მოკლემეტრაჟიანი და 1 ანიმაციური ფილმი. სულ 24 ფილმი. მათ შორის, ბრიტანულ-ქართული მასშტაბური კოპროდუქცია „ეპიკი“, რომელსაც საქართველოში რეჟისორი ბენ ჰოპკინსი იღებს და მასში საერთაშორისო ვარსკვლავები მონაწილეობენ. ევროპული კონვენციის ამუშავების შედეგად, მიმოხილულ პერიოდში წარმოებულ ფილმებს უცხოურ საპროდიუსერო კომპანიებთან მიენიჭა ოფიციალური კო-პროდუქციის სტატუსი: „გაიღიმეთ“ (საქართველო-საფრანგეთი-ლუქსემბურგი), „ჩაიკა“ (ესპანეთი-საქართველო-რუსეთი), „ფარაჯანოვი“ (საქართველო-სომხეთი-საფრანგეთი-ნორვეგია-უკრაინა), „გასროლა წყალში“ (გერმანია-საქართველო-საფრანგეთი), „ძმა“ (საქართველო-საფრანფეთი), „ეპიკი“ (საქართველო-გერმანია-დიდი ბრიტანეთი-რუსეთი), „მანდარინები“ (საქართველო-ესტონეთი). ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებულმა ფილმებმა არაერთი წარმატება მოიპოვა ბოლო პერიოდში საერთაშორისო კინოფესტივალებზე, მათ შორის, აღსანიშნავია თინა გურჩიანი, რომელმაც საუკეთესო რეჟისურისთვის აიღო პრიზი სანდენსის კინოფესტივალზე ფილმისთვის „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“. ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, წარმოებული ფილმების წარმატება საერთაშორისო კინოფესტივალებზე: 2012 წლის პირველ კვარტალში ქართულმა ფილმებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ კინოფესტივალებზე: მუმბაის საერთაშორისო დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე ორი ქართული ფილმი მონაწილეობდა ნანა ჯანელიძის „ნეტავი იქ თეატრი არის?!“ და მინდია ესაძის „თეთრი არა – შავი“. ჰონკონგის საერთაშორისო კინოფესტივალზე საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობა მიიღო ორი ქართული ფილმი: ნანა ჯანელიძის „ნეტავი იქ თეატრი არის?!“ და თორნიკე ბზიავას „ბუდე“. „გაიღიმეთ“ რუსუდან ჭყონია – ფილმის პრემიერა შედგა ვენეციის საერთაშორის კინოფესტივალის პროგრამაში. ფილმის ჩვენებამ წარმატებით ჩაიარა და შემოთავაზება მიიღო სხვადასხვა ფესტივალებიდან. ანტალიის კინოფესტივალში მონაწილეობით ფილმმა მიიღო ჟიურის სპეციალური პრიზი. უახლოეს პერიოდში „გაიღიმეთ“ მონაწილეობას მიიღებს ისეთი ფესტივალების საკონკურსო პროგრამაში როგორიც არის კიევის საერთაშორისო კინოფესტივალი „მოლოდისტი“ და აბუ-დაბის საერთაშორისო კინოფესტივალი. ესპანურ-ქართული კოპროდუქცია „ჩაიკა“ მიგელ ანხელ ხიმენესი – პრემიერა შედგა სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში. ფილმი „მარილივით თეთრი“ – ქეთი მაჭავარიანის სადებიუტო ნამუშევარი მონაწილეობდა ჩეხეთში კარლოვი ვარის 46-ე საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო სექციაში. ფილმი ასევე მიწვეული იყო მონრეალის, ტალინის, მანჰეიმის ფესტივალებზე. 2011 წელი – საქართველო „ევრიმაჟის“ (ევროპის საბჭოს ევროპული კინოს მხარდაჭერის ფონდის) 36-ე წევრი ქვეყანა გახდა. პირველ წელს დაფინანსდა სამი ქართული კინოპროექტი – „ძმა“ (საფრანგეთი-საქართველო), „მანდარინები“ (საქართველო-ესტონეთი), „ეპიკი“ (საქართველო-გერმანია-რუსეთი-ინგლისი). აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს „ევრიმაჟში“ გაერთიანების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირთან არსებული კინოკომპანია „სინეტექისა“ და ესპანეთის ერთობლივი კინოფილმის „ჩაიკა“ წარმოება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ რობერტ ბოშის ფონდის პროგრამა „კოპროდუქციის პრიზი“ გაიხსნა ქართველი მონაწილეებისათვის. ეროვნულ კინოცენტრთან ერთად, ორჯერ მოეწყო „პროექტების ბაზრობა თბილისი“. „გალას“ ახალი ნომინაცია – „საუკეთესო კინოსცენარი“ – ორი ქართული გამარჯვებული სცენარი. 2010-2012 წლებში ეროვნულმა კინოცენტრმა კინოექსპორტის მიმართულებით მონაწილეობა მიიღო კანის 63-ე, 64-ე და 65-ე კინოფესტივალების ფარგლებში ორგანიზებულ კინობაზრობებში. ასევე, გამყარდა კონტაქტები ისეთ საერთაშორისო ფესტივალებთან, როგორებიც არის ბერლინის, ლოკარნოს, მონრეალის, სარაევოს, ვისბადენის, ტრიესტეს, კარლოვი ვარის კინოფესტივალები. 2011-12 წლებში ბერლინის 61-ე და 62-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ კინობაზრობებზე ეროვნული კინოცენტრი მეხუთედ და მეექვსედ წარდგა საქართველოს სტენდით. 2012 წლიდან სარაევოს კინოფესტივალი ღიაა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის, საქართველო რეგიონის წევრია. 2013 წლიდან კი ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალი ღიაა ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის. 2011, 2012 წლებში ეროვნული კინოცენტრის შუამდგომლობით ქართულმა კინოპროექტებმა მონაწილეობა მიიღო ტრიესტში, კოტბუსში და სოფიაში გამართულ კო-პროდუქციის ფორუმებზე. რაც შეეხება ქართული კინოს დღეებს ევროპაში, ქართული ფილმების რეტროსპექტივა მოეწყო შემდეგ ევროპულ ქალაქებში ლონდონში, პოლონეთის ქალაქ ტორუნში, უკრაინის ქალაქ ოდესაში, მაკედონიის რესპუბლიკის ქალაქ სკოპიეში, სადაც გაიმართა ქართული კინოს დღეები. ამ პერიოდში მოპოვებულია 110-მდე სამგზავრო გრანტი ფესტივალებზე და საერთაშორისო ღონისძიებებზე ქართველი კინოპროფესიონალების დასასწრებად. აღდგენილია 5 ქართული კინოფილმი „მაგდანას ლურჯა“, „ჩემი ბებია“, „ჯიმ შვანთე“, „ქეთო და კოტე“ და „ფიროსმანი“. 2012 წელს საქართველო ეუროპეან ფილმ პრომუშენის წევრი ქვეყანა ხდება კინოსა და კინემატოგრაფისტების, მათ შორის პროდიუსერების, რეჟისორების, მსახიობების პოპულარიზაციის მიზნით. გამოიცემა ჟურნალი „ფილმ პრინტი“ კვარტარული ბეჭდური გამოცემა, ეს არის ჟურნალი ქართულ კინოზე, რომელსაც გამოსცემს ეროვნული კინოცენტრი რედაქტორთა სხვადასხვა ჯგუფთან ერთად. შექმნილია კინოკომისიის ვებვერდი, კინოპროფესიონალების და გადასაღები ადგილების დიდი ბაზა. ეროვნული კინოცენტრი აწარმოებს ადგილობრივი ფესტივალების მხარდაჭერას, საქართველო მასპინძლობს 5 საერთაშორისო ფესტივალს. ეს ფესტივალები ნაწილობრივ ფინანსდება კინოცენტრის სუბსიდიებით. მათ შორისაა, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი, იმართება ყოველწლიურად დეკემბერში, ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი, იმართება ყოველწლიურად სექტემბერში, თოფუზის საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალი, იმართება ყოველწლიურად ოქტომბერში, ამირანის სტუდენტური ყოველწლიური საერთაშორისო კინოფესტივალი, იმართება ყოველწლიურად ივნისში. 2012 წელს თბილისში კანის კინოფესტივალის კრიტიკოსთა კვირეულიც ჩატარდა. 2013 წელს ორი ქართული სადებიუტო მხატვრული ფილმი მოხვდა ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოესტივალის სხვადასხვა ოფიციალურ სექციაში – ზაზა რუსაძის ნამუშევარმა „ჩემი საბნის ნაკეცი“ პროგრამა „პანორამა“ გახსნა, ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციის „გრძელი ნათელი დღეები“ პრემიერა კი „ფორუმის“ ფარგლებში შედგა. აქედან გამომდინარე, კინოკავშირი დადებითად აფასებს კინოცენტრის მოღვაწეობას ქართული კინოსექტორის განვითარებისა და ხელშეწყობის სფეროში. ახლა მიდის საუბარი იმაზე, რომ მოხდეს კინოცენტრისა და კინოსტუდიის გაერთიანება და ერთი წარმოების შექმნა. მიგვაჩნია, რომ ეროვნული კინოცენტრის კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ გაერთიანების პროექტი კანონის დარღვევაა. ჩვენ მოვითხოვთ, ერთ რამეს, რომ მოგვისმინონ, კინემატოგრაფისტებს მიეცეს საშუალება, მათი აზრი კინოპროცესზე იყოს გათვალისწინებული! კინემატოგრაფისტებს გვქონდეს საშუალება, ჩვენი აზრი გამოვთქვათ და კულტურის სამინისტრომ და მინისტრმა ეს მიიღოს მხედველობაში, – აცხადებს ელდარ შენგელაია.

Georgian National Film Center
საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

## სპორტი
# პატარა ბორჯღალოსნებმა ინგლისელები დაალეწეს

საქართველოს 18 წლამდე მორაგბეთა ნაკრები ევროპის ელიტარული ჩემპიონატისთვის ემზადება და „შევარდენის“ სანაკრებო ბაზაზე ინგლისის პრემიერშიპის გუნდ „ლონდონ უოსპსის“ აკადემიის 18-წლამდელთა გუნდთან ამხანაგური თამაში გამართა. პატარა „ბორჯღალოსნებმა მეტოქე 48:12 გაანადგურეს.

ელიტარული სარაგბო და სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებთან ქართველთა ასეთ თამაშს ნამდვილად არ მოველოდით. საქართველოს ნაკრები თამაშობდა სწრაფად, ორგანიზებულად და თითქმის უშეცდომოდ, რასაც ინგლისელებმა ბევრი ვერაფერი დაუპირისპირეს. გამოიკვეთა კიდევ ერთი სასიამოვნო ფაქტი – ჩვენები განსხვავებულად თამაშობენ – ხელდახელ, რასაც ამას ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი ახლა ნერგავს.

საქართველოს ნაკრებმა პირველივე წუთებიდან კარგად დაიწყო თამაში და ლელოთი ანგარიში გახსნა, რასაც ზუსტი გარდასახვა მოჰყვა. ლელოთი ინგლისელებმა მალევე გვიპასუხეს, როცა ხაზი გაჭრეს და ბურთი ძელებსშუა დაამიწეს – 7:7.

საქართველოს ნაკრები უპირატესობას დაეუფლა და ჯერ არეკნით, შემდეგ კი ლელო-გარდასახვით სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს – 17:7.

თუმცა, მეტოქე ამას არ შეეპუა და ჩვენების შეცდომით ისარგებლა – ერთ-ერთმა ინგლისელმა ფეხით მოგერიებული ბურთი დააფარა და ლელო გაიტანა, მაგრამ გარდასახვა ვერ გამოიყენა – 17:12. საპასუხოდ საქართველოს ნაკრებმა ბურთი კარგად გადაიტანა აუტში, იქიდან კარგი მოლი აგორდა და მესამე ლელო გავიდა, რასაც ისევ ზუსტი გარდასახვა მოყვა და პირველი ტაიმი 24:12 მორჩა.

მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები კიდევ უფრო კარგად ათამაშდა და მეტოქეს ქულის მოპოვებაც არ დაანება, თავად კი იმდენივე მიითვალა, რამდენიც პირველ ტაიმში. ჯერ ლამაზი კომბინაციის შედეგად გატანილი ლელოთი ანგარიში კიდევ 7 ქულით გაზარდა, შემდეგ კი ხელდახელ შეუტიეს და მორიგი ლელოც გაიტანეს.

მატჩის ბოლოს საქართველოს ნაკრებმა კიდევ 2 ლელო მიითვალა და საბოლოო ანგარიში – 48:12 დაფიქსირდა.

საქართველოს ნაკრების 7 გატანილი ლელოდან 3 დევი დევსურაშვილის ანგარიშზეა. თითო-თითო ლელო მიითვალეს ბადრი ლიპარტელიანმა, გიორგი ხვისტანმა, ბესო ბარბაქაძემ და ლევან გიკაშვილმა. 4 გარდასახვა რევაზ ჯინჭველაშვილის ანგარიშზეა, ბოლო გარდასახვა კი, დავით გულიტაშვილმა შეასრულა.

10 მარტს საქართველოს ნაკრები ინგლისში მიემგზავრება, სადაც ჰართლპულის კოლეჯის გუნდთან და ინგლისის 18-წლამდელთა ნაკრებთან ორ საკონტროლო თამაშს გამართავს, მერე კი, საფრანგეთის ქალაქ გრენობლში გადაინაცვლებს და ევროპის ჩემპიონატში ჩაებმება, სადაც მეოთხედფინალში მისი მეტოქე ირლანდიის ნაკრებია.

**მატჩის შემდეგ**

**ილია მაისურაძე (18-წლამდელთა მთავარი მწვრთნელი):**

– ევროპის ჩემპიონატისთვის ვემზადებით, სადაც მეტოქეები გაცილებით ძლიერი გუნდები იქნებიან და უფრო დიდი იქნება ზეწოლა. „უოსფსი“ ბრიტანეთში ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და ჩვენთვის მათთან თამაში ძალიან დიდი გამოცდა იყო. სამი თვეა ამ დაცვისა და შეტევის სისტემაზე ვმუშაობთ და დღეს მან რაღაც დონეზე იმუშავა. აქვე დავინახეთ ჩვენი სუსტი და ძლიერი მხარეები. ამჟამად მზადების შუა ეტაპზე ვართ და არის იმის დრო, რომ ეს სუსტი მხარეები აღმოვფხვრათ და უფრო დამაჯერებელი გავხადოთ ჩვენი თამაში. ინგლისში 10 მარტს ჩავალთ და 13-ში ვეთამაშებით ჰართლპულის აკადემიის გუნდს, საბოლოო გამოცდა კი, ინგლისის ნაკრებთან გვექნება. 19 მარტს უკვე გრენობლში ჩავალთ და მოვემზადებით უშუალოდ ტურნირისთვის. ბევრს ვმუშაობთ მორაგბეების ინდივიდუალურ ტექნიკაზე, მაქსიმალურ სიჩქარეებზე სწორი პასების გაკეთებაზე, რადგან რაგბი სირბილი და ზუსტი პასია. ვმუშაობთ ბაზურ ტექნიკაზე კონტაქტის და რაქში შესვლის. ვცდილობთ ნაკრების ტაქტიკაზე ვითამაშოთ და ავითვისოთ მთელი მოედანი, მაქსიმალურად გავშალოთ იერიში და მოწინააღმდეგის დაცვაში ბზარები გავაჩინოთ. დღეს დავინახეთ, რომ ამ კუთხით გარკვეული შედეგები გვაქვს. პირველი ტაიმის მეორე ნახევრიდან ბიჭებმა დაიწყეს ამ დავალების შესრულება და ანგარიშმაც არ დააყოვნა. პარალელურად ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც ვარ, მაგრამ ეს მუშაობაში ხელს არ მიშლის. უბრალოდ, მე ვიღებ მეტ დატვირთვას და ხანდახან დღეში 4 ვარჯიშის ჩატარება მიწევს. ცოტა ვიღლები, მაგრამ მთავარია საქმე გაკეთდეს და რაგბი განვითარდეს. წინასწარ ვერ ვიტყვი, რა შედეგით დავბრუნდებით საფრანგეთიდან, მაქსიმალურად ვეცდებით, რომ სამშობლოში თავაწეულები ჩამოვიდეთ.

მ. ჟ.

# სკანვორდი



1. სიკვდილით დასჯის ადგილი (ძვ.); 2. სამაგიდო თამაში; 3. ბერძნული ანბანის ასო; 4. ... გიბსონი; 5. ყაიმი; 6. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 7. კორეული ავტომობილი; 8. ადგილობრივი სისხლნაკლებობა; 9. მექანიკურ დისციპლინაზე დამყარებული სამხედრო სწავლება; 10. ... რიშარი; 11. „... დაიდარდო!“; 12. ... დელონი; 13. გათხოვილი ქალის ხსენება სკანდინავიურ ქვეყნებში; 14. ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ატრიბუტი; 15. სახელმწიფო აზიაში; 16. კუთხე მიმანიშნებელი წინსართი; 17. გარსის უფერული ფენა თესლოვანი მცენარის ყვავილის მტვრის მარცვალში; 18. მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი; 19. ბატონო (ინგლისურად); 20. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 21. ნოტი; 22. ცეცხლის ანადენი; 23. იუპიტერის თანამგზავრი; 24. მდინარე კახეთში; 25. ... სიბელიუსი; 26. უქოჩრო თუთიყუში; 27. სვანური მითოლოგიის ერთ-ერთი ქალღმერთი; 28. „შიშველი ...“; 29. კურკოვანი ხილი; 30. ალკოჰოლიანი სასმელი; 31. ერთგვარი ნაყინი; 32. შოტლანდიური ნაგაზი; 33. აეროპორტი პარიზში; 34. ნიავი; 25. ნაბიჯი ბალეტში; 26. საფლობი ტალახი; 27. ცხენის ჩლიქზე დასაჭედებელი რკინა.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კოიოტი; 2. რიოში; 3. სუმო; 5. ჯეჯილი; 6. ეგერი; 7. „გალუაზი“; 11. მესტია; 13. არამისი; 14. ტრეკი; 15. ბედუინი; 16. ონაგატა; 17. ჩაფარი; 19. ალუჩა; 20. ჯუნო.

**თარაზულად:** 1. კარკასი; 4. ბანჯო; 8. მდადი; 9. ჯამე. 10. ორშიმო; 12. სუფრული; 14. ტუტი; 15. ბილინგვა; 16. ომეგა; 18. შხუნა; 21. ფობია; 22. ტერნერი; 23. ჩარდაში.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ფაუსტი“; 2. გულანი; 3. ტონგა; 5. ზული; 6. რანეტი; 8. ამბორი; 11. ტაქსოფონი; 13. წუმწუმა; 14. დიურერი; 15. „ნაცნობი“; 19. რალი.

**თარაზულად:** 1. ფარენგეიტი; 4. მენზურა; 7. უზრდელი; 9. გეიმერი; 10. ატენი; 12. პროტესტი; 16. ჩინეჩიტა; 17. იმპორტი; 18. „კრაისლერი“; 20. ნებიერი; 21. დალი; 22. რექვიემი.

# მეტეორის ჩამოვარდნის შედეგად დაზარალებული მკურნალობას განაგრძობენ

ჩელიაბინსკის ოლქში მეტეორის ჩამოვარდნის შედეგად დაზარალებული პაციენტები მკურნალობას საავადმყოფოებში განაგრძობენ.

ამ დროსითვის სამკურნალო დაწესებულებაში კიდევ 40 ადამიანი რჩება. მათგან სამი მცირეწლოვანი ბავშვია. ექიმების ინფორმაციით, პაციენტების მდგომარეობა მძიმეა, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტები ჩელიაბინსკის ოლქიდან მოსკოვის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.



შეგახსენებთ, რომ მეტეორის ჩამოვარდნის შედეგად ჩელიაბინსკის ოლქში 1 300-მდე ადამიანი დაზარალდა. დაზიანდა 3 000 შენობა.

ჩამოვარდნილი მეტეორის აფეთქების სიმძლავრე ნასას ინფორმაციით 500 კილოტონამდე იყო, რაც ჰიროსიმაში ატომური ბომბის აფეთქების სიმძლავრეს 30-ჯერ აღემატება.

ეს დასკვნები გაკეთებულია მსოფლიოს ხუთ ინფრაბგერით სადგურში, მათ შორის, ალიასკაზე, რომელიც ჩელიაბინსკიდან 6, 5 ათას კილომეტრში მდებარეობს. ბოლიდი ატმოსფეროში შემოჭრიდან 32, 5 წამში აფეთქდა.

— ასეთი მასშტაბის მოვლენები შესაძლებელია 100 წელიწადში ერთხელ მოხდეს, — განაცხადა ნასა-ს თანამშრომელმა პოლ ჩოდასმა.

საგანგებო სიტუაციების სამსახურში განმარტავენ, რომ რადიაციული ფონი ჩელიაბინსკში ნორმის ფარგლებშია.

„ჩელიაბინკსკის ოლქში ჩავარდნილი მეტეორიტის კვალი ვერ აღმოაჩინეს", — იუწყება „რია ნოვოსტი". წყაროს ცნობით, საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თანამშრომლები კოსმოსური სტუმრის ნამსხვრევებს მთელი ღამის განმავლობაში ეძებდნენ. რეგიონის ვიცე-გუბერნატორ იგორ მუროგის განცხადებით, საძიებო სამუშაოები ამ დროისათვის შეწყვეტილია. ნამსხვრევები სამ ადგილას იძებნებოდა: ჩებარკულის ტბაში, სოფელ ზვიაგინოსა და სოფელ კუვაშში. ჩებარკულის ტბაში მყვინთავებიც კი ჩავიდნენ და მის ფსკერზე რამდენიმე საათი დაჰყვეს, მაგრამ უშედეგოდ.

„გაყინული ტბის ზედაპირზე აღმოჩენილი ხვრელი თავდაპირველად მეტეორიტის ნამსხვრევების ჩავარდნის ადგილად იყო მიჩნეული, მაგრამ ეს სრულიად სხვა მიზეზით აღმოჩნდა წარმოქმნილი", — აღნიშნა მუროგმა.

საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს აქამდე გავრცელებული ინფორმაციით, ადგილობრივი მაცხოვრებლები ტბაში მეტეორიტის ნამსხვრევების მოხვედრაზე იტყობინებოდნენ, მაგრამ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა.

ამ დროისათვის ჩელიაბინსკის ოლქში მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგების ლიკვიდაცია მიმდინარეობს. საგანგებო სიტუაციათა მინისტრ ვლადიმირ პუჩკოვის განცხადებით, პირველი ეტაპი წარმატებით დასრულდა.

„მორიგი საავარიო-აღდგენითი სამუშაოები დასრულდა. ღამით ტემპერატურა -20 გრადუსამდე ეცემა. აღდგენილია სოციალური დანიშნულების ყველა ობიექტის საქმიანობა. 17 თებერვლის 06.00 საათის მდგომარეობით, შემინულია 1 658 საცხოვრებელი სახლი, 34 სამკურნალო დაწესებულება და სოციალური დაცვის 4 ობიექტი. კაპიტალურად აღდგა 37,8 კვადრატულ მეტრ ფართობზე ფანჯრების ჩარჩოები. გამოკვლეულია პოტენციური საფრთხის მქონე ობიექტები", — აცხადებს პუჩკოვი.

# გაეროს ახალ სანქციას ჩრდილოეთ კორეაში ომის გამოცხადებად ჩათვლიან



ჩრდილოეთ კორეა გაეროს ახალ რეზოლუციას ომის გამოცხადების ტოლფასად ჩათვლის. ამის შესახებ საუბარია ჩრდილოეთ კორეის ცენტრალურ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში.

ზოგიერთი ქვეყნის მოწოდება, შემოღებულ იქნას დამატებითი სანქციები ფხენიანის წინააღმდეგ, სერიოზული პროვოკაციაა, წერია სტატაიში.

სტატია იტყობინება, რომ იაპონიის მთავრობის მეთაური სინძო აბე და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი ლი მენ ბაკი სატელეფონო საუბარში შეთანხმდნენ, რომ გაეროსგან ფხენიანის წინააღდეგ მოეთხოვათ დამატებითი საერთაშორისო საქნციები.

„ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღოს რეზოლუცია ახალი სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით", — მოჰყავს იაპონურ მედიას ციტატა სინძო აბეს სიტყვებიდან.

თავის მხრივ ლი მენ ბაკიც ხაზს უსვამს: „ჩვენ გვჭირდება გაეროს უშიშროების საბჭოს ძლიერი რეზოლუცია. სამხრეთ კორეამ და იაპონიამ უნდა ითანამშრომლომონ ამ საკითხთან დაკავშირებით".

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კორეამ 12 თებერვალს განახორციელა ბირთვული იარაღის გამოცდა. აფეთქებას სიმძლავრე 10 კილოტონას აღწევდა.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული ცდის ჩატარებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევად აფასებს.

ჩრდილო კორეის მიერ განხორციელებული ქმედება დაგმეს ასევე გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა, აშშ-მ, სამხრეთ კორეამ და დიდმა ბრიტანეთმა.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ჩრდილო კორეის მიმართ ახალი საერთაშორისო სანქციები უნდა დაწესდეს და დასძინა, რომ აშშ საკუთარი თავისა და თავისი მოკავშირეების დასაცავად ძალღონეს არ დაიშურებს.

# სომხეთში დღეს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება



სომხეთში დღეს საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ქვეყნის უმაღლესი პირის წოდებისთვის მოქმედი პრეზიდენტი , სერჟ სარგსიანიც იბრძოლებს. მისი ჩათვლით, სულ პრეზიდენტის პოსტზე 7 კანიდატი იყრის კენჭს.

მათ შორის არიან: სომხეთის ყოფილი პრემიერი და ამჟამად ოპოზიციური პარტია „თავისუფლების" ლიდერი გრანტ ბაგრატიანი, ასევე, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და ოპოზიციონერი რაფი ოვანისიანი და სხვები.

საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, ფავორიტი მოქმედი პრეზიდენტი სერჟ სარგსიანია.

სომხეთის პრეზიდენტი აირჩევა პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების გზით 5 წლის ვადით. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1991 წლიდან) სომხეთს სამი პრეზიდენტი ჰყავდა.

# ყაზახეთში ბიჭს „ორსულობის" ცნობა მისცეს




ყაზახეთში ბიჭს „ორსულობის" დიაგნოზი დაუსვეს. სასამართლომ განიხილა 15 წლის მოზარდის საქმე, რომელსაც აქტიუბინსკის საავადმყოფომ „ორსულობის ცნობა" მისცა. მოსამართლემ სამედიცინო დაწესებულების ექიმები ნაწილობრივ დამნაშავეებად აღიარა. მათ დაზარალებულის ოჯახს მორალური კომპენსაციისთვის 50 ტენგე უნდა გადაუხადონ, რაც ათი ათას რუბლს, ანუ 330 დოლარს შეადგენს, იუწყება ყაზახეთის ტელევიზია.

ოჯახი უკვე აპირებს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას: თავიდან მათ სარჩელი შეიტანეს 10 მილიონ ტენგეზე (დაახლოებით 66 ათასი დოლარი). „ორმოცდაათი ათასი, იცით, ეს სასაცილოა!", — განაცხადა იური ფილჩუკოვმა, ალდაშევის ოჯახის რწმუნებულმა პირმა.

მოზარდ ბაიჯან ალდაშევს ცრუ დასკვნა გამოუტანა სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოს უროლოგმა და ნეფროლოგმა, სადაც ის თირკმელების ავადმყოფობასთან დაკავშირებით შემოწმებას გადიოდა. ის საავადმყოფოში გასული წლის აგვისტოში იმყოფებოდა, ხოლო გამოწერისას დოკუმენტში ორსულობის შესახებ ჩანაწერიც აღმოაჩინა.

როგორც საამარათლომ დაადგინა, ექიმებმა მოზარდის და პაციენტი ქალის ანალიზები ერთმანეთში აურიეს და ახალგაზრდას ორსულობის წამლები გამოუწერეს. დაიწყო რა გამოწერილი პრეპარატების მიღება, მოზარდმა აღმოაჩინა, რომ მათზე ალერგია ჰქონდა, ხოლო საავადმყოფოში ჩატარებული მთელი მკურნალობა თითქმის უშედეგო აღმოჩნდა.

ექიმმა მუხიტ ბაიზაკოვმა დანაშული არ აღიარა და განაცხადა, რომ ყველა აუცილებელი დახმარება გაეწია, ხოლო გამოწერისას ორსულობასთან დაკავშირებული ისტორია — ეს მხოლოდ კომპიუტერული შეცდომაა. საბოლოო ჯამში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ირივე მხარე უკმაყოფილო დარჩა.

# მეხიკოში ყველაზე მასობრივი ქორწილი გაიმართა

ერთდროულად 412 წყვილმა გააფორმა სამოქალაქო ქორწინება შაბათს მეხიკოში გამართულ კოლექტიურ ქორწილში. ღონისძიებას თან სდევდა მუსიკოსების გამოსვლა, წითელი ღვინის სმა, ასევე ახალგაზრდებს დაურიგეს სხვადასხვა საჩუქრები.

ცერემონიას დაესწრო ქალაქის მერი მიგელ ანხელ მანსერა, რომელმაც რამდენიმე წყვილს ქორწინების მოწმობა პირადად გადასცა, ასევე გაჭრა უზარმაზარი სადღესასწაულო ტორტი, იტყობინება „რია ნოვოსტი".

მან აღნიშნა, რომ ქალაქში ერთდროულად დაქორწინებულთა რეკორდი მოიხსნა. „მექსიკის დედაქალაქი, როგორც თავისუფლებათა ქალაქი, თავის რენომეს ინარჩუნებს, ჩვენთან არ არის არანაირი დისკრიმინაცია, პირიქით, ჩვენ მოხარულნი ვართ ნებისმიერი სახის ურთიერთობით და კავშირებით", — განაცხადა მანსერამ. მექსიკის დედაქალაქში ერთსქესიანი ქორწინებები 2009 წლიდან დაშვებულია.



მეხიკო ლათინური ამერიკის პირველი ქალაქი გახდა, სადაც გეებს და ლესბოსელებს ოფიციალურად ქორწინების რეგისტრაცია შეუძლიათ.

საჩუქრების სახით ახალდაქორწინებულებს საგზურები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ტკბილეულობა შეხვდათ.

*მოამზადა გერა მამულაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## ეს ერთი წელი გავიდა, „ყიფო"!



დრო კი არ მიდის, მიქრისო, — ხშირად გაიგონებთ. შარშანდელი 19 თებერვლის შემდეგ ყიფიანების ოჯახში დრო ღია ჭრილობის სატკივრით დაიმუხტა და გაჩერდა. ჯოჯოხეთივით სასტიკი იყო ამირანის გარეშე გატარებული ერთი წელი. სართულზე ლიფტის გაჩერება, კიბეებზე რომ ვილაც ჩამორბოდა, კარებზე გაბმული ზარი წამურ იმედს ბადებდა და იქვე კლავდა. მწარე რეალობა ერთადერთი და შეუცვლელი გახლდათ — ამირანი ვერასდროს დაბრუნდებოდა, ვეღარ მოეფერებოდა შვილსა და დედას, ვეღარ გაეხუმრებოდა მამას, ძმებსა და ძმისშვილებს.

იგი უკვე იქაა, მაღლა და, ალბათ, მწარე ღიმილით უცქერის მისიანების ყოველდღიურ ტანჯვას.

საშინელი სიცხადით ახდა „ყიფოს" წინასწარმეტყველება — 28 წლამდე ვერ ვიცოცხლებო. ახლა უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ უფალსაც რჩეულები უყვარს და უხმობს.

ბიჭმა თავისი წასვლით უამრავი ადამიანი დაამწუხრა, მაგრამ იმედის სხივიც თავადვე აჩუქა მათ — პატარა ოთარ ყიფიანი. უბედურია ის, ვისაც გარდაცვალებისთანავე ივიწყებენ, ისიც, ვისაც მომგონებელი არავინ რჩება ამქვეყნად. ამირანის სახე რომც გაფერმკრთალდეს, პატარა ოთიკოს მეხსიერებაში მამაშვილობის ძალა და მადლი მაინც იცოცხლებს და პატივს მიაგებს მშობლის ხსოვნას, მოუვლის მის საფლავს, გვერდით კი ეყოლებიან ბიძები და ბიძაშვილები, კეთილშობილი ყიფიანები.

აქ ძალა ერთობაში იქნება, ზეციური საქართველოდან კი მშვენიერი ჭაბუკის სული გაუღიმებს, ილოცებს მათთვის — თავისი სისხლისა და ხორცისათვის და ასე გაგრძელდება მარადიული, უწყვეტი კავშირი...

***ნათესავები, ახლობლები, მეგობრები***

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ორშაბათი 18 თებერვალი**

06.30 დ/ფ „ როცა მეცნიერება სანაპიროს იკვლევს" 07.30 „ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.30 „მოამბე" 11.00 „სამოთხის ვაშლები" 12.45 „პირადი ექიმი" — მარი მალაზონია 13.30 „დღეს ორის ნახევარზე" 15.00 დ/ფ „ადამიანი — პლანეტა" 17.00 დ/ფ „მეცნიერების ისტორია" 18.00 „პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი" 21.00 ტ/სერ „პური და თავისუფლება" 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა" 00.00 „საფარი" 00.50 მხ/ფ „რიცხვი 23"(ჯ.კერი)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები" — „დუბლინი" 09.00 მხ/ფ „გრაფი მონტე-კრისტო"(ჟ. მარე) 1—2 სერ. 12.10 მხ/ფ „ის ჩემზე უარესია" (ა. ჩელენტანო) 14.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო ავიაცია" 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ „100 უდიდესი აღმოჩენა" I ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები" 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა". 00.00 „მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)




07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე" 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი" 1 სერ. 13.00 სერ. „გაქცევა – 4" 14.40 სერ. „24 – 5" 15.40 სერ. „დამალული სიმართლე" 17.50 სერ. „თილისმა" 18.50 სერ. „სახიფათო ვნება" 21.00 სერ. „მარტოსული" 22.00 ქ/სერ „ცხელი ძაღლი" 3 სერ. 23.00 მხ/ფ „სამი მუშკეტერი" 01.00 სერ. „ღვინის გზა" 01.45 მხ/ფ „ქვის მთლელი"

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია" 11.00 სერ. „იდუმალი ქალი" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე" 15.30 შერეკილები 17.00 სერ.„ვნების უფსკრული" 18.45 სერ. „მგზნებარე გული" 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია" 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 მხ/ფ „ერთ პატარა ქალაქში" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „წისქვილი ქალაქის გარეუბანში" 13.15 კონცერტი -ჯეიმს ლასტი 14.50, 18.35, 22.55, 23.50 ფოტოგალერეა 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება" 16.55 დოკ/ფ „ველური ბუნება" 17.20 მოკ/ფ „ფეოლა" 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „ძმა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დრო და ტრადიციები „ქართულ-ებრაული ურთიერთობები" გად.მ 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები

მაესტრო 7.00 ახალი ამბების კოლაჟი (გამ) 7.30, 8.20, 9.15, 10.30, 11.30, 12.30, 13.30, 15.30, 17.10, 18.40, 3.35 4.35, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 14.05 მაესტროს პრესკლუბი 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 22.20 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" 20.05, 0.30 თოქ-შოუ „არგუმენეტები" 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები 22.20, 2.00 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი" 0.00 3.00, 5.00 6.00, 7.00 ახალი ამბები (ღამის გამოშვება)

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 თებერვალი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6568

ევრო — 2,2097

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5685

100 რუსული რუბლი — 5,5018

**ამინდის პროგნოზი 18 თებერვლისთვის**








# გამოსულია

## მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების 50-ტომეულის პირველი ტომი — ამერიკული ზღაპრები

**გამოსაცემად მზადდება:**

ტომი 2. ჩეხური ზღაპრები

ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები

ტომი 4. ფრანგული ზღაპრები


## ასტროპროგნოზი 18 თებერვლისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**
**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** — მთლიანობაში ჰარმონიული დღეა, საქმეებს მოაწესრიგებთ. **ტყუპები** — თქვენი საქმე წინ მიდის, პრობლემა არ გაქვთ. **კირჩხიბი** — ცხოვრება გეცვლებათ, ბედი გწყალობთ. **ლომი** — მიუხედავად ყველაფრისა, თქვენ მაინც იმარჯვებთ. **ქალწული** — სახლში დიდი სიხარულია მოსალოდნელი. **სასწორი** — თავზე მუშაობა დაგჭირდებათ, წარმატება არ დააყოვნებს. **ღრიანკალი** — გადაღლილი ხართ, ცოტა დაისვენეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც მოდის, მისი ნახვა გიხარიათ. **თხის რქა** — ეს დღე თქვენს განწყობას შეეფერება. **მერწყული** — არეული დღეა, მაგრამ გზას მაინც გაიგნებთ. **თევზები** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, საქმე სარფიანია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## მიხეილ მამიაშვილს პრეზიდენტობას უწინასწარმეტყველებენ



დიდი შანსია ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას სათავეში მიხეილ მამიაშვილი ჩაუდგეს. საქმე ისაა, რომ ტაილანდში გამართულ საგანგებო სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით (11-დან 10), ძველი პრეზიდენტი რაფაელ მარტინეტი თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მარტინეტის გათავისუფლების მთავარი მიზეზი 2020 წლის ოლიმპიურ თამაშებიდან სპორტული ჭიდაობის ამოღების რეკომენდაცია გახდა.

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესისა და პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარებამდე, ორგანიზაციის კრიზისული სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი მიხეილ მამიაშვილი დაინიშნა. კონგრესი მოსკოვში, სავარაუდოდ, 2013 წლის აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში გაიმართება. აქედან გამომდინარე, მამიაშვილის შანსები იზრდება, თუმცა კონკურენტად მისივე თანამემამულეს, საკმაოდ ცნობილ ალექსანდრ კარელინს ასახელებენ.

კარელინის მიმართ პრეტენზიები არ გვაქვს, მაგრამ მამიაშვილი, მისი ქართული გვარის წარმომავლობის მიუხედავად, სამხრეთ ოსებთან ძმურ კავშირშია მხილებული და მათ სასარგებლოდ იქცეოდა.

მ. ჟ.

## კროსვორდი

**თარაზულად:** 4. სახელმწიფო ჩრდილო-ამერიკაში; 5. გეომეტრიული სხეული; 6. „მეფე ლომის" ლეკვი; 7. ჭეშმარიტი თეორემა; 8. ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი; 10. იგავ-...; 13. რისამე ჩრულყოფის განსახიერება; 15. ზღვრული ნორმა; 16. გამარჯვების ქალღმერთი; 17. „ასწიე!" პორტის მუშების მეტყველებაში; 20. მიწათმფლობელი შოტლანდიაში; 21. ჯიხური; 22. ლიტერატურული ნაწილის შესავალი ნაწილი; 23. წმინდა ბატისტი.

**შვეულად:** 1. სატირული ხასიათის მიბაძვა; 2. მძაფრი სუნის თეთრი კრისტალური ნივთიერება; 3. „მძიმე ბენზინი"; 4. უდაბნოს ეკლებიანი მცენარე; 5. ქლოროფორმის სუნის მქონე უფერული სითხე; 9. ზანდუკი; 11. საცხენოსნო სპორტში შეჯიბრება დაბრკოლებების გადალახვით; 12. ოთახის მარადმწვანე მცენარე; 14. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 18. პროვინცია ჩინეთში; 19. ცურვის სპორტული სტილი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## ქართული ფილმი ბერლინალეს გამარჯვებულია

*ეკა ირემაშვილი*

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები" ბერლინის კინოფესტივალის გამარჯვებულია. ფილმი კინოფესტივალის ფორუმის პრიზის მფლობელი გახდა. ქართულ-ფრანგულ-გერმანული კოპროდუქცია „არტ ჰაუს კინოს ინტერნაციონალური ფედერაციის" ჟიურიმ გამოარჩია და დააჯილდოვა. ეს ჟიური ჩამოყალიბებულია სპეციალურად სექციებისთვის „ფორუმი" და „პანორამა". წელს ბერლინალეზე საკონკურსო პროგრამაში ორი ქართული ფილმი იყო წარდგენილი ზაზა რუსაძის „ჩემი საბნის ნაკეცი" და ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის „გრძელი ნათელი დღეები".

ბერლინალეს ფორუმი ავანგარდული, ექსპერიმენტული და უცნობი კინემატოგრაფის ნამუშევრებისთვის არის შექმნილი და მის ფარგლებში „გრძელი ნათელი დღეების" ჩვენებებს პრესის ძალიან პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. ნანა ექვთიმიშვილის ფილმი ორი გოგონას ისტორიას მოგვითხრობს, რომელიც 90-იანი წლების თბილისის ფონზე ვითარდება. ფილმზე ქართველ რეჟისორ ნანა ექვთიმიშვილსა და ბერლინელ საიმონ გროსთან ერთად ცნობილი რუმინელი ოპერატორი ოლეგ მუტუ მუშაობდა, რომელმაც იმუშავა ისეთ ცნობილ ფილმებზე, როგორებიცაა „გორაკებს მიღმა", „4თვე, 3კვირა, 2დღე".

ნანა ექვთიმიშვილისა და სიმონ გროსის ფილმის „გრძელი ნათელი დღეების" პრემიერა ბერლინალეს ფორუმის ოფიციალურ პროგრამაში შედგა. სიმონ გროსი წარმოშობით ბერლინელია, ნანა ექვთიმიშვილი კი იქ სწავლობდა და ბერლინში ათ წელზე მეტია ცხოვრობს. შეიძლება ითქვას, რომ პრემიერა მათთვის მშობლიურ ქალაქში გაიმართა.

წელს ბერლიანლეზე ფორუმი თავისი ოფიციალური პროგრამით ორმოცდამესამეჯერ წარდგა. ფორუმის სექციას 1971 წელს ჩაეყარა საფუძველი და მის სექციაში ისეთი ქართული ფილმები იყო ნაჩვენები, როგორებიცაა ოთარ იოსელიანის „პასტორალე" და სერგო ფარაჯანოვის „ამბავი სურამის ციხეზე", ხოლო ამ სექციაში ქართული ფილმი ბოლოს 20 წლის წინ წარდგა და ეს იყო ლანა ღოღობერიძის ფილმი „ვალსი პეჩორაზე."

— ნანა ექვთიმიშვილის და სიმონ გროსის ფილმი „გრძელი ნათელი დღეები" ქართულ-გერმანულ-ფრანგული კოპროდუქციაა. ფილმს სუბსიდირება გაუწია საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა და ფილმისათვის 250.000 ლარი გამოყო. ფილმის კოპროდიუსერები არიან გერმანიისა და საფრანგეთის ტელეარხები ზიდიეფი და არტე. ფილმს ასევე სუბსიდია გაუწიეს გერმანიის და საფრანგეთის კულტურის სამინისტროების სახელმწიფო ფონდებმა. ფილმის ოპერატორია რუმინელი ოლეგ მუტუ, რომელიც ოპერატორია ისეთი ფილმებისა, როგორებიცაა კრისტიან მუნჯუს „გორაკებს მიღმა", „4თვე, 3კვირა, 2დღე", ასევე სერგეი ლოჟნიცას ფილმები „ნისლში", „ჩემი ბედნიერება" და ალე-



ქანდრე მინდაძის „ერთ შაბათს". ამ ფილმებმა მრავალი პრიზი და აღიარება დაიმსახურა კანისა და ბერლინის კინოფესტივალებზე. კრისტიან მუნჯუს ფილმს „4თვე, 3კვირა, 2დღე" კანის ფესტივალის მთავარი ჯილდო — ოქროს პალმის რტო ერგო, — ნათქვამია ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ განცხადებაში.

ფილმის „გრძელი ნათელი დღეები"რეჟისორი და სცენარის ავტორი ნანა ექვთიმიშვილია. 102-წუთიანი ფილმის მონტაჟი შტეფან შტაბენოვს ეკუთვნის, პროდიუსერები სიმონ გროსი და მარკ ვეხტერი არიან, მთავარ როლებს კი ლიკა ბაბლუანი და მარიამ ბოკერია ასრულებენ. ფილმში ასევე მონაწილეობენ თემიკო ჭიჭინაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, ბერტა ხაფავა, ანა ნიჟარაძე, ზაზა სალია, ენდი ძიძავა, მარინა ჯანაშია, მაია ლომიძე. ფილმის მოქმედება 90-იანი წლების საქართველოში ვითარდება და ფილმის მთავარი პერსონაჟები ორი თოთხმეტი წლის გოგონა — ეკა და ნათია არიან. მათი ცხოვრება სახლს, სკოლას, ქუჩას და პურის რიგს არ სცდება. ისინი ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ, კლასელები და საუკეთესო მეგობრები არიან და თითოეულის ოჯახური ცხოვრებაც თავისებურად სირთულეებითაა მოცული. თუმცა იმ დროს, როცა უფროსი თაობა ყოველდღიური პრობლემებით არის დაკავებული, გოგონებს თავიანთი ცხოვრება აქვთ. ისინი იმ დროინდელი ყოფის ფონზე, როცა საზოგადოებაში გადარჩენის უხეში კანონები მოქმედებს, ცდილობენ იმაში გაერკვნენ, თუ როგორ, რა პრინციპით და კანონით ფუნქციონირებს ურთიერთობა ორ საპირისპირო სქესს შორის. მათ, პირველად ცხოვრებაში, ისეთ საკითხებთან უწევთ შეხება, როგორებიცაა მეგობრობა, სიყვარული, შურისძიება. ფილმი იმის შესახებ მოგვითხრობს, თუ რა გამოწვევების წინაშე დგებიან ფილმის მთავარი გმირები და რა გადაწყვეტილებებს იღებენ ისინი.

— თუ როგორ გაჩნდა ფილმის იდეა, ამის შესახებ ნანა ექვთიმიშვილი საუბრობს:

— თბილისში დავიბადე და გვიან 90-იან წლებში საქართველოდან გერმანიაში, სასწავლებლად გავემგზავრე. სწავლის პერიოდშივე გამიჩნდა იდეა ფილმის შესახებ, რომელშიც ამბავი ორი თოთხმეტი წლის გოგონას შესახებ, 90-იანი წლების თბილისში არის მოთხრობილი. იმ წლებში მეც ჩვენი გმირებივით ყოველ დღე პურის რიგში ვიდექი, თუმცა ამას ტრაგედიად სულაც არ აღვიქვამდი. გერმანიაში ყოფნისას ძალიან ხშირად ვფიქრობდი ამ დროზე, ჩემს მეგობრებზე. იმაზე, რაც ჩემს ცხოვრებაში და ჩემს სიახლოვეს მოხდა. ამ ყველაფერმა ფილმის სცენარამდე მიმიყვანა. 90-იანი წლები ძალიან დიდი თემაა, ჩვენი ისტორიაა, რომელიც ყველას შეეხო, ძალიან მტკივნეულად, ადამიანების და თაობების ბედი შეცვალა. ფილმის ამბავი ჩემი მახსოვრობიდან, ჩემი მაშინდელი მოგონებებიდან და შეგრძნებებიდან წარმოიშვა. ჩვენი ფილმის მოქმედება 1992 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ვითარდება. თავიდანვე ასე იყო, რომ ფილმის მოქმედება აუცილებლად გაზაფხულ-ზაფხულში უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა რომ ზამთარმა საოცრად ზუსტად და სასტიკად ასახა ის დრო, ამ ფილმის იდეას ჩემთვის წელიწადის თბილი და მზიანი დრო უფრო ზუსტად ეხმაურება, — ამბობს რეჟისორი.

ნანა ექვთიმიშვილისთვის ეს პირველი წარმატება არ არის. მისმა მოკლემეტრაჟიანმა მხატვრულმა ფილმმა „დედა" გამარჯვება ტრიესტეს კინოფესტივალზე მოიპოვა. ქართველი რეჟისორის ნამუშევარი იტალიაში საუკეთესოდ აღიარეს. ფილმი ფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსში მონაწილეობდა. „დედა" 8-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმია, მისი სცენარის ავტორი და რეჟისორი ნანა ექვთიმიშვილია, ოპერატორი — გიორგი შველიძე, პროდუსერი — სიმონ გროსი. ფილმში მონაწილეობენ ერეკლე ცინცაძე, დავით გოგუაძე, თამთა გიგინეიშვილი, მაგდა მებურიშვილი, ია ზურაბიანი.

— ეს ფილმი ნაჩვენები იყო 2011 წელს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ამ წელს ფესტივალის ჟიური ბერლინალეს ფორუმის ორგანიზატორების ულრიკე და ულრიხ გრეგორები იყვნენ, მათ პროგრამიდან ოთხი ქართული ფილმი განსაკუთრებით გამოყვეს და მოიწონეს. ერთ-ერთი მათგანი ნანა ექვთიმიშვილის „დედა" გახლდათ. ფილმი ნაჩვენები იყო ვისბადენის კინოფესტივალზეც „გოუ ისთ", ასევე ლონდონში „დაშარტს" სალონში. ფილმით დაინტერესდა ფრანგული ტელეარხი კანალ პლუსი და მისი შეძენა გადაწყვიტა, — აღნიშნულია ეროვნული კინოცენტრის განცხადებაში.